

N 4



# ზრუნველყოფის მნიშვნელობა

სახეგვანი  
1227

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!



899.962.1(05)

3-82.

# პროლეტარული მშენებლობა

საქართველოს პროლეტარულ მწერალთა  
ასოციაციის მთავარი ორგანო.




№ 4

აპრილი

თფილისი  
სახელმწიფო გამომცემლობა  
1927





საქართველოს ბიბლიოთეკის

822-925-1021

3-82

# იუნსტრუქტორი სტრუქტორი


საქართველოს ბიბლიოთეკის

ს. მ. ჟ. ს. პოლიგრაფიული ტრესტის მე 3 სტამბა

შეკვეთა № 1604—5979.

მთავლიტი 763.

ტირაჟი--1.500.



№ 4

ბიბლიოთეკა

# მხატვრული ლიტერატურა



## მესამე გზა

ყოველ შეხვედრის დროს ის გაკვირვებას იწვევს ჩემში. ხშირად ეს გაკვირვება ალტაცებათ შემეცვლება და მისი მაღალი ფიგურა, დაძარღვული, მსხვილ კუნთებიანი სახე, ისე ნათლად შეიქრება ჩემს გონებაში, რომ ჩვენი დაშორების შემდეგ, კიდევ დიდხანს ვგრძნობ მის სიახლოვეს.

ჯერ კიდევ გუშინ თოფის წამლის კვამლში იყო გახვეული, ვეფხივით, რომელსაც ბუნაგი აუნგრისს, გაშმაგებული ეხეთქებოდა საომარ ძახილით რისხვა მოდენილ ქალაქის ქუჩებს.

როცა უცქერდი მას, მეგონა, რომ ის თოფთან და რუხ ქუჩებთან იყო შეზრდილი. ტყვიის ზუზუნი პირველი ნანა იყო მისთვის, რომელსაც უხვად უმღეროდა მშობელი ქუჩა.

ტანზე ტყავის ქურთუკი ეცვა. დალურსმულ ჩექმების ხმაური შორიდანვე იცნობოდა. რალაც განსაკუთრებული იყო მის ნაბიჯებში, რომლებიც თავის ერთ ზომიერებით და შეშპარავ სიფრთხილით უნებურ შიშს გვრიდა მსმენელს. თავზე წვეტიანი, ბალახის ფერი ქუდი ეხურა.

ამ ტანსაცმელში ვხედავდი მას თებერვლის დღეებში და ისე შევაჩვიე თვალი, რომ სრულიად ვერ წარმოვიდგენდი მას ამ მორთულობის და ქუჩებზე ტყვიების სისინის გარეშე.

იმ დღეებში ის სამხედრო კაცი იყო და ქალაქის განაპირა უბნების მეომართა ნაწილის უფროსი.

გავიდა ის დრო.


შავი ხალათით, შუბლზე ჩამოყრილ თმებით—უცქერ მას ეხლა და როგორც გითხარით, ალტაცებაში მოვდივარ.

დამცხრალია მისი სახე, დარბილებულია ნაბიჯები... მხოლოდ თვალების სიღრმეში ისევ სჩქეფს რკინის ნება და იმ დღეთა ბოლშევიკური სისხლი.

ხშირად მიფიქრია:—ეხლა რას აკეთებს?!

ცნობისმოყვარეობის დასაკმაყოფილებლად გავაჩერე ერთხელ ქუჩაზე. დიდი ხნის უნახავნი გადავეხვიეთ ერთმანეთს.

— როგორ ცხოვრობ, სად მუშაობ?



კვითხე მე.

ჩემი შეხვედრით ნასიამოვნებმა, მხიარულად ასწია თავი თმებზე ხელი გადაისვა და მითხრა.

— სად? როგორ გგონია?!

თავი გავაქნიე.

— თიანეთის არხების გამყვან სამუშაოს ხელმძღვანელი ვარ; ისტორიულ საქმეს ვაკეთებთ ძმაო! რამდენიმე ათეული ვერსის მანძილზე უნდა გადავავლოთ მდინარე გომურა; ნეტავ განახა გლეხების სიხარული! საბრალოებს, ერთი კვირის გოლვა მთელი წლის სარჩოს უსპობდა; ის არხი კი მათ მოსავალს უზრუნველყოფს, მაშ...

მხარზე ხელი დამკრა და ისეთი კმაყოფილებით შემომხედა, თითქო იმ არხით წყალი კი არა, სიხარულის ჩქერი ყოფილიყოს მის გულში მოშვებული.

ტუჩებზე ღიმი მომერია.

— მერე შენ და წერაქვა! თოფის მეტი არაფერი მინახავს შენს ხელში.

მან გაიცინა.

— წავიდა თოფის დრო, თან ხომ არ გადავეყვებოდი! საინჟინერო კურსები გავათავე, ეხლა საზომი და წერაქვა მიჭირავს. ნაკლები იარაღია? თუმც...

თვალეში იმ ცეცხლმა გაჰკრა, რომელიც შეუდარებელ მომხიბვლელობას აძლევდა მის სახეს.

— არც თოფის ტრიალი დამვიწყებია და თუ მომთხოვეს, კვლავ გავათბობ მის გაყინულ ტუჩებს... მანამდე კი ინჟინრებიც, მასწავლებლებიც და მოწაფეებიც ჩვენ ვართ..!

ცხელა, კისერთან ჯალათივით მომდგარი მზე გავარვარებულ შანთებით გვდაღავს. კაფეში შეუხვებით. ლუდი მოვითხოვეთ.

— მარო რას შვრება? ძლიერ მომენატრა მისი ყვილის მოსმენა...

ჯერ შემომხედა, პაპიროსი მაგრად მოსწია, ფერფლი მოაშორა და დაფიქრებით სთქვა:

— მარო თედოსთან ცხოვრობს.

— შენ?—გაკვირვებით შევეკითხე. პასუხი არ გამცა, თავი მოხარა და ფიქრებში ჩაიძირა.

სანამდე ფიქრს გაათავებდეს, მე გაგაცნობ მკითხველო თედოს.

\* \* \*

ჩვენ ვიყავით სამნი, სამნივე ჯანსალი და სიცოცხლით სავსენი. ჩვენ ვიყავით სამნი,—მე, ვანო, თედო და ერთი გვქონდა წუთები სიამისა და სიმწუხარის.

ჩვენ, სამივენი ლითონის ჩამომსხმელ ქარხნის მუშები ვიყავით.



იქ გავიგეთ სიტყვა, პირველ სიტყვაზე უფრო ტკბილი,—რევოლუცია—და ამ სიტყვას შევსწირეთ საუკეთესო დღენი ახალგაზრდობისა.

ამ სიტყვას ჩვენ სამივენი გულის ძეგრასავით შევეჩვიეთ, და ეხლა, ხანში შესულნი, იმ წუთების მოგონების დროს, გულში ზღვისებრ მქუხარე ღელვის მოწოლას ვგრძნობთ. ჩვენთვის, რომლებსაც გვინახავს ათასი ცეცხლი და ქარიშხალი, რომლებსაც გამოგვივლია თვალბედითი გზები, და პირბნელ დროებისთვის ჩავგიცია ლახვარი, დედის რძესავით ტკბილია ეს მოგონება.

ჩუმ, გულჩახვეულ და არა მომქმედ ადამიანის შთაბეჭდილებას სტოვებდა თედო. ლაპარაკობდა ცოტას, თითქო ეზარებოდა სიტყვების დახარჯვა. სამაგიეროდ, არც ერთი სიტყვა კრებაზე თქმული არ აცდებოდა მის ყურებს. სულგანაბული უსმენდა ყველას, არ მახსოვს ოდესმე ეკამათოს, ან რაიმე რჩევა შემოეტანოს, მაგრამ როცა ჯერი მიდგებოდა, ჯგუფის წევრებს შორის, გამოტანილ დადგენილებების განაწილებაზე, მაშინ თედო წამოდგებოდა, წუთით ამხანაგებზე გადაირბენდა თვალებით და მაგარი, მოწყვეტილი ხმით იტყოდა:

„ამ საქმეს მე ვკისრულობ“.

არავის არ უკვირდა, იცოდნენ და სჯეროდათ.

შემდეგ თედო ნელინაბიჯებით სტოვებდა კრებას და იმ წამიდან გაჰქრებოდა თვალთაგან. რამოდენიმე დღის შემდეგ გამოჩნდებოდა და ჩვეულებრივად, აუჩქარებლივ იტყოდა.

„მორჩა“.

არავის არ უკვირდა, იცოდნენ და სჯეროდათ.

როგორ, რა გზით ახერხებდა თედო აღებულ მოვალეობის შესრულებას, არავინ იცოდა. მისთვის არ არსებობდა მძიმე და იოლი საქმე. კომიტეტს სურს—უნდა შესრულდეს! იყო მისი ლოზუნგი და არ ყოფილა ერთი წუთიც ამ ლოზუნგიდან გადახვევის.

ერთი შემთხვევა მძაფრად ჩამრჩა ხსოვნაში.

ჩვენ ვზივართ ოთახში. სხდომა გათავდა და ჩაის შევექცევით. ნელმა საუბარმა შუალამე წამოგვაპარა. კარები იღება, გაფითრებული შემორბის ვანო და ამბობს.

— სტამბა გასცეს, მასზე მომუშავე ამხანაგები დააპატიმრეს! წინააღმდეგობის გაწევის დროს, ჩვენთაგან მკვდარია ერთი...

ეს სიტყვები უზარ-მაზარ ლოდევით ჩამოეშვა ოთახში. სუნთქვა შეგვიგუბდა და მძიმე ტკივილმა შეგვიკრა გულები. უნებურათ თედოსკენ მოვიხედე.



დაკრილივით შეტორტმანდა, ყბები აუთროთოლდა და მძიმეთ მოიქნია თავი.

წაბლისფერი თვალები ფართედ გაალო და სწრაფად წამოდგა. ეს იყო წუთით.

შემდეგ თითქო ისევ მოდუნდა, თვალები დაუცხრა და ნელა დაეშვა სკამზე. სამარისებური ცივი ხმით იკითხა.

— გამცემი?

პირველად ვიგრძენ მაშინ ამ კაცში უზარმაზარი ნება.

ჩვენ მზათ ვიყავით გვეტირა. ვთროლით, ვლეღავლით; ერთმანეთს პირში ვაცლიდით სიტყვებს. რეტდასხმულეზივით ვეხეთქებოლით ოთახის კედლებს. ის კი, თითქო არაფერიც არ მომხდარიყოს იჯდა ისე და როგორც უბრალო ცნობისმოყვარე კითხულობდა: გამცემი!

— ქარხნის უფროსი ნოდარ...

ჩამოვარდა სიჩუმე. ხმა გაკმენდილი შეეცქეროლით ერთმანეთს.

— მე მივდივარ!—გაგრძელებული ხმით სთქვა ვილაცამ.

მოვიხედე. კარებში თედოს ზურგს მოვკარი თვალი.

გულიდან ტკივილის ნაწილი მოგვეშვა.

დილაა, ქარხნის ჩვეულებრივი რიტმი დარღვეულათ მეჩვენა. ზედამხედველებს აღეღვება ეტყობათ. ეზოს კარებთან პოლიციელები დგანან. ჩურჩულია მუშებს შორის და ამ ჩურჩულის შინაარსის უცოდინარობა მაწუხებს. ყური მიუვდე.

— დღეს დილით, ქარხნის უფროსი ნოდარი სასიკვდილოთ დაუჭრიათ!

შევკრთი. ინსტიქტიურათ მოვბრუნდი და ჩემი თვალები თედოს მოხვდენ.

მან ოდნავ გაიღიმა.

თორმეტმა დაჰკრა.

ჩემს სიცოცხლეში არ შემიმჩნევია, რომ თედოს ოდესმე წონასწორობა დაჰკარგოდეს და გულში ჩაღვრილი ფარული ტკივილი სახით ან მოძრაობით გამოეაშკარაებოის, მაგრამ ამ წუთში, როცა ერთმა ზედამხედველმა გესლით წაილაპარაკა...

— ძაღლები! მიზანს მაინც ვერ მიაღწიეს, არც ერთი კრილობა არ არის სასიკვდილო.

მაშინ ის მობრუნდა, რამდენიმე ნაბიჯი წამოდგა წინ და ჩაიხრიალა...

— სულ ერთია, საწოლიდან ადგომა მაინც არ ელირსება...

ეს სიტყვები მების მუხლივით გატყდა ქარხანაში, შეიქმნა ჩოჩ-



ქოლი. შესაჩერებლათ გამოწვდილ ხელებს მარდათ გაუსხლტა თედო და ეზოს გალავანს მიაშურა.

ამ დღიდან იწყო ფარული ცხოვრება

— ის ცოცხალია, ჩვენებს კი ხვალ კიმბირში აგზავნიან.—საშინელ მოწყენით მითხრა ერთხელ თედომ.

მე ჩემ მკლავს ყოველთვის ვენდობოდი, ეხლაც... მაგრამ ის მაინც ცოცხალია და იცი რატომ?

იმ დღით შემხვდა, ნამთვრალევი ბრუნდებოდა სახლში, ქუდი მოუხადე და სალამი მივეცი. მან მიცნო, გამილიმა და ის ღიმილი შეხამივით ჩამელვარა სხეულში. მე არ მინდოდა მომეკლა მაშინ ის, მაგრამ უნებურათ გავიფიქრე: ეს კაცი გამეცემია, უნდა მოკვდეს, გინდ დღეს, გინდ ხვალ... სულ ერთია, მაგრამ ჩემგან ნაჩუქარი ერთი დღეც, შეიძლება ისევე ჩემი და ჩემი მეგობრების ჯალათათ გადააქციოს, შეიძლება ეხლაც აქვს უბეში გასაცემ ამხანაგების სია?! სხვა იარაღი არ მქონდა; უკან გავსდიე, მოსახვევთან დავეცი ღანით და... მისმა კბილების ტკაცუნმა შემაქროს...

... ჩემი წერაა მაინც?!

მომშორდა.

მკითხველო, შენ თუ ოდესმე გყოლია მეგობარი, საყვარელი ძმისებრ; თუ ამ მეგობართან ერთად აკეთებდი ათას უსამართლოდ დამცირებულ, გავერანებულ ადამიანთა საქმეს და ეს მეგობარი ორიოდ გროშისთვის და სამსახურში წარმატებისათვის გაუცია ვინმეს, მაშინ იგრძნობ თედოს გულის ტკივილს; მაშინ შენი თითები დაიგრინება სიმწარისაგან და ყელიდან უკმაყოფილების ხმა აღმოგხდება.

ვერ აისრულა თედომ სურვილი. იმ დღეებში მოხდა თებერვლის გადატრიალება და მენშევიკურმა ტალღამ გადაგვისროლა საქართველოდან.

ჩვენ სამნივე გადავიკარგეთ უცხოეთში, მაგრამ არ გვიგვრძენია ის სევდა, რომელიც სჩვევიათ სამშობლოდან გადახვეწილებს, რათ უნდა გვეგრძნო, როცა ჩვენებრ დევნილებს და თანამოაზრეებს შეუერთდით და უფრო მეტი გატაცებით გადავეშვით სამოქალაქო ომის ქარ-ცეცხლში. არ ვემდუროდით ბედს. მუშის ინტერესი ყველგან ერთია და სულერთი იყო ჩვენთვის ამ ინტერესის დასაცავათ სადაც არ უნდა გვებრძოლა. ჩვენ სამივენი ვიბრძოდით; ჩვენ სამივემ გადავატარეთ ზურგზე დროთა სიმწვავე და მქუხარება. ჩვენ მოვიკაფავდით გზას სამშობლოსაკენ, ჩვენ მოვდიოდით ხმალ და ხმალ სი-



ცრუის და მოლაღატეობის კოშკში ჩაკეტილ სამშობლოს დასახსნელათ: ჩვენ ვიყავით სამნი და დავშორდით მაშინ, როცა სპარტიკულოში ეს კოშკი გაპარტახებულ იქნა. მე მაშინ პირველათ ვიგრძენ ჩემ ფეხებს ქვეშ მშობლიური მიწა; პირველად ვიგრძენ მშობლიურ ცის სიყვარული, რადგან ამ ცისა და მიწის შუა თავისუფლათ სუნთქავდა ის ხალხი, რომლის სისხლიც სჩქეფდა ჩემ სხეულში. ქუჩის ცეცხლში გამოწრთობილები დავშორდით ერთმანეთს და სხვა და სხვა სახის მუშაობას მივყავით ხელი. ვანო,—გული ჩვენი ჯგუფისა, სოფლებში გადავიდა არხთა გასაყვან სამუშაოზე. თედო—ბოლშევიკური მკლავი, საგანგებო კომისიას შერჩა; მე კიდეც ყოფილმა მეომარმა და ჩეკისტმა მწერლობა დავიწყე, (გასაოცარია. მაგრამ უთუოდ ბოლშევიკური ჯიშით აიხსნება).

და კიდეც, კიდეც იყო ჩვენთან მეოთხე, თანამებრძოლი და ტკივილთა მესაიდუმლე, მარო, ბოლშევიჩკა მარო.

წასულ დღეთა ნისლიდან მეხატება თვალწინ მისი სახე და ვგრძნობ გულის სასიამო ძვერას.

ჩვენ ვიყავით სამნი და სამნივეს გვიყვარდა ის, გვიყვარდა ერთნაირ სიძლიერით, გვიყვარდა ერთნაირ ცეცხლით და გატაცებით, იმ სიყვარულით, რომელიც შეეძლო ეზიდა ჩვენ წლებს.

ახლად გაფერილ მანქანასავით მღიმარე და კრიალა სახე ქონდა მას. ეს სახე ფლობდა იმ ძალას, რომელმაც იცის გულში ტკბილი გრძნობების დაბანაკება და შებოჭვა.

ჰო, სამივეს გვიყვარდა ის და სამში ამ სიყვარულით არ იყო სიძულვილი და ეჭვიანობა.

პირიქით, ვცდილობდით ჩვენი სიყვარულის გაღრმავებას და თუ შეენიშნავდით რომელიმე ჩვენთაგანის გულგრილობას მაროსადმი, ვტუქსავდით და ვაყვედრიდით მას.

ჩვენი ცხოვრების მოღრუბლულ ცაზე, ის მზესავით ამოცურდებოდა და გაჰფანტავდა ღრუბლებივით მოწოლილ სევდათა ლაშქარს, მოწყენისა და გულგატეხილობის ჟამს, როცა ჩვენი გულები ხავსიან ბაღს დაემგზავსებოდა, მარო თბილი ჟივილით შემოფრთხილდებოდა ამ ბაღში და დაგვიხებდა:

— ერთი შეხედეთ! ქვეყნის გადაბრუნება სურთ, დედაბრებივით კი მოფუყულან და საცაა ცრემლებს დაღვრიან! ადექით ზევით, გასახარი ამბის მომტანი ვარ, გაფიცვები დაიწყეთ!

ან და:

— საღამოს პროკლამაციები უნდა გავაკრა, ტანსაცმელი მათ-  
ხოვეთ....



რა გაუძლებდა მის შეტევას?! კაცნი ვიყავით, როცა ვხედავდით ამ სიჯანსაღით და ხალისით ავსილ ადამიანს, წამოვვარდებოდით ერთად, მოვკიდებდით ხელს და გიჟივით დავიწყებდით ტრიალს ოთახში. ჩვენ გვიყვარდა სიცოცხლე და გვიხაროდა, როცა ამ სიცოცხლეზე დადგმულ უღელის ტარებას გვიმსუბუქებდა ის.

ძლიერი იყო მაროს ჩვენდამი სიყვარული.

ძნელია ითქვას, თუ რომელს აძლევდა ჩვენში უპირატესობას. ის არასდროს არ იტყოდა:—მე ვანოსთან მაქვს საქმე ან მისი ნახვა მიწნდაო. ჩვენ სამნივე ერთნი ვიყავით და ჩვენი სახელები მისთვის, სამის, მაგრამ ერთნაირათ საყვარელ საგნების გამომხატველი იყო. ერთთან ყოფნა სრულიად არ სცვლიდა მას და იქცეოდა ისეთითქო ის ერთი სამი ყოფილიყოს. ამით ჩვენს თვალში ემატებოდა მას პატივისცემა და უფრო ღრმავდებოდა ჩვენი სიყვარული.

ერთ სალამოს ჩვენ ვისხედით ოთახში.

მარო ჩვეულებისამებრ გვიკითხავდა პარიზის კომუნის ისტორიას და კითხვის დროს, გეგონებოდათ, ოთახში ნაკადი ჩხრიალებს, ნაკადი ცივი, მაგრამ ძალზე სუფთა და გემრიელი.

კითხულობდა. ხმით და სახით ისე ძლიერათ განიცდიდა წაკითხულს, რომ ნათლათ გვიხატავდა საშინელ სურათებს იმ დროისას.

ჩვენ ვისხედით სულგანაბული; ფიქრებში ისე გავერთეთ, რომ მისი წასვლა ვერ შევამჩნიეთ. ვისხედით ასე და ჩვენი ფიქრი თანდათან შორდებოდა კონუნის დღეებს. უეცრად მარო მომაგონდა, მომინდა კიდევ მისი სახის შეხედვა და თავი ავწიე. ჩემი თვალები სხვების თვალებს შეხვდნენ და ვიგრძენ, რომ იმ წუთში ჩვენს თვალებს ერთი და იგივე სურვილი ამოძრავებდა.

გავიღიმეთ. ღიმილი სერიოზულმა სახემ შეგვიცვალა და ერთმა სიტყვა.

— სანამდე გასტანს ჩვენი მაროსადმი ასეთი დამოკიდებულება? მარო ქალია, ჩვენ მამაკაცები ვართ. ჩვენ გვიყვარს ის.

მეტის თქმა არ იყო საჭირო. ვგრძნობდით ამ საკითხის სიმწვავეს და პასუხის აუცილებლობას.

— როგორ მოვიქცეთ?

ვსთქვი მე.

— წილი ვყაროთ.

— სისულელეა, მოსკრა თედომ—მარო ნივთი არ არის, ის თასულფალია თავის მოქმედებაში. ვინ იცის, ეგებ არც ერთი არ უნებვართ! ძალით ხომ არ მოვახვევთ ჩვენს თავს!



— მაშ უთხრათ ყოველივე მაროს.

— თანახმა ვარ!

— მეც.

მეორე საღამოს მაროს უთხარით ყოველივე; შემდეგ დამნაშავეებსავე მოვხარეთ თავი და დავდუმდით.

მან ჯერ გაიღიმა, თანაგრძნობით, თითქო ჩვენ ბავშვები ვიყავით დაგეკრა მხარზე ხელი და გულწრფელად გადიხარხარა:

— რათ მოგივიდათ მასეთი აზრი?!

მაგრამ როცა ჩვენ სახეს მოჰკრა თვალი და იგრძნო, რომ არ ვხუმრობდით—მოგვმორდა, ჩაფიქრდა; თითები ნერვიულად აათამაშა თანჯრის მინებზე, ერთი კიდევ შემოგვხედა და უხმოდ გავიდა ოთახიდან.

ჩვენ მძიე დანაშაულის ჩამდენებათ ვიგრძენით თავი, თითქო შეურაცყოფა მივაყენეთ მას, ისე შევწუხდით და გული არა სასიამოვნო გრძნობამ დაგვიფარა.

ეხლა, როცა მაგონდება მაროს პასუხი და იმ წუთში მისი სიყვარულით აღსავსე თვალები, გულში კვლავ მიღვივდება მიმქრალი გრძნობა და უნებურად ქუჩისკენ ვიხედები; გაფაციცებით ვათვალიერებ გამვლელებს, მინდა მოვნახო მათ შორის ჩემი ფიქრის საგანი და გადავებვიო.

ზაბათი საღამო იყო. ოთხივენი ქალაქს გარეთ წავედით. გვხიზლავდა დაწმენდილ ცაზე ელვარე ვარსკვლავების კრთომა. ისე თბილოდა რომ თითქო ვგრძნობდით ცის სიახლოვეს. მდინარის შხუილს მოჰქონდა ნელი სიო, ისიც თბილი. ჩვენ ვდუმდით; უტკერდით მაროს, რომელიც ჯეირანივით მიჰქროდა წინ და გვიწვევდა სირბილში.

მწვანე გორაკზე დავსხედით; ექვსი, ერთი სურვილით გამთბარი თვალები მივაბყარით მაროს.

ის წამოდგა, სახეზე ცვალებადობა დაეტყო და ასე გვითხრა:

— მეგობრებო, მე ვიფიქრე, მგონია უფრო მეტი ვინემ თქვენ სამივემ ერთად და ვიგრძენ, რომ თქვენ მართალი ხართ; თქვენი კითხვაც ბუნებრივია! მინდოდა მეპოვა პასუხი, მინდოდა თვითეულად გადამესინჯეთ, ამეწონეთ, მაგრამ თქვენ ისე განუყრელათ შეიქერით ჩემს გონებაში, რომ ჩემი სურვილის ასრულება ვერ მოვახერხე. ერთზე გაფიქრება თვალ წინ მიყენებდა სამს და მე არ ვიცი, როგორ შეიძლება რომელიმე თქვენთაგანის ჩემი გულიდან ამოთხრა; მე თქვენ სამივე ისე ძლიერათ და ერთნაირათ მიყვარხართ, რომ თქვენს შორის არჩევანი არ შემიძლია; მე თქვენ სამივეს გეკუთვნით!

მკითხველო, ხშირია ადამიანში ისეთი წუთი, როცა მისი სურ-



ვილები არ ეთანხმებიან მის საარსებო პირობებს, როცა ახალგაზრ-  
დული გატაცება, გულწრფელი, მარტივი იდეალიზმი ავიწყებინებს  
მას საკუთარ თავის აუცილებელ მოთხოვნილებათა ანბანს; რაც არ  
უნდა უსაზღვრო იყოს ეს გატაცება, სურვილი, რა სიღრმეც არ უნ-  
და ქონდეს ამ სიყვარულს, ის უნიადაგოა იმდენათ, რამდენათაც  
უბრალო ფიზიკურ მოთხოვნილებებს არ ეგუება; მაგრამ მე ვიცნობ-  
დი მაროს, მისი ოცნება სინამდვილის საზღვრებს არასოდეს არ გა-  
დაცდენია, მისი აზრი ყოველთვის დაკვირვების და გამოცდილების  
ნაყოფი ყოფილა: მისი ჯანსაღი გული წამითაც ვერ მიიკარებდა რაი-  
მე უაზრობას, და მე მჯერა დღესაც, — რომ, სხვა გარეშე მიზეზებს არ  
შეეშალა ხელი, ის აასრულებდა თავის სიტყვას.

მე არ გამაკვირვებდა ეს.

ჩვენ სამივე დავმორღით ერთმანეთს; ძველ ადგილზე დარჩა-  
ვანო და როგორც შემდეგ გავიგეთ, მარო მასთან გადასულიყო სა-  
ცხოვრებლათ.

მახსოვს, შევხვდით ერთმანეთს უკანასკნელ ბრძოლებით და-  
ტვირთულ ღამეში. მარო ძლივს ვიცანი, სამხედრო ტანსაცმელით  
იბრძოდა იმ რაზმში, რომელსაც ვანო მეთაურობდა.

თედომ იხუმრა.

— ცეცხლი და ბარეკატები! საუცხოვო ადგილი ამოგირჩევიათ  
თაფლის თვის გასატარებლად!

— ჩვენი თაფლი ჩვენი გამარჯვებაა თედო! — ღიმილით უპასუხა  
მარომ.

რამდენმა წყალმა გადაიარა მას აქეთ.

იმ დღეთა გრანდიოზობას ისე შევეჩვიეთ, რომ არ გვიკვირს.  
გამარჯვებების მოპოვება აუცილებელ მოთხოვნილებათ გადაგვექცა.  
გაიარს წლები, საუკუნოები და შემდეგი თაობა მოწიწებით და მუ-  
ხლმოდრეკით მოგვიხსენიებს ჩვენ, ლეგენდარულ ბრძოლების გა-  
დამტანს.

ბოლშევიკა მარო?!

რამდენ ტკბილ მოგონებათა დამტვევია ეს სახელი, რამდენის  
მთქმელია და დამამტკიცებელი.

— მარო თედოსთან ცხოვრობს?

ხმამალლა ჩავილაპარაკე, თითქო ჩემთვის, მაგრამ მინდოდა ვა-  
ნოსაც გაეგონა და გამოსულიყო მღუნარებიდან.

— ჰო.

— მიზეზი?



— მოსწყინდა უთუოდ ჩემთან.

— გიმძიმს მაროს ასეთი საქციელი ვანო?

გაიღიმა.

— რასაკვირველია არა, თუმცა პირველათ... ჰო, ცოტათი რა-  
ღაც დამეტყო, მაგრამ შემდეგ გაჰქრა უკმაყოფილების ნასახიცი. დღეს,  
მარო ჩემთვის ისეთივე მეგობარია, როგორიც იყო.

— როგორ მომენატრა, რომ იცოდე მისი ნახვა; წავიდეთ ვანო,  
შე არ ვიცი მისი ბინა თორემ აქამდე ვინახულვბდი.

— სიამოვნებით წამოვიდოდი მაგრამ არ მცალვია. დღეს ჩამო-  
ველ სოფლიდან შვილის სანახავათ. საღამოთი უნდა დავბრუნდე  
ისევ.

— შვილი?

გაკვირვებულს მინდოდა რაღაც მეთქვა მაგრამ შემაწყვეტინა.

— სხვა ქალი შევირთე, შვილი მის ხელში შემეძინა.

— მერე ბავში ოჯახში, დედასთან რატომ არა გყავს?

— გძელი ამბავია, გეტყვი მხოლოდ: ჩემი ცოლი ნაქმარევია;  
ქმარი ემიგრაციას გაჰყვა; მოხუცი დედის გარდა, რომელიც ჩემთან  
ცხოვრობს, არაფერი არ გააჩნია. ბავში კი საბავშვო სახლში იზრდება.

— არ მესმის, განა ოჯახი ვერ გამოზრდიდა?!

— ვერ გამოზრდიდა, — დაჟინებით გააგრძელა ვანომ. — ბევრი  
დავა დამქირდა, ძნელი იყო დედის ძუძუდან შვილის მოგლეჯა, მა-  
გრამ რას იზამ! ამას მოითხოვდა ჩემი შვილის შესაფერისი კომუნის-  
ტური აღზრდა. როგორი მოქალაქე უნდა წარმოშვას იმ ოჯახმა, სა-  
დაც ბავში გულაჩუყებულ აღერსის, ნებევრობის და ქაჯებზე ზღა-  
პრების მეტს ვერაფერს ნახავს და გაიგონებს? ასეთი საზრდო აჩვევს  
ბავშვს უნაყოფო ოცნებას, ჟინიანობას და საკმარისია — უბრალო მი-  
ზეზი რომ მოჰყვეს ტირილს და ნერვიულ შფოთვას. ასე გაზრდილი  
ბავში ვერ შესძლებს ჩვენი ცხოვრების ფერხულში შებმას.

— მჯერა, მაგრამ შენ ხომ მამა ხარ! სად არის ოჯახში შენი  
გავლენა როგორც ბოლშევიკის?!

— საქმეების გამო იშვიათათ ვარ შინ, ბავში დედის მზრუნვე-  
ლობის ქვეშ რჩებოდა; დედა კი....

ხელი ჩაიქნია და აღარ დაათავა. ლუდი მოსვა და განაგრძო:

— დედის ქვეყანა უცხოა ბოლშევიკის შვილისათვის, მისკენ მი-  
მავალ გზას უნდა აცდეს ახლად ადგმული ნაბიჯები.

საათს დახედა, წამოდგა:

— დროა წავიდე.

მისამართი მომცა და გამოვემშვიდობეთ.



კაფედან გამოვედი და გავყევი ახლად მორწყულ გრილ ქუჩებს:

— ნეტავ ვიცოდე, მაროს შემდეგ როგორ ეგუება ვანო ლიდიას; განა შეიძლება მათ შორის საერთო ენის არსებობა? სად შეუძლია თავადურ უღარდელობაში და განცხრომაში გაზრდილმა ქალმა იგრძნოს ბოლშევიკის ტკივილი ან სიხარული! ლიდიას პირველი ქმარი ემიგრანტი ყოფილა, შეიძლება ის ეხლა ძირს უთხრის იმ შენობას, რომლის აგებას შესწირა ვანომ უამრავი დღეები, რომლის ქვები სისხლით შეადგულა და შეაწევა ერთმანეთში.

მე რომ მკითხონ, ჩემი ბოლშევიკური სიამაყე არ მომცემდა უფლებას მოსისხლე მტრის ცოლი ოჯახში შემომეყვანა.

\* \* \*

მზე დასავლეთისაკენ გადაიწია.

მორწყული ქვაფენილები ახლად ნაწვიმარს ჰგავს; ფიქრში გართულმა ვერ შევამჩნიე, რომ ვანოს მოცემული მისამართი თითუ-ბით დამესრისა; დახედე, გავასწორე და უბეში შევიწახე.

შინისაკენ გადახვევა დავაპირე, რომ ამ დროს ჩემი ყურადღე-ბა მიიპყრო ნეჰმანურად ჩაცმულმა მგზავრმა. გარეგანი შეხედულე-ბით ან სახის მეტყველებით მასში ღირსშესანიშნავი არაფერი იყო, მხოლოდ ძლიერ მეცნაურა მისი სახე: მივაცქერდი, უთუოდ მანაც იგრძნო ჩემი თვალეები, შემომხედა და თითქო შეწუხდა; სახეზე და-ფეთება დაეტყო და სწრაფად გვერდი ამიარა.

ოდნავ მოხრილი მხრეები, ჩქარი ნერვიული ნაბიჯები, ხელები ზურგზე....

თითქო ოდესღაც მინახავს. მძლავრმა ცნობისმოყვარეობამ შე-მიპყრო.

უცნობი გადავიდა ქუჩის მეორე მხარეს და პაპიროსის გამყი-დველთან გაჩერდა; ჯიბისკენ ხელი წაიღო და იმავე წუთს ქურდულ-ლად ისროლა ჩემსკენ თვალეები. პაპიროსი გამოართვა და წავიდა.

თვალი ავაღვენე, შორეული დრო მომაგონა ამ უცნობმა, ის დრო, როცა სიტყვა „რევოლიუციის“ ხსენება კაცის მოკვლას უდრიდა.

შეიძლება მომეჩვენა, ვინმე ნაცნობს მივამსგავსე? არა. არა, ის მოხრილი მხრეები, დაფანტული ნაბიჯეები, მხოლოდ იმ უცნობს უნდა ეკუთვნოდეს და ის უცნობი მინახავს სადღაც.

აღრე გავიღვიძე.

ნისლიან ქუჩებს ავადმყოფური შეხედულება აქვთ. ტანზე ჩაცმა დავაპირე. კარებზე კაკუნი მომესმა, გავალე და სიხარულით სიტყვის ამოღებაც ვერ მოვახერხე. კარებში მარო იდგა.

— შალვა, შეჰყვირა და კისერზე ჩამომეკიდა.



— ვანომ მომასწავლა, მინდოდა მენახე და ალიონზე დაგატყდი თავს. შემომხედე! როგორ გამოცვლილხარ, სიბერეც შეგპარვია! სიტყვასავით მაყრიდა სიტყვებს და ბავშვივით აქეთ-იქით მატრიალებდა.

— შენ კი ისევ ისეთი გიჟი ხარ?!

— ეს შენთან, მიხარია რომ გნახე! დავსხდეთ აქ, მომიყევ, რას აკეთებ?! უ, რას გეგხარ, ჩაიცივი ჩქარა, მე კუთხისკენ მივბრუნდები, არ შემოგხედავ... გაინძერ, რას აყოვნებ! ჩაცმა დავიწყე, სიჩქარისაგან ხალათი უკულმა ჩავიცივი.

— დაბერებულხარ, მართლა დაბერებულხარ!—არ მეშვებოდა მარო.

დავჯექით, ვისაუბრეთ, რა არ მოვიგონეთ, რა არ ვსტკვით, ბოლოს თედო მოვიკითხე.

— კარგად არის, მე მასთან ვცხოვრობ!

— ჰო, ვანომ მითხრა.

— დამასწრო? გაგახელებდა უთუოდ, მაროს შეეძულდი და მიმატოვაო! შენ არ დაუჯერო, მე ის ისევ მიყვარს, როგორც მეგობარი და კარგი კომუნისტი.

ამ საუბარში შუადღემაც მოაწია. სახე მიზეზიან ბავშვივით მოლუშა და მომეარდა.

— ამხანაგო შიმშილით მკლავ? თქვენთან საუბრე არ იციან თუ...

ემმაკურად გაიღიმა, მარჯვენა ხელის ცერი საჩვენებელ თითს გადაუსვა და მითხრა.—ეს არ გაქვს?

— ეხლავ, როგორ არა, გავაგზავნი ვინმეს!

— არა, არა, იყოს... გეხუმრე, იცი რა გითხრა, მე დღეს შიშველი დღე თავისუფალი ვარ, ლიდიასთან წავიდეთ, გაგაცნობ და დილადაც იქ დავრჩეთ. მოდის?!

დავეთანხმე.

— მარო, როგორ მოგწონს ლიდია?

— მერე, მერე, თითონ ნახავ და განსაჯე, ეხლა კი ცოტა ჩქარა, შე ბებერო...

ორ სართულიან სახლთან შევჩერდით. ქვის კიბეები ავიარეთ და ზარი ჩამოვკარით. კარები მოხუცმა ქალმა გაგვიღო.

— ლიდიას დედაა—მითხრა მარომ.

ხელი ჩამოვართვი, ორი სამი რალაც სიტყვა უთხარი და მაღალ, სინათლიან, სუფთა ოთახში შევედით.

— ლიდია სად არას?—ჰკითხა მარომ, როცა ოთახში მოხუც ქალის გარდა ვერავინ შენიშნა.



— მკერავთან წავიდა, საბალ-მასკარადო ტანსაცმელს აკერვინებს, მალე დაბრუნდება; თქვენ მოითმინეთ, მეც მალე გიახლებით. — გვითხრა მოხუცმა და მეორე ოთახში გავიდა. მარომ შემომხედდა და გაიღიმა.

— როგორ მოგწონს, კომუნისტის ცოლი და ბალმასკარადები?!

უკმაყოფილების ნიშნად თავი ჩააქნია.

— მთელი ჩვენი ენერგია საალმშენებლო მუშაობისაკენ არის მიმართული, არ გვრჩება დრო რომ ჩვენი ოჯახის მოწყობაზე და გაბოლშევიკებაზე ვიფიქროთ; რა უყოთ რომ ლიდია სხვა წრის ქალია, განა არ შეიძლება მისი გარდაქმნა?

ჩავილაპარაკე მე.

— ძნელია, მით უფრო ეხლა, როცა ვანოს საამისო დრო სრულებით არ გააჩნია; ნებმანური გემოვნების თავდასხმა, ამ ბალმასკარადებით, მიუზიკპოლებით და საეკლესიო ოპერებით ძლიერ ასუტებს ჩვენს გავლენას სხვა საზოგადოების ფენებზე. კულტურული დაწესებულებები ახალ ზნე-ჩვეულებების, ახალ ფსიქოლოგიის დამუშავების მაგიერ რეაქციონურ ჭაობში იფლობიან; ყოველივე ეს ხელს უწყობს სამხედრო ეპოქის დღეებში მიუჭრებულ და ჩაქოლილ ბურჟუაზიულ სულისკვეთების კვლავ აღორძინებას; რასაკვირველია, ამით იქ პესიმიზმი არ მიპყრობს; ჩვენ გვაქვს უამრავი მუშა-კომკავშირელები, კომუნისტური სასწავლებლები, სადაც მტკიცე ხელით ება ახალი ცხოვრება; მაგრამ ეს ცოტაა მაინც იმ მიღწევების შედარებით, რომლებიც ჩვენ სხვა დარგებში გვაქვს; იმ კულტურული დონის დასაკმაყოფილებლად, რომელიც ჩვენს ახალგაზრდობას. არ კმარა განაპირა უბნების კლუბები.


თავაშვებულობა, ლოთობა, სქესობრივი საკითხის ანორმალობა, ამელიც შესამჩნევია ჩვენი ახალგაზრდობის მცირე ნაწილში, ამ ძლიერ მოთხოვნილების დაუკმაყოფილებლობით არის გამოწვეული!

— მართალი ხარ შალვა. როცა ვანოსთან გატარებულ, ლიდიას ირველ დღეებს ვიგონებ, შენი სიტყვები უფრო ნათლდებიან და მტკიცდებიან; შენ ხომ არ იცი როგორ მოხვდა ლიდია ჩვენთან?

— არა. ძლიერ მაინტერესებს!

— მაშ, მომისმინე:

— ხომ გახსოვს ის საშინელი ღამე როცა ჩვენ ტფილისი დავიკავეთ, თოვდა, მსუსხავი აღმოსავლური ქარი აფთარივით დაძრწოდა ქალაქის ქუჩებში; იმ ღამით ვანო მსუბუქად დაიჭრა ფოილოს იდთან; მე მაშინ თელოსთან ვცხოვრობდი, მაგრამ გავიგე თუ არა



ვანოს ავადმყოფობა, მოვნახე და თავზე დავადექი; ოთახში ციოდა, ჩამსხვრეულ ფანჯრებიდან იჭრებოდა ქარი და შოლტებივით გვირტყამდა სუსხს.

ვანთიადამდე საათი იქნებოდა, რომ წუთით ჩათვლემილს კარებთან აჩქარებული ნაბიჯები მომესმა; გავადე. ოთახში, თითქო ვინმემ უქნიდან ხელი ჰკრაო, ისე შემოვარდა უცნობი, თავშალ მოხურული ქალი. ჰკანკალებდა, კედელს მიეყრდნო და თავშალი გადიხადა. მე შემაშინა მისმა გაფითრებულმა და ამღვრეულმა თვალებმა. დელავდა ძლიერ, უჭირდა სუნთქვა, ცდილობდა ხმის ამოღებას, მაგრამ ყელთან მომდგარი სიტყვა უკანვე ბრუნდებოდა ხრიალით.

— თქვენ ვინ გნებავთ? — წყნარათ შევეკითხე და ნუგეშით მოვიკიდე ხელი. ჩემმა ხმამ გამოარკვია, დაკარგული წონასწორობა დაუბრუნა; მხოლოდ შევნიშნე, ჩემს სიტყვებზე მისი თვალები რაღაც ბოროტი ცეცხლით აენთო; ნაწყვეტ-ნაწყვეტად, არეულად დაიწყო სიტყვების სროლა.

— ბოლშევიკი მინდა... აქეთ მომასწავლეს... ან ოფიცერი, ან უფროსი ვინმე...

ღიმილი შევიკავე და ვანოზე მიუთითე.

რამდენიმე ნაბიჯი გადასდგა და ნერვიულად წამოიძახა.

— იჩქარეთ, დაეწვიეთ... ისინი მიიბარებიან... აუარებელი ქონება მიაქვთ! — უკანასკნელ სიტყვებზე ვანო წამოიწია საწოლიდან და სმენად გარდაიქცა.

— ვინ ისინი?!

— ჩემი ქმარი, მენშევიკები... ნაძარცვი სახალხო ქონება მიაქვთ, დილით ვერ მოასწრეს გაქცევა... ეხლა მიდიან... უჩქარეთ, თორემ...

ხმა ხრიალმა შეუცვალა, დაბარბაცდა და ჩემს მკლავებზე უღონოთ დაეშვა; სწრაფად წამოიჭრა ვანო.

— სად მიდიხარ?!

— რაზმს გამოვიძახებ, დავედევნები...

სისუსტისაგან ხმა უკანკალებდა.

— ხომ ხედავ, არ შეგიძლია; დარჩი, მე წავალ.

უთხარი ეს და საჩქაროთ გამოვბრუნდი.

ამაოთ მოგვიხდა დადევნება; უკვე გასულიყვნენ ქალაქიდან. რამდენიმე ვერსი მივსდიეთ ცხენებით, კვალს ვერ მივაგენით;

ის ქალი ლიღია იყო. ასე შეხვდა ის პირველად ვანოს.

— რომანტიული შეხვედრაა; საინტერესოა, რამ აიძულა ლიღია ქმარი გაეცა?!



— ნუ თუ ვერ გრძნობ; ცხადია არა კომუნისტურმა მოსაზრებამ და ჩვენდამი კეთილდღეობის სურვილმა; შურისძიებამ; ქმარმა მიატოვა თავისი ცოლი და გაიქცა; ცოლმაც სამაგიეროს გადახდის მიზნით გასცა ის; აი, როგორი ცოლ-ქმრობა იციან მათ; მე კი თედომ რომ მიმატოვოს, მას ვავცემ, გაჭირვების დროს უღალატებ? ჩემი ღალატი ხომ იგივე ჩემი თავის, ბოლშევიზმის ღალატია; ესეც არ იყოს, ჩვენ, ბოლშევიკ ქალებს, ქმარი არც ისე ხელშეუხებ კერძო საკუთრებად მიგვაჩნია, რომ მისი დაკარგვით სანტიმენტალური ოხვრა და სლოკინი დავიწყოთ.

— მჯერა, — ღიმ მორევით უთხარი და პაპიროსს ცეცხლი მოუკიდე.

— უნდა გენახა პირველ დღეებში, როგორ უვლიდა ლილია ვანოს: იჯდა სახლში და თვალეებში შესცქეროდა; ხშირად მის საქმეს თითონ ასრულებდა, ეხმარებოდა. ლილია, უცხო კი არა, მასთან შეზრდილი გეგონებოდათ; ხომ გახსოვს, რა შიმშილი გამოვიარეთ იმ დღეებში: ცეკას დახმარება არ ყოფნიდა ვანოს და აი ლილიაც გავიდა სამუშაოზე; სასადილოში მისცეს ადგილი, ჯამაგირი მთლიანად ოჯახში მოჰქონდა; ათასნაირ გასართობებზე შეჩვეულს და გაზრდილს, თითქო ეხლა არაფერი არ აინტერესებდა, გარდა ვანოს კარგად ყოფნისა. თუმც ეს გასაგებიც არის, ვის სცალოდა მაშინ ასეთებისთვის, როცა მთელი გულსყური მიჰქონდა ყოველდღიურ საზრდოს შოვნის შემაწუხებელ ფიქრს; ვანო თავის შრომას ამზადებდა სასოფლო-მეურნეობის შესახებ; ლილია დიდ დახმარებას უწევდა, საღამოობით იჯდა და მის გადაწერაზე დაათენდებოდა ხშირად. ასე მიდიოდნენ დღეები. გავიდა დრო ქუჩებზე მთელი საათობით პურის რიგში ლოდინის და უმუშევრობის; ჩვენ მოვღონიერდით, ცხოვრებამ სული მოითქვა და მივიწყებული სურვილები და მოთხოვნოლებები ამოძრავდნენ ლილიას გულში; მე ეხლა ვგრძნობ, რომ მისთვის შემხუთველია ეს კედლები. მისი სული გართობას, თავდავიწყებას ითხოვს, მას სწყურია დაკარგულ დღეების დაბრუნება და განა საამისო საშუალებას არ აძლევს მას, ეს ახალი, ნებმანური ჭობი, რომელიც ცხვირის წინ ჩნდება?!

კარებთან ნაბიჯები მოისმა, ჩვენ შევსწყვიტეთ საუბარი; ოთახში ლილია შემოვიდა. მე გამაკვირვა მოსმა სილამაზემ. მაღალი, მოხდენილი ტანის, წაბლის ფერი თმა, შავი და წყლიანი ღრმა თვალები, მარაოსავით გადმოხურულ გრძელ წამწამებით; სწორი, თითქო მარმარილოსაგან გათლილი კისერი მის სახეს ამაყურ გამოხედვას აძლევდა; ალისფერ ტუჩებს ზევით კრთოდა საკუთარ სილამაზის



კმაყოფილებით გამოწვეული ღიმილი; ჯანსაღი, მაღალი მკერდებით და მკვრივი სხეულით ქანდაკებას გავდა. დაკვირვების შემდეგ აიგონა გრძნობლივით მის სახეზე სულიერ მოქანცულობის; და მოწყენილობის დაღს.

ლიდია გამაცნო მარომ.

— ეს ვანოს მეგობარი და თანამებრწოლია.

ლიდიამ გაიღიმა, არ მომეწონა ის ღიმილი; თითქო ნაძალადევი იყო, მომიახლოვდა წელის ნელი რხევით და ხელი ჩამომართვა. სახეზე სურნელოვან წყალთა სუნი მეცა. შემდეგ, იქვე სავარძელში დაეშვა, თმები გაისწორა და ამოოხვრით წაილაპარაკა.

— როგორ დავიღალე, ღმერთო ჩემო, მთელი დღე დავდივარ და ხეირიანი მკერავი ვერ ვიშოვე, მერე როგორ მინდა, რომ იცოდეთ მასკარადზე წასვლა!

წარბები მოღუშა და ბავშვით, გულ აჩუყებით წაიდუღუნა: — მთელი ქალაქის მაღალი წრე დაესწრება იმ მასკარადს, ყველანი ძვირტას ტანსაცმელებით მორთულნი იქნებიან, მე კი, არ ვიცი ღმერთმანი, ვანო სრულიად არ სცდილობს ჩემი სურვილების შესრულებას.

— არ სცალია უთუოდ! — ჩაურთო მარომ.

— არხების გასაყვანად ხომ სცალია?! არ მახსოვს რომ წავეყვანე საღმე, მთელი თვეობით სოფლებშია გადახვეწილი; მე კი მოწყენამ ამომიხია გული ამ კედლებში, სახლშიც იყოს თუ გინდ; რა გამოვა! ჩაჯდება ოთახში და მთელ ღამეს გეგმათა ხაზვას ანდომებს; ჩემთან ერთი დღის გატარებას, ერთი არშინი არხის გათხრა ურჩევნიან. ძლივს წავიყვანე ერთხელ ოპერაში „ბორის გოდუნოვზე“, მეორე მოქმედებიდან გამოიპარა, „რა ეშმაკად მინდა მაგმღვდლების და უტვინო მეფეების ცქერაო“. ნამდვილი ველურია, ჩამოვა სოფლიდან დასვრილი, დახეული, წვერ გაუპარსავი; „ზაფხულამდე უნდა მოვასწროთ არხის დამთავრება; არ მცალია, ჩემ თავს მივხედო“-ო.. ვერ წარმომიდგენია, ჩემთან ყოფნაზე უფრო მეტად, სხვაგან სად უნდა ნახულობდეს სიამოვნებას?!

— თქვენც იმუშავეთ საღმე, საქმე მოწყენას გაგიქრობთ...

გაკვირვებით შემომხედა და გაიცინა.

— საამისო რა გვიჭირს!

— განა მხოლოდ გაჭირვება აიძულებს ვანოს სამსახურს?!

მინდოდა კიდევ რაღაც მეთქვა, მაგრამ მარომ თვალთ მანიშნა და მეც საუბარი აღარ გავაგრძელე: გვრძნობდი, ჩემი რჩევა უშედეგოდ დარჩებოდა.



— მობრძანდით, სადილი მზათ გახლავთ;— მიგვიპატიეთა ლიდი-  
ას დეღამ.

\* \* \*

ბალ-მასკარადი გაჩაღებულია. დარბაზები საკვია მოთამაშე ნი-  
ლაბოსან წყვილებით; გიჟურ თავდავიწყებას აუტაცნია თითქო კედ-  
ლებიც; ყველაფერი ირევა ერთმანეთში; მუსიკის ხმებში იფანტება  
უდარდელი სიცილ-ხარხარი; საერთო მხიარულებას გაურბის ვილაც  
უცნობი, მაღალი, ოდნავ მოხრილი, შავ ტანსაცმელით, შავი ნილაბით  
სახეზე; დვას წითელ დარბაზის კარებთან; მოუთმენლობა ეტყობა,  
თითქო ვილაცას ეძებს; ხელებით ფარდის კუთხეს კმუჭნის და პა-  
პიროსს პაპიროსზე აბოლებს.

— თუ ეხლავ არ ვნაზე, ყოველივე დაიღუპება; სადაც არის  
თორმეტი დაჰკრავს, ნილაბების ახდა დაიწყება და ჩემი აქ ყოფნა  
შეუძლებელი გახდება; ნილაბი... მწარეთ ჩაიციან; ნილაბით ვიბრ-  
ძვით და ესეც...

აღარ დაათავა, ადგილიდან მოსხლტა და მოცეკვავეთა წრიდან  
გამოსულ, აზიურ ტანსაცმელით მორთურ ნილაბოსან ქალს აედევნა.  
ქალი წითელ დარბაზის შესავალთან გაჩერდა; გვერდით მომყოლ  
მამაკაცს გაუღიმა, მადლობა გადაუხადა და დარბაზში შევიდა. უც-  
ნობი გაჰყვა, მოხდენილ სალამით მიუახლოვდა, მკლავი გაუშვირა  
და თავაზიანათ უთხრა:

— გთხოვთ!

— დავიღალე, გმადლობთ.— უყურადღებოთ ჩაილაპარაკა ქალმა  
და სავარძელზე დაეშვა. უცნობი არ მოეშვა:

— გამხადეთ ბედნიერი, მე თქვენ დიდი ხანია თვალს გადევნებთ!  
ქალმა ასწია თავი.

უცნობი მოიხარა, ქალმა იგრძნო კისერზე ცხელი სუნთქვა და  
ვნებიანი ჩურჩული:

— მე თქვენ დამატყვევეთ, გთხოვთ...

ქალი შეირხა, გაჯავრება მოინდომა, მაგრამ როცა უცნობის  
ზღომით და ვედრებით სავსე თვალებს შეხედა, წამოდგა, ლოყაზე  
ნაზათ შემოჰკრა მარაო და წაილაპარაკა.

— რა გიყი ხართ! წავიდეთ....

საცეკვაო დარბაზში ისევ გრიალებს მუსიკა და დააქროლებს  
მოთამაშე წყვილებს; უცნობმა წელზე ხელი მოხვია ქალს და გადა-  
ცურდენ საერთო ფერხულში; გრიალებს მუსიკა, თავდავაიწყებაში  
გადასულ მოცეკვავეთა თვალწინ ქანაობს სივრცე, თითქო ეს დარბა-  
ზი გემია, რომელსაც აგორებს აბობოქრებული ზღვის ტალღები; შე-  
ხორცებული წყვილები მისდევენ ერთმანეთს კვალში; თითქო დაუ-

კარგავთ საკუთარი მოქმედების ძალა და ემორჩილებიან მუსიკის რეტდამსხმელ ტალღებს; ხანდახან გაიქროლებს სიცილი, ნერვიული ამოძახილი და შემდეგ ისევ აირევა ყველაფერი ერთ გაურკვეველ გუგუნში.

ქალმა იგრძნო მუსიკის ხმების შენელება, თვალები გაახილა, მიიხედა-მოიხედა. მარტონი იყენენ სადღაც, სხვა ოთახში.

— სადა ვართ?!

პასუხის მაგივრად უცნობმა წასჩურჩულა:

— ნილაბო მე თქვენ გიცნობთ!

ქალს გაუკვირდა, თითქო შეშინდა, — მიცნობს, ვინ არის ნეტავ! — გაიფიქრა და სცადა მოხვეულ მკლავებისაგან ნგათავისუფლება.

— დავსხდეთ. აქ არავინ არ არის, მე თქვენთან საქმე მაქვს. კვლავ გაიგონა ქალმა აღტაცებული ჩურჩული ყურთან.

— დავსხდეთ? არა. გამიშვით... მეჩქარება...

უცნობის მკლავები უფრო მაგრად შემოეხვია და მიიზიდა ქალის სხეული.

— გამიშვით. — გაიბრძოლა ქალმა, მაგრამ მოსხლეტილი დაეშვა იქვე. თითქო ტკბილ სიზმარშია, სხეულში დაღვრილი თრთოლა უდღეებს სისხლს, თითქო მისი სხეული მოწყურებული მგზავრია და...

— გამიშვით, უნდა წავიდე აქედან... — მაგრამ რა დაემართა! რატომ ვერ იმორჩილებს ნაბიჯებს, რამ მოუდუნა ასე სხეული?! მის გულს და სახეს სწვავს უცნობის ალერსით მთვრალი ჩურჩული. ვინ არის ეს კაცი, როგორ ბედავს?! შორს... შორს... მაგრამ გრძნობს რომ არ შეუძლია ეწინააღმდეგოს, არ შეუძლია დაუსხლტეს; უცნობის სიტყვები ტკბილ სურვილებით უთრთოლებს გულს. ვნებით სუნთქვა აწვევა ყელს და ახრჩობს; ირგვლივ დაძანტული მუსიკის და სიმღერის ხმები უფრო ამძაფრებს და ატყვევებს მას. გალიაში ჩამწყვდეულ ჩიტავით ფართქალებს გული და ასკდება ნაპირებს; უცნობი კი ეხვევა, ჰკოცნის; ქალი გრძნობს მკერდზე მოხვეულ მხურვალე თითებს. უნებურად იწვევს ხევით, ქალის ტუჩები ეძებს უცნობის ტუჩებს; მისი მკლავი დჭრილ ფრინველივით ფართხალებს უცნობის სხეულზე. რა ტკბილია ეს წუთი, რა ძლიერია ამ უცნობის ალერსი... მაგრამ ღმერთო ჩემო, ეს უცნობი ხომ უცხოა, სრულიად უცხოა; ქალს ხომ ყავს ქმარი, რომელიც შეიძლება ეხლა მოუთმენლად მოეღის შინ, ის კი, აქ, ვიღაც უცნობ მამა-კაცთან თვრება ალერსით; წავიდეს... წავიდეს, შინ... ქმართან... მაგრამ ქმარი?! განა მან ასეთი ალერსი იცის, განა მას შეუძლია აგრძნობი-



ნოს მის გულს ასეთი წუთები?! მას სწყუროდა თავდავიწყება, და ეხლა აქ, ამ წუთში, იკლავს ამ წყურვილს; ქმართან ათასი ლამის გატარებას, უცნობთან ერთი წამი ურჩევნია; მრავალი წლებით მიუყრებელი ცეცხლი გაღვივდა, გაღმოიფრქვა; აი თურმე რა აკლდა მას! რა იყო მისი მოწყენის მიზეზი! არ აკმაყოფილებდა ქმრის ალერსი, საესე ზომიერებით და ერთფეროვნებით; ოჯახი? რა სიცივეა იმ ოჯახში! ყველაფერი თავის ადგილზე დგას, ყველაფერი წესიერია, ყველაფერი თავის დროზეა და ყველაფერი... და ყველაფერი მოსაბეზრებელია; აქ კი, ღმერთო ჩემო... ნეტავი სულ ასე იყოს; ეს გაგიჟებული, მშფოთავი სახეები, ნახევრად შიშველი მოთამაშეები, ეს დარბაზები, ყვავილებით და გირლიანდებით მორთული; ეს მათრობი ჰაერი... ნილაბოსან ქალის გულში ვეებერთელა ხრამია და ამ ხრამს ეს ზღვასავით გუგუნის თუ ამოავსებს; ოდესღაც, ახალგაზრდობის დროს სიზმარივით ახსოვს ასეთი ღამეები; შემდეგ — რევოლიუცია, შეჩვეულ დღეთა განადგურება; მისი სხეული დაიშა და აი ეხლა მოწყურებული, დახარბებული დაეწავა განცხრომის საესე წუთებს, ისევ იძირება იმ საოცნებო დღეებში ყელამდე; ღმერთო ჩემო, გაცოცხლდა ის დრო თუ რა არის! მეორეთ არავინ შობილა... სიცრუე! ეს მეორეთ შობაა მისთვის. ისევ აივსო სიხალისით და უდარდლოობით ლიდიას სხეული; ნეტავ სულ ასე იყოს, ნეტავი ხვალ არ გათენდეს; ნეტავ ჩაიხრჩოს ამ ორგიაში, რომელსაც ჰაერივით შეეჩვია.

უეცრად უცნობმა მკლავის მარჯვე მოქნევით გაშხვართა ქალი სავარძელზე; პატარა კენესა გაისმა ოთახში.

— ვინ ხართ, მიჩვენეთ სახე, არ დაგნებდებით....

უცნობმა მოავლო თვალი ოთახს, ქალს მკლავები მაგრათ დაუჭირა და სწრაფათ ჩამოიხსნა ნილაბი. ქალის სახეზე საშინელება და უსაზღვრო განცვიფრება დაიხატა.

— ჩემი ქმარი... ნოდარ... შენ?!

მეტის თქმა ვერ მოახერხა, სახეზე დასობილ თვალებიდან გაქცევა სცადა; გველივით დაიკლაქნა და გადაბრუნება მოინდომა..

— სსსს, ხმა არ ამოიღო, თორემ დავილუპები...

— რა გინდა ჩემგან, გამიშვი... მე უკვე სხვას ვეკუთვნი.

— შენ ჩემი ხარ, შენ არ შეგიძლია დამივიწყო მე! ხედავ, დავიბრუნდი რომ დავიწყოთ ახალი ცხოვრება...

— ვიყვირებ, მომშორდი!

— მე გამოვისყიდი ჩემს დანაშაულს, დავიბრუნებ დაკარგულ ბედნიერებას... ჩვენს ძარღვებში ერთნაირი სისხლი სჩქეფს ლიდიას. შენ არ შეგიძლია გამცვალო სხვაზე! შენ ჩემი ხარ, ჩემი...

გაძნობს ლიდიას, რომ მართალია ნოდარი. მაინც ცდილობს



წამოდგომას, იბრძვის, თითქო ამ ბრძოლით სურდეს ოდესღაც ქმრისგან გათელილ თავმოყვარეობის გამოსყიდვა; მართალია ნოდარი, ერთნაირია მათი სისხლი, ერთნაირი მათი გულის თქმა; ძალა ეცლება, კედლებიდან გადმოდის სურათები და ფოქსტროტს უვლიან; ლიდია თითქოს საკირეში ჩაადგეს, ისე უხურს მთელი სხეული; ვნებით აყვანილმა მაგრად მოიზიდა ნოდარი და ხარბათ დაეწაფა მის ტუჩებს.

\* \*

ლამის სამი საათია. მგზავრებდაცლილ ქუჩების ღუმილს მეტლეების ოხუნჯობა და ცხენების ფრუტუნი არღვევს; კედელს მივეყრდნე, ხარბათ ვსუნთქავ გრილ ჰაერს და პაპიროსს ვეწევი; ჩემს წინ მკლავგაყრილმა წყვილმა ჩაიარა; უნებურათ დავაცქერდი; (სხვა საქმე არ მქონდა.) ქალი მეცნაურა; თვალები მამაკაცზე გადავიტანე, მამაკაცი შევიცანი; გამიკვირდა, ორი, სამი ნაბიჯი გადავდგი წინ და გავიფიქრე: — ეს ქალი ხომ ლიდიაა, სად იყო ნეტავ?

უეცრად გამახსენდა: — ბალ-მასკარადზე იქნებოდა; მახსოვს, როგორ მოუთმენლობით ელოდა იქ წასვლას. კაცი? ვანო აქ არ არის, ვინ უნდა იყოს?! კარგად დავაკვირდი.

— ეშმაკმა დალახვროს, კიდევ ის უცნობი, რამოდენიმე დღის წინად რომ ვნახე და ვერ შევიცანი; საიდან იცნობენ ნეტავ ერთმანეთს?! ან ვინ არის ის უცნობი! რალაც გაურკვეველი ეჭვები დამებადა. ისინი მიიმალენ, ცოტა ხანს კიდევ ვიდექი ქუჩაზე და შემდეგ ნელი ნაბიჯით გაუდექ გზას.

\* \*

მე პოეტი ვარ და ეხლა ვფიქრობ: ქალისთვის რომ განვიზრახო წერილის მიწერა, მგონი მაშინაც გამიძნელდეს ასეთი სასიყვარულო და თბილი სიტყვების გამონახვა, რომლებიც უხვად გაეფანტა ვანოს წერილში. არხის შესახებ მწერდა. რა აღტაცებით იყო ნაწერი! ჩემი მისამართი რომ არ სწერებოდა კონვერტს, უთუოდ ვიფიქრებდი: — ვანოს საყვარელ ქალისთვის მიუწერია ბარათი და შემთხვევით მე ჩამივარდა ხელში მეთქი. მისი სიხარული მე მაგონებდა იმ სიხარულს, რომელიც განმაცდევინა ახლად მიღებულმა პარტილეთმა. გვთხოვდა, არხის საზეიმო გახსნას შენ და თედო აუცილებლად დაესწარიო. როდესაც თედოს ვაჩვენე წერილი ის დაფიქრდა და მითხრა:

— არხის გახსნამდე შეიძლება მომიხდეს იქ წასვლა.

— რატომ? — შევეკითხე მე.



— შემდეგში ყველაფერს გაიგებ.—თითქო თავისთვის წაილაპარაკა და გვერდით მდგარ თანამშრომელს მიუბრუნდა:

— გუშინ რომ საქმე გადმოგეცით, იმის შესახებ, ცნობათა დართვით, წარმომიდგინეთ ხვალ მოხსენება. მას კი, თვალყური აღევნეთ; მიეცით საშუალება თავისუფალ მოქმედების; არ შეამჩნევით თუ ეჭვი გაქვთ აღებული...

უკანასკნელ სიტყვებზე რატომღაც უცნობი გამახსენდა, პირველად მეპაპიროსესთან და შემდეგ ლიდიასთან ნახული; მაგრამ მათ შორის დასაკავშირებელი ვერაფერი მოვინახე და გავჩუმდი.

\* \* \*

— ლიდია შინ არის?

— შინ გახლავთ, მობრძანდით.—მიმიწვია ლიდიას დედამ.

ლიდია გამოცვლილი მეჩვენა. სულიერ დაღლილობის და მოწყენის დაღი, რომელიც აჩნდა სახეზე პირველ შეხვედრის დღეს, ეხლა გამქრალიყო; მოძრაობა უფრო ცოცხალი ქონდა, კმაყოფილება უფარავდა სახეს და შავ თვალების სიღრმეში რაღაც მალული სიხარული იმალებოდა. ეს ცვლილება უფრო აღამაზებდა ლიდიას.

მხიარულად შემეგება.

— სად დაიკარგეთ, განა ასე უნდა მოგვიძულოთ?—მითხრა ყვედრებით და სკამისკენ მიმითითა. ბოდიში მოვიხადე, თავი მოუცვლელობით გავიმართლე და ჩამოვჯექი.

— ლიდია, წერილი მოიტანეს შენ სახელზე.—მოხუცმა ქალმა კონვერტი გადასცა; ლიდიამ დახედა.

— უკაცრავათ.—ჩაილაპარაკა; ფანჯარას მიუახლოვდა და კონვერტი გახსნა. კითხვის დროს სახე უსიამოვნებამ დაუფარა, ლოყებზე აღმურმა ვადჰკრა და აღელვება დაეტყუა. წერილი დაკეცა, იქვე დასდო და მომიახლოვდა.

— ძველი მეგობარი ქალი მწერს, უკანასკნელ დღეში არის და მთხოვს ვინახულო, — მითხრა ნაძალადევი ღიმილით.

იმ წუთშივე მივხვდი, რომ ცრუობდა; რაღაცას მალავდა. აჩქარდა, მოუთმენლობა თანდათან გაულრმავდა; ხშირად კითხულობდა საათს, ბოლოს ვერ მოითმინა და მითხრა:

— ბოდიშს ვიხდი, მაგრამ უნდა დაგტოვოთ; უნდა ვნახო აუცილებლათ, იქნებ დახმარება სჭირდება!..

— მეც იქით მოვდივარ, გაგაცილებთ!

— აჰ, არა.—შეშინებული ხმით დაიძახა ლიდიამ, მაგრამ შემდეგ მიხვდა ჩემი სურვილის მიმართ თავისი შიშის შეუფერებლობას და წაიდუღუნა.



— გმადლობთ, ნუ შესწუხდებით, ის აქავე ცხოვრობს!

მე ვგრძნობდი ამ წუთში, თუ როგორი მომბაზრებელი და საზიზღარი გავხდი ლიდიასთვის, მაგრამ ვერ მეპატიებია მისთვის სიცრუე, რომელიც უფრო დაამტკიცა მისმა შიშმა და უკანასკნელმა წამოძახილმა.

— ძლიერ გიყვართ უთუოდ ის მეგობარი, რომ მისთვის ასე ძლიერ სწუხართ და ჩქარობთ?— ლიდიამ უკვე ვერ მოითმინა და ხმა-ამოუღებლივ გავიდა მეორე ოთახში. მის თვალებში ჩემდამი აშკარა სიძულვილი სჩანდა. წერილი ფანჯარაზე იდო. სწრაფად მივედი. დავეხედე. კონვერტზე მამაკაცის ხელია. ცნობისმოყვარეობამ წამძლია და წერილი გავშალე. სულ რამდენიმე სიტყვა ეწერა:

კმარა აძღენი ყოყმანი, ან დღეს ან და მე ისევ დავბრუნდები უკან.

შენი ნოდარი.

ნაბიჯები მომესმა, წერილი სწრაფად კონვერტში ჩავდევი და ძველ ადგილზე დავჯექი. შემოსვლისთანავე ლიდიამ შეშფოთებული თვალები წერილისკენ ისროლა. დამშვიდდა როცა წერილი ძველ ადგილზე დაინახა.

მე ზედმეტად ვიგრძენი თავი და გამოვეშვიდობე.

ნოდარი... ნოდარი... ათასჯერ გავიფიქრე ეს სახელი. გაურკვეველათ, როგორც სუფთა წყალში ჩავარდნილ ქვას, ისე ვხედავდი ამ სახელის პატრონს ჩემ შორეულ წარსულში. ნოდარ უთუოდ ის უცნობია, რომელიც ლიდიას ახლდა იმ დამით. ის უცნობი მეცნაურება, ეს სახელიც არ არის უცხო... ნოდარ... დაჟინებით გავიმეორე, თითქო მინდოდა ამომეთხარა მეხსიერებიდან მისი სახე. ნოდარ... კიდევ გავიმეორე. თავი მეტკინა; სახელიც თითქო დაიშალა და რაღაც უბრალო, უაზრო სიტყვად გადაიქცა.

ყოველივე ჩემს იქვებს ვანოს გაუზიარებ, მაგრამ შეიძლება ვცდები; შეიძლება ლიდიას ფიქრადაც არ მოსვლია ოჯახის წესიერების დარღვევა?! ან რა ფაქტები მაქვს? განა არ შეიძლება არსებობდეს ვინმე ნოდარი და ლიდიას მასთან... მაგრამ რა, რა დამოკიდებულება უნდა ქონდეს ლიდიას იმ უცნობათნ?! წერილის ტონის მიხედვით მათი დამოკიდებულება არ შეიძლება ჩაითვალოს უბრალო ნაცნობობათ.

\* \* \*

— ნოდარ, შენ მაწვალებ. მთხოვე რაც გინდა, სიცოცხლეს შეგწირავ. ცეცხლში გადავვარდები შენი გულისთვის... მონათ გავიხდები, ოღონდ მაგას ნუ მთხოვ... არ შემიძლია! განა შენთვის ცოტაა ჩემი სიყვარული? მე დავივიწყე ჩენს შორის მომხდარი უთან-



ხმოება, ჩემი შეურაცყოფა, თავმოყვარეობის გათელვა და ისევ მრ-  
ვედი შენთან. ხომ ხედავ რა რიგ ძლიერია ჩემი სიყვარული, შემე-  
ბრალე.

კუთხიდან მამაკაცი წამოდგა და სავარძელზე დამხობილ ქალს მიუახლოვდა.

— ან ჰო ან არა, გესმის! შენ უნდა მოიპარო არხის გეგმა. ის არხი უნდა დაიქცეს. საზღვარ გარეთელი კომიტეტი დაჟინებით მოითხოვს ამას. ეს დავალება მე მომანდეს, შენ უნდა დამეხმარო ამ დავალების ასრულებაში.

— არ შემიძლია...

— შეიძლება!— კბილების ღრჭენით გამოეხმაურა მამაკაცი.— აფეთქების დრო ერთი კვირის შემდეგ არის. წინა დღით გამოიხმობ სოფლიდან ვანოს. მიზეზად რაც გსურდეს ის მოიგონე. ეშმაკაც დალახვროს! შენი ავადმყოფობა მისწერე, ერთი სიტყვით ის უნდა ჩამოვიდეს აქ. აფეთქების ღამეს უნდა იყოს შინ. თუ შენიშნა რომ სიკვდილის გარდა იმ ღამეს სახლში მას ვერაფერი ვერ დააკავენ, მაშინ სიკვდილიც მოიშველიე. შემდეგ კი... ნოდარს ხმაში სირბილე დაეტყო:— ჩვენ დავიწყებთ ბედნიერ ცხოვრებას. საზღვარ გარეთ წავალთ. შენ სურვილს კანონად გადავაქცევ ჩემთვის. ხომ გიყვარვარ. ჩემი სიყვარულისთვის, ჩემი სიცოცხლისთვის უნდა ჩაიღინო ეს...

სავარძელზე ჩამოჯდა და მკლავები მოხვია.

— ღმერთო ჩემო!

როგორ ბორკავს მის გონებას ნოდარი. ჰიპნოზის ძალა თუ აქვს თვალეში, ისე იმორჩილებს ლიდიას ნებას. ნოდარ განაგებს მის ფიქრებს და უკარგავს საკუთარ მოქმედების საშუალებას. ნოდარის გავლენას ისე შეუბოჭავს ლიდიას სხეული, რომ მზათ არის შეუსრულოს სურვილი.

— შეასრულებ!— ესმის ვედრებით სავსე სიტყვა ლიდიას.

ეს ვედრება კი არა, ბრძანებაა. ეს სამაგიეროა იმ ტკბილ წუთებისთვის, რომელსაც აძლევს ნოდარი თავის ალერსით ლიდიას. გრძნობს ლიდიას, ერთი უარი და ეს წუთები გაჰქრებიან. მაშინ რა დარჩება ლიდიას? არაფერი, გარდა სულის შემსუთველ ოჯახისა... ძლივს იპოვა გულმა საზრდო და ეხლა დაჰკარგოს?! ეშმაკაც წაიღოს ყოველივე. აუსრულებს... განა შეუძლია უარი უთხრას ლიდიამ იმ კაცს, რომელმაც ასეთი ვნებიანი ალერსი, ასეთი ხორცის სიყვარული იცის?!

— ხვალ, ხვალ მოგიტან გეგმას... წერილსაც მივწერ... ჩურჩულებს თავდავიწყებაში გადასული ქალი.



თენდებოდა, როცა ლიდია გამოვიდა ნოდარიდან; ირგველივ ქუჩები დაზვერა და ჩქარი ნაბიჯებით თხელ ნისლში გაეხვია. ნოდარი უცქერდა ფანჯრიდან; ტუჩზე დამცინავი ღიმილი ერეოდა.

— კიდევ უყვარვარ. როგორ დააბრმავებს ქალს სიყვარული და მოუჩლუნგებს გონებას?! ნუ თუ ვერ გრძნობს ლიდია, რომ ის მხოლოდ იარაღია ჩემთვის და სხვა არაფერი?!

გესლიანად ჩაიცინა და ფანჯარას შოშორდა.

\* \* \*

მხოლოდ ამ დღით იგრძნო ლიდიამ ნოდარისადმი მიცემულ პირობის საშინელება. დაშხამულივით წამოიჭრა საწოლიდან.

— გეგმა უნდა მოიპაროს, ხელი უნდა შეუწყოს არხის აფეთქებას; უნდა უღალატოს ქმარს, რომლისგანაც რამდენიმე წლის განმავლობაში პატივისცემის და მეგობრობის გარდა, ცუდი არაფერი ახსოვს. ეხლა ეს ყველაფერი უნდა დაივიწყოს, გათელოს... და მერე ვისთვის! ნოდარისთვის? რომელმაც ოდესღაც ვერაგულათ ქუჩაზე უპატრონოდ დასტოვა და თითონ გაიპარა. არა! არა! ლიდია ამას არ ჩაიდენს, ლიდია ვერ დაივიწყებს იმ პირველ მეგობრულ ხელს, რომელიც მას ვანომ გაუწოდა. ლიდიას ახსოვს ის დღეები, როცა ისინი იზიარებდნენ ერთმანეთის ჭირსაც და ლხენასაც. განა ლიდიას არ აინტერესებდა ვანოს საქმიანობა, ვანოს შრომა, რომელშიდაც ის მხურვალე მონაწილეობას იღებდა ერთ დროს?! განა მათ არ აკავშირებთ შვილი? ახსოვს ლიდიას, რა დიდი სიხარული განიცადა მაშინ, როცა ვანოს წიგნი გამოიცა. ყოველ სტრიქონს, ყოველ აზრს განიცდიდა ის და ეს განცდა მას ბედნიერებით ავსებდა. ლიდიას სულს ფლობდა ვანოს სიზვიადე და უსაზღვრო მეგობრობა, რომელიც მას ქონდა ლიდიასადმი. მაშ ეხლა. რამ შესცვალა? რა კავშირი აქვს მას ნოდართან, ურომლისობაც არ უგვრძნია დღემდე! რა დააკლდა მას ნოდარის წასვლით, რა აქვს საერთო ნოდართან?!

რა აქვს საერთო?

აი, ამ წუთში ნოდარის ხსენებაზე ლიდიას სხეულში სისხლის დუღილი იწყება, გულს ისეთი ტკბილი ტალღები ასკდებიან, რომლებიც არასოდეს ვანოსთან არ უგვრძნია. გრძნობდა ლიდია ამ ტალღების დანაკლისს. მისი ხშირი მოწყენილობის მიზეზი, აი თურმე რა ყოფილა! ეს დანაკლისი ნოდარმა შეუქსო. მას აკლდა სიყვარული, ვანოსაც ხომ უყვარს? ის სიყვარული სხვაა, არა ისეთი რომელსაც ის ნოდარში პოულობს. ვნების წინაშე უძლურია მისი გონება. ვნება, ხორციით ტკბობა ყველაფერია ლიდიასთვის. ის მიზანია, სიცოცხლეა. ვანო კი სხვაა, ის საწოლშიდაც თანასწორია, ჩვე-



ულებრივი. ლიდის სხეული მეტს ითხოვს... მისი სხეული მონა ვნების. განცხრომა, თავდავიწყება, აი მიწა, რომელზედაც ხარობს ლიდის გული. ამ სურვილების დაკმაყოფილებას ლიდია ნოდარის სიყვარულში ხედავს. ლიდამ იცის რომ ნოდარი თავისი შინაგანი ბუნებით ძლიერ დაბლა სდგას ვანოზე; ის ვერაგია, გამცემი, სულმდაბალი, მაგრამ ხორცილთ ეკუთნის მას. ერთია მათი სისხლი. ლიდია ვერ დასთმობს ნოდარს, ის იყიდის ნოდარის სიყვარულს იმ მსხვერპლით, რომელსაც ის მოითხოვს. მოიპარავს გეგმას... ან ნოდარ, ან ვანო... ღმერთო ჩემო, რა ძნელია ამ ორ კაცს შორის არჩევანი. ნუ თუ არ შეიძლება უმსხვერპლოთ?! ნუ თუ არ შეიძლება საქმის ისე მოწყობა, რომ არც ვანო, არც თითონ დაზიანდეს? ნუ თუ არ არსებობს მესამე გზა? ნოდარის წასვლა ლიდის ცხოვრების დამსხვრევას ნიშნავს. ვანოს გაცემა სულმდაბლობაა... ღმერთო ჩემო, მესამე გზა... მაგრამ სად არის ეს მესამე, მიჩვენეთ! არც ვანოს უღალატოს, არც ნოდარი დაჰკარგოს.. მესამე გზა, მესამე გზა.... საწოლზე დაემხო. გავიდა რამდენიმე საათი, შებინდდა. ლიდია წამოდგა; დილით დასახრჩობ დამნაშავესავეთ უახროთ ვახედა ფანჯარაზე გაკრულ საღამოს. უეცრად შუბლზე ხელი ვადისვა და გაბრწყინებული თვალეებით მიუჯდა საწერ მაგიდას. ორი წერილი დასწერა, კონვერტებში ჩააწყო. ფანჯარა გააღო, ნაცნობ მედუქნის ბიჭს დაუძახა და ფოსტის ყუთში ჩასაშვებათ გადასცა. შემდეგ მობრუნდა, შემკრთალი თვალეებით დერეფანი და წინა ოთახი დაათვალიერა, მძინარე დედას გადახედა. როცა დარწმუნდა სრულ სიმარტოვეში, ფრთხილი ნაბიჯებით ვანოს ოთახისაკენ გასწია. საწერ მაგიდის უჯრა გამოაღო. ქაღალდები გადასინჯა. თეთრი, მსხვილი ხაზებით დასერილი ქაღალდი ამოიღო, შეახვია და ისევე ფრთხილი ნაბიჯებით დასტოვა ოთახი და საჩქაროდ ქუჩაში გამოვიდა.

\* \* \*

— გელოდი—მითხრა თედომ—საქმე ჩვენ მეგობარ ვანოს ეხება. ყველა ცნობები სისწორით არის შეკრებილი.—მაგიდაზე თეთრი დახაზული ქაღალდი გაშალა.—ეს იმ არხის გეგმაა, რომელსაც ვანო ხელმძღვანელობს. აი აქედან უნდა გადმოვარდეს მდინარის წყალი; არხის დამთავრებამდე ეს ადგილი ჯებირებით არის გამაგრებული. ეს ნაწილი,—შუა ადგილზე დაადო ხელი,—რომ აფეთქდეს, მაშინ მთელი არხი დაიქცევა და ორი წლის შრომა უქმად ჩაივლის. წყალი კალაპოტს გაარღვევს, დიდი სიძლიერით და რაოდენობით თხრილებში გადაიჭრება და ყველაფერს გააფერანებს. შეიძლება ადამია-





ნიც იმსხვერპლოს, რადგანაც უკანასკნელი სამზადისია წყლის გად-  
მოსაგდებათ და ღამითაც მუშაობენ.

გაკვირვების მეტი არაფერი შემეძლო.

— რა შუაშია აქ აფეთქება!

ქალაღი დაჰკეცა, მკლავებზე თავი დააყრდნო და ჩვეულე-  
ბრივი, ცივი ხმით მითხრა:

— არხის აფეთქება სურთ.

სკამზე შეეხტი.

— ვის? რატომ! საიდან გაიგე!

— მომისმინე. ბევრი ლაპარაკი არ არის საჭირო. საზღვარგა-  
რეთელი კომიტეტი მოქმედობს. აფეთქებას ხელმძღვანელობს, არა-  
ლეგალურათ დაბრუნებული ემიგრანტი. მათი კურსი, ჩვენი აღმშე-  
ნებლობის ძირის გამოთხრაა. ჩვენის მხრით ზომები მიღებულია; სა-  
ჭიროა მხოლოდ ვანოს პირადად ნახვა და გაფრთხილება: ბოროტ  
გამზარხველების იჭვის თავიდან ასაცილებლად მე მინდა ეს საქმე  
შენ დაგავალო.

ყოველივე იჭვი ამ შეთქმულების არსებობის ირგვლივ ამ წე-  
რილმა გაჰფანტა. ჯიბიდან ქალაღი ამოიღო და გადმომცა:

— თიანეთის არხის აფეთქება სურთ. დრო—27 აპრილი, ღამის  
12 საათი.

სამჯერ გადავიკითხე.

— რას იტყვი?

— ქალის ხელია. ვინ იქნება ნეტავ, ან რა შუაშია აქ ქალი?!  
თედომ შემაწყვეტინა.

— თავის დროზე გამოვარკვევთ. ხვალ გამეზგავრები ვანოსთან.  
ეხლა მშვიდობით.

როდესაც შინ მივდიოდი არ მომასვენა ფიქრებმა. ის  
იჭვები, რომლებიც ჩემში არსებობდნენ, თანდათან გაღრმავდნ და  
უფრო მეტი ბურუსი შემომეხვია. ვაწყობდი ფიქრს ფიქრზე, მინ-  
დოდა მათ შორის კავშირი მომენახა. სადღაც გულის კუნჭულში  
სუსტათ ვგრძნობდი რომ ბოროტ განზარხვასთან რაღაც კავშირი  
აქვს იმ უცნობს. ამ გრძნობას უფრო ამძაფრებდა თედოს მიერ მი-  
ღებული ხელმოუწერელი წერილი, მაგრამ არავითარი დასაყრდნობი  
საბუთი არ მქონდა და ვერ ვაძლევდი ფიქრებს ერთ მიმართულებას.

მეორე დღეს გაუდექი გზას. ვანოს სამყოფ ადგილამდე ნახე-  
ვარი დღის სავალი გზა იყო. მატარებელი ნახევრათ მიმოკლებდა ამ  
მანძილს; დანარჩენი გზა უნდა გამეგლო ცხენით. საღამო იქნებოდა  
როცა მუშების მთავარ სადგომს მიუახლოვდი. სადგომის გვერდით  
მიღმუოდა ვეებერთელა მდინარე. სადგომიდან რამოდენიმე საყენის



ქვევით, სადაც მდინარე სამხრეთიდან ჩრდილოეთისაკენ უხვევდა, იყო გაკეთებული უზარმაზარი ჯებირები. ამ ჯებირებიდან იწყებოდა მთავარი არხი, რომლის სიღრმე და სიგანე ორ საუენს უდრიდა. მთავარი არხი მიიკლანებოდა რამოდენიმე ათეულ ვერსზე... გზა და გზა მთავარ არხიდან იყო გაყვანილი პატარა არხები, პატარა არხებიდან თხრილები, რომლებიც სჭრიდენ თვალუწვდენელ სათესველებს და გოლვის დროს უზრუნველყოფდენ წყლით. წყლის გადმოსაყვან ნაწილის გარდა, მთელი სამუშაო თითქმის მოეთავებიათ. ალაგ ალაგ, სადაც თხვიერი მიწა შესაძლებლათ ხდიდა წყლის მოწოლით, არხის ნაპირების ჩამონგრევას, ამაგრებდენ ქვის ორმაგი კედლებით. გაცხარებული მუშაობა სწარმოებდა არხის სათავესთან. აქ წყალი ისე ძლიერათ სცემდა, რომ მის ნორმალურ დენის ხელშესაწყობად ჩვეულებრივ ფარებს არ ევარგნათ, ამიტომ რუსეთიდან გამოეწერათ სათანადო მასალები და სცვლიდენ ძველებს.

მისვლისთანავე ვანოს ძებნას შეუდექი. აქ არ აღმოჩნდა.

— დილით, მეზობელ სოფელში, არხზე აგებულ ხიდის დასათვლიერებლათ წავიდა, ვახშობობამდე არ დაბრუნდება.— მითხრა სადგომის დარაჯმა.

ცდა არ შემეძლო. ვინ იცის, იქნებ რამე შემთხვევს და დილამდე არც დაბრუნდეს! აუცილებლათ უნდა ვნახო დღეს, თორემ ხვალ შეიძლება გვიან იქნეს!

ცხენი გამოვიცვალე, გამყოლი ვიშოვე და დაუსვენებლივ გაუდექე გზას. მთვარიანი ღამე იყო, ამიტომ მიუხედავად გზების უვარგისობისა მანძილი ჩქარა გავიარეთ და სოფელში შევედი.

— აი, იმ ქოხში იქნებიან.

მითხრა გამყოლმა და სოფლის ბოლოსაკენ გაიშვირა ხელი. ცხენებს მოუჩქარეთ.

რადც ცუდი წინათგრძნობა ჩამეჭრა გულში.

— იქნება იქ ვანო?— მეთავერ შევეკითხე გამყოლს. წინათგრძნობამ არ მიმტყუნა.

— ვანო დღეს წავიდა ქალაქში.— მითხრა უფროსმა მუშამ და სკამი მომაწოდა. ვიგრძენ რომ მუხლი მომეკეცა.

— რატომ, როდის?

— შუადღით. ქალაქიდან წერილი მოუვიდა, მეტად ეწყინა და აჩქარდა. საქმე უკვე გათავებული გვქონდა; იმ წუთშივე ცხენი მოიხზოვა და გასწია. წერილი მგონი აქ არის.

— წერილი სად არის, მიჩვენეთ!— არა ჩემი ხმით დავიყვირე და განცვიფრებულ მუშას ხელში ვეცი.



თრთოლვით გავხსენი.

უკანასკნელ დღეში ვარ, ჩამოდი ლილია.

შუბლზე ხელი გადავისვი, თვალები მოვიფშენიტე და კიდევ დავხედე წერილს.—ეს ხელი, ნერვიული სტრიქონები?! ამ წერილის დამწერის ხელი ძლიერ გავს თედოს მიერ მიღებულ წერილის ხელს. იქვე არ არის, ის წერილიც ლილიას ნაწერია, მაგრამ რას ნიშნავს ეს ორი წერილი?! რას ნიშნავს თედოს გამოწვევა, ან რად დასჭირდა ლილიას საგანგებო კომისიაში უსახელო წერილის გაგზავნა?! ვცდილობდი აღმედგინა გონებაში ყოველი წვრილმანი. აშკარა გახდა ჩემთვის, რომ ბოროტგანზრახვა ლილიამაც იცის, მისი ავადმყოფობაც მოგონილია, თორემ ჩემამდისაც მოაღწევდა უთუოდ. ფიქრის დრო არ არის. ვანოს უნდა გაფრთხილება, უნდა ვაცნობო როგორმე!

თენდება. ჩემი წასვლა შეუძლებელია, მე აქ დავრჩები და შეძლებისამებრ შევეცდები ვანოს შეცვლას.

— შენ ბოლშევიკი ხარ?

მიუბრუნდი ქოხში დამხვდურ უფროს მუშას.

თავის ქნევით დამეთანხმა. გარეთ გამოვიყვანე.

— ბევრს ნუ მკითხავ, საქმე არხის ბედს შეეხება. ეხლა გამგზავრები ქალაქში ჩემი ცხენით და ინახულებ ვანოს. მასთან ერთად შეიარ საგანგებო კომისიაში და იქ გახსნით ამ ბარათს.


საჩქაროთ რამდენიმე სიტყვა დავწერე და გადავეცი. მთელი ლამის უძინარს თვალები დამეკეცა. დაღლილმა მხრებმა მტვრევა დამიწყო; თავს დავაძაღე და უკან გამოვბრუნდი. შუადღისას სადგომთან მივალწიე; ქარხკომის მდივანი მოვხახე, დაწვრილებით აუხსენი საქმის მდგომარეობა და შემდეგ კუნძივით მივეგდე კარავთან. ორი დღე ფეხზე ყოფნამ თავისი გაიტანა და ჩამეძინა.

\* \* \*

უსახლგრო შიში შემოასკდა გულს, როცა გავიღვიძე და შევამჩნიე ლამის მოსვლა. თვალები მოვიფშენიტე და ფეხზე წამოვვარდი; გვერდით თავშეკავებული სიცილი მომესმა. სიბნელეში თედო შევნიშნე, სიხარულით მივვარდი.

— ნუ ხმაურობ, თერთმეტი საათია, ყველაფერი რიგზეა ჯერჯერობით, შენგან გამოგზავნილი კაცი მოვიდა სწორეთ იმ დროს, როდესაც ჩვენ ავტომობილით წამოსვლას ვაპირებდით. მე თითქო ვგრძნობდი ვანოს აქ არ დახვედრის შესაძლებლობას და ამიტომ, შენი წამოსვლის შემდეგ, ჩვენი თანამშრომლები გამოგზავნეთ. მთელი არხის მიდამოები შეკრულია.. ან ჩიტად, ან გველად უნდა გადიქცენ რომ შესძლონ ჩვენს რკალში შემოპარვა.





— ვანო სად არის?

— საავადმყოფოშია, უგრძობლად; დასაძინებელი წამალი და-  
ულევენიებით!

— ლილია?!

— ლილია?— წყნარათ გაიცინა თედომ:— არსად არ სჩანს, დი-  
ლით ნივთები შეუკრავს და წასულა!

ჩემთვის ყოველივე ნათელი გახდა.

— ორი კურდღლის ერთად დაჭერა! შესაძლებელია ეს? გავი-  
ფიქრე და თედოს შევხედე.

— რას ფიქრობ ყოველივე ამის შესახებ?

— ლილიას რაღაც კავშირი აქვს ემიგრანტთან!

— ნოდართან?

— ვინ სთქვი?

— ნოდარ.

— საიდან იცი მისი სახელი!

მე დაწვრილებით უამბე ყოველივე, და ჩემი იჭვებიც გაუზიარე  
ამ საქმის ირგვლივ.

— ნოდარ!— ჩაილაპარაკა თედომ და დაფიქრდა.

შორი ახლოს სტვენა მოისმა; სტვენითვე უპასუხეს.

— მე მივდივარ, შენ აქ დარჩი, ეხლა საჭირო არ ხარ.

თითქო თავისთვის ჩაილაპარაკა და სიბნელეში გაჰქრა. საუკუ-  
ნობად მეჩვენებთან წუთები მოლოდინში. ისეთი ღუმილია, რომ  
ჩემი სუნთქვაც მაშინებს. უეცრად სირბილის ხმა მომესმა, გაურკვე-  
ველ ხმაურში თედოს ღრისხანე ბრძანება გავარჩიე, ვილაცამ მწარეთ  
დედა შეივინა. გაისმა სროლა, მჭახე მხმები.

რამოდენიმე წუთის განმავლობაში ღამის ღუმილი გაავსო ხმაურ-  
მა, შემდეგ ყოველივე მიწყნარდა.

სიბნელიდან გამოცურდა თედო.

— მორჩა!

წაიდუღუნა და ხეს მიეყრდნო.

— რამდენი არიან?

— სამი.

— ის?

— აქ არის.

შორით ლანდები გამოჩნდნენ.

თედომ წუმწუმას გაჰკრა.

— მგონი დამჭრეს, არა უშავს, მსუბუქი კრილობაა... აი, ეს  
ხალათი გამომართვი...



— ეხლავე ხევიხვევ. მანდ არა, ცოტა ზევით... მაგრათ შეჰკარი...  
ქმარი მოვიხსენი; შეხვეული მკლავი ჩამოუყიდე და ავტომობილისკენ გავსწიეთ. დილამდე ქალაქში შევედით; საგანგებო კომისიასთან თედოს დავცილდი.

— საავადმყოფოში წადი, ვანოს მდგომარეობა გაიგე და სალამოთი ჩემთან შემოიარე!—მითხრა თედომ.

\* \* \*

— ნახე? როგორ არის?—შესვლის უმაღლვე მომვარდა თედო.

— კარგათ, ექიმებს მალე განკურნების იმედი აქვთ, ლიდიასი ვერაფერი გაიგეთ?

პასუხის მაგიერ წერილი გადმომცა.

საჩქაროთ გავხსენი და გადავიკითხე.

სიცოხლის უკანასკნელ წუთებში არ სცრუობენ... რა საჭიროა!

მე ვცდილობდი გზა-ჯვარედინიდან თავის დაღწევას.

ნოდარ დააპატიმრეს, შენ ჩემთვის დაკარგული ხარ... მე ვეძებდი მესამე გზას და ხელავ ამ გზამ სანამდის მიმიყვანა... მაპატიე ვანო...

ლიდია.

თავი ავსწიე:

— დღეს დილით ლიდია მკვდარი ენახათ ნოდარის ბინაზე. ვდუმდით.

— იცი ვინ არის ლიდიას ქმარი?

უეცრად შემეკითხა თედო.

— ვინ?

— გახსოვს, ჩვენ შავ წარსულში ქარხნის უფროსი ნოდარი?


ეს სიტყვები ტყვიასავით მომხვდენ გულზე; აი თურმე საიდან მეცნობოდა მისი სახე.

— როგორ გაიგე?

— პირველ შეხედვისთანავე მეცნაურა ის კაცი; როდესაც შენ მისი სახელი მითხარი, მაშინ რალაცა აზრი დამებადა; თედომ წყნარად ჩაიციხა:—ხომ გახსოვს ის დილა, როცა მოსაკლავად დავეცი ნოდარს და ცოცხალი გადამიჩრა. აქ დაბრუნებისას კაბინეტში გამოვიხედე, ხალათი გავაფინე და მის ორივე ბეჭებზე ჩემი დანის წვერით ამოთხრილ პირშეკრული ჭრილობები აღმოვაჩინე...

29 აპრილი  
ტფილისი





## ნარკვალები

(გაგრძელება)\*

სოფელი.

ღრუბლიანი საღამოა, ნაწვიმარი.

ცივა.

ქალბატონი ელო ბუხართან ზის.

ბუხარში ტკრციალებს ცეცხლი.

ელო ჯოხით ნაცარზე ჰხატავს სურათს, მაგრამ თითონაც არ იცის რას... დაღონებულია ელო და მიტომ შეექცევა მხატვრობას.

ელოს ბევრი ფიქრი აწუხებს.

ელომ არაფერი იცის ვასოზედ; თანაც მოშიებულობა და სწუხს. შიმშილი, რასაკვირველია, შეაწუხებს ყველას.

მართალია, ელომ სოფელში ტომრებით ჩამოიტანა ბონები, მაგრამ რად უნდა.

დაეცა ბაზარზე ბონების ფასი.

ბონებს არაფერ ეტანება.

არც არის პური, არც ხორბალი.

დაცარიელდა სასიმიინდეები.

თარეშობს შიმშილი ყველგან: ქალაქში, სოფლად.

შიმშილის დროს მაინც ყველას უფრო შია.

გადიდებულია ამ დროს კუჭის მოთხოვნილება.

ვაი უბედურება, თუ მოიგდე საჭმელი!

სჭამ და სჭამ.

არ ექნება ბოლო ამ ჭამას.

ბესარიონ (ელოს მამა) ყოჩალი და ფხიზელი მოხუცი იყო; იგი სადღაც შოულობდა კოთხოვებით სიმიინდის ფქვილს და ახარებდა ოჯახს.

ელო მჭადს აცხოვდა.

მართალია, მან არ იცოდა მჭადის გამოცხოვა, მაგრამ ისწავლა ერთბაშად.

ერთ საღამოს ელო უზომოდ დააძლა ცხელ მჭადს და სულუგუნს. ელომ გვიან იგრძნო გაძლომა და ძლივს მოინელა.

გადაურჩა ხიფათს.

\*) იხ. უფრ. „პროლეტ. მწერლობა“ № 3.



ელო ერთბაშად შეეჩვია ცხოვრების გამოცვლას.

თუ ჰქონდა სკამდა მჭადს, თუ არა, მაშინ იტკვირებოდა თხი-

ლის მარცვლებს.

თხილი ბლომად ეყარა ბესარიონის ოდის სხვენზე.

ეხლა:

ელო ზის ბუხართან.

გუზგუზებს ცეცხლი.

ელო ხატავს ნაცარზე და აზმორებს, იზნიქება.

იქვე ზის ქრელი კატა და იბანს პირს.

„პირი შავი ზღვისკენა მიქცეული: ისევ ავდარი იმუქრება.

ციცი, შე ეშმაკის გაჩენილო!“.

კატა ჯორკოს ქვეშ შეძვრა.

უცებ:

ელოს სლუკუნი აუტყდა.

„ვასო თუ მახსენებს“—წარმოსთქვა ელომ, დაილოკა ცერის

ზურგი და წარბებზე ჩამოისვა.

ჩამოჰყვა თმა.

ელოს ნაღვლიანად გაეცინა.

მერმე:

დაღონდა და ღრმად ამოიხენეშა.

ბესარიონმა ქალაქიდან საზარელი ამბავი ჩამოიტანა: ვასოს

გაქცევა საზღვარგარეთ.

ელო ჰკიოდა მთელი ღამე განუწყვეტლივ.

სტიროდა ბავშიც.

ბავშს ამინებდა დედის კივილი.

ეზოში ჰყმუოდა ქოფაკი.

შეწუხებული მეზობლები იწყევლებოდნენ.

ზოგიერთები კი მოდიოდნენ და მოჰქონდათ ნუგეშები.

ისევ დედაქალაქი.

ღრუბლიანი ღამეა.

პიერ ლოგინში წვეს და კითხულობს ჯონ რიოსკინის ლექცი-  
ებს ხელოვნებაზე.

უცებ:

კარებზე კაკუნი მოისმა.

განმეორდა.

პიერ გაშეშდა.



„ვინ უნდა იყოს ამ შუალამეზე, თუ არა ავი სულელები...“  
ლუპე! — გაიფიქრა მან და კარი გააღო.

ჩეკისტები იყვნენ.

— ქარიყლაპაძე ბრძანდებით?

— დიად...

— წამოხვალთ ჩვენთან.

— როდის?

— აი ეხლავე.

წაიყვანეს.

მერმე:

პიერ მალე დაბრუნდა შინ, რადგან სხვის მაგიერ შეეპყრათ.  
განთავისუფლეს.

პიერს ნერვები ძლივს დაუმშვიდდა.

ამის შემდგომ მან უფრო თამამად და სასჯელმოხდილად  
იგრძნო თავი.

გავიდა კვირები.

ცხოვრება ჩადგა ნორმალურ კალაპოტში.

საბჭოთა დაწესებულებებმა იწყეს მუშაობა.

ხალხს დაედო სხვა იერი, სხვა ხალისი.

პიერ თანდათან გათამამდა და გაიმართა წელში, მაგრამ ბე-  
ვრი რამ აკლდა...

ერთ დღეს პიერმა ბართი მიიღო სოფლიდან,

ელო იწერება ვასოს ლტოლვის შესახებ.

პიერს თვალთ დაუბნელდა.

ჩაიკეცა.

ბედმა უწია:

გავიდა მისი ამხანაგი და გამოაბრუნა, მოასულიერა, დაამშვი-  
და.

მერმე:

პიერ ებრძოდა თავის თავს და მუშტებს ბრაგა-ბრუგი გაჰქონ-  
დათ კოპიტის მაგიდაზე.

იღბალი: მაგიდა მაგარი იყო.

ბოლოს:

ამხანაგმა, როგორც იქნა, გაიყვანა ქუჩად.

პიერმა იხილა ისევ ნაცნობი ქუჩები და სულში სიმშვიდე იგრ-  
ძნო.

მაშინ:

მოაგონდა, პიერს რომ მთელი დღე არაფერი ექამა.

კაპეიკიც არ ჰქონდა.

ამხანაგმა შეიყვანა მაშადი-ალი--რუსტამ-ოღლის სპარსულ სა-  
სადილოში და რალაც იყო სჭამეს.

პიერ უწინ არ მიეკარებოდა მაშადის სასადილოს, ახლოც არ  
გაივლიდა.

ეხლა კი შევიდა არხეინად, მადიანად.

რას იზამ!..

გავიდა თვეები. . . . .

კვირა დღეა.

პიერ სოლოლაკის ქუჩის კუთხესთან სდგას და აბრას ათვა-  
ლიერებს.

უცებ:

მის წინ ქალმა ჩაიარა კისკისით.

ის იყო თალო.

მას ვილაც ახალგაზრდა ებაასებოდა.

პიერს ერთბაშათ მოეწონა თალო და თავში სიციხე აუვარდა.

„ო, რა ვნება, რა სურნელოვანი სხეული, ოჰ, ოჰ, ოჰ!“ თი-  
ქრობდა გულში, და მსუნაგად ათვალეირებდა და ბრაზიანად სკიმი-  
ვდა კუნთებს.

თალომ ჩაიარა თავისუფლების მოედანი და ტრამვაი № 5-ში  
ჩაჯდა.

პიერ უჩინრად აედევნა.

გაქანდა ტრამვაი.

პიერს დაეკარგა თალო ვერის დაღმართთან.

ეძია.

ვერ იპოვნა და შეწუხდა.

მერმე:

პიერ „ქიმერიონმა“ იხსნა ნალელიან მდგომარეობიდან.

თალო მიდიოდა ანასტასიევის ქუჩაზე.

მისმა თვალებმა პირველად იხილეს ტფილისი.

შეიძლება კიდევ კარგა ხანს არ ენახა თალოს ეს ქალაქი, მაგ-  
რამ მისმა მძიმე სახის ავადმყოფობამ დააჩქარა ეს შემთხვევა.

— ოი, маман რა ვეება ქალაქი ყოფილა ჩვენი ტფილისი!  
вот город, понимаю. ლონდონი და პარიკიც ასეთივე ყოფილან  
თურმე. ჩვენი ზღვისპირი? ფუ, какая пародия!. Маман, маман,  
იცი, არ მინდა დაბრუნება! О, тут так приятно, так прекрасно!..



ხა... ხა... ხა!..—ებასებოდა ქალბატონ პუპის და აღწერდა ტფილის უბნებს, ქუჩებს, შენობებს, ყველაფერს, რაც კი ენახა.

თალოს აღრჩობს საშინელი სიზმრები დედაქალაქზე.

სიზმარში: ვიტრინები ბუებით, მუფტებით, კვერნას ტყავებით, ძვირფას ხელთათმანებით, სათუთად ნაქსოვ ვალანსიებით, კომბინეზონებით, ვარდის და ზურმუხტის ფერ ზონრებით შემკულ პერანგებით.

ვიტრინები: კოსტიუმებით, ფერად ფეხსაცმელებით.

ვიტრინები: ოდეკოლონებით, სურნელოვან წყლებით, პუდრებით და სხვა საქონლით.

თალოს არ ჰქონდა ძილი.

თალო შფოთავდა და მუდამ ელანდებოდა რამე...

ბოლოს:

პიერ ამოვიდა „ქიმერიონიდან“ ღვინომორეული და გაჰყვა რუსთაველის გამზირის განიერ ტროტუარს.

ცაცხვის ქვეშ თავი მოეყარათ ახალგაზრდებს.

მათ მოეშვათ თმა ბერებივით და საყელო ჰქონდათ შეხსნილი.

პიერ შეიჭრა ახალგაზრდების წრეში და ტუჩებზე დორბლ-მოდებული ამბობდა ლექსს.

ყველა იცინოდა.

შუცებ:

მოაგონდა პიერს თალოს თბილი სახე და ვერის უბნისაკენ გასწია.

მაისის გრილი საღამო მთვარისფერ ყელსახვევივით ახვევია ქალაქ ზღვისპირს.

ქუჩებში დადიან ადამიანები.

ეხლა:

სულს იბრუნებენ ისინი, დღევანდელ მზისაგან შეხუთულნი.

„შეიცვალა ქორონიკონი, ადრე დადგა პაპანაქება“—ამბობენ მოხუცები.

„იცოდე, კარგი არ მოელის ქვეყნიერებას“.

„კარაბადინიც ასე სწერს“.

ახალგაზრდები ისმენენ პესიმისტურ ჩივილს და იცინიან.

გრილია ღამე.

და ღამე ცრის დანამულ გარინდებას ქალაქის კეფაზე, ნაოჭიან შუბლზე, სახურავებზე, გუმბათებზე, ფორუმებზე და ერთი სიტყვით, ყველგან.

თეატრის წინ კი ზუზუნებს სასულე ორკესტრი.

ეს ზუზუნი იზიდავს ხალხს.

ისე მას არავინ ეკარება.

უცნაური გემოვნება აქვთ ზღვისპირელებს!

ეხლა:

მემუსიკენი გომფეშოვებით ჰბერავენ ლოყებს.

ქერათმიანი ბავშვები ესევიან გარშემო.

ბავშვები იცინიან, ოხუნჯობენ და მახვილობენ რუსული გინებით.

მერმე:

ცხვირპირში სცემენ ერთმანეთს ტომრის ნაგლეჯებს და ჰბერ-  
ტყავენ ქუჭყსა და პარაზიტებს.

ტროტუარებზე სეირნობენ: პესიმისტები და ოპტიმისტები,  
ლიბიანები და წვივებჩამომღრალნი, უმუშევრები და მოქალაქენი ყო-  
ველგვარ ჯურისა.

სეირნობს თალო მეგობართან.

თალო და ნუნუ კამათობენ, თემაზე: ევროპეიზმი.

— ქალო, საქმე მაქვს თქვენთან..

— .?!

გაოცდა თალო, შეჩერდა, მიიხედა მარცხნივ, მიიხედა მარჯვნივ.  
იამა უცხოს თალოს გაჩუმება.

„სიჩუმე თანხმობის ნიშანია“—გაიფიქრა უცხომ და მერმე და-  
სძინა:

— ანგელოზო, შემობრალე, წავიდეთ!

— რა გნებავთ?!,.

— წავიდეთ ბაღში, ჩრდილში, იქ....

— Мерзавец! нахал!.. დაიკარგეთ!..

უცებ:

უცხო მიცოცდა და ხელი წაუპოტინა იქ, საცა ენატრებოდა.  
აღელდა უცხო.

თალოს ნერვები აეშალა და უცხოს ააწნა ღონიერი სილა.

მთვარეს შერცხვა და ღრუბლებში იკვინთა:

ქუჩას დაეცა ჩრდილი და ჩამოზნელდა.


მიშინ:

ვერ მოითმინა უცხომ და იყვირა.

ხაშხაში ცივი ჰაერი ეცა, წაუხდა გული და მოუნელებელი კერ-  
ძი გადმონათხია.

ქუჩაში აკორიანტელდა ღვინის და არაყის მოკაწრული შმო-  
რება.

შეწუხდა ხალხი, ვინც ახლო დარჩა.





თალო ვერ შეაწუხა, რადგან უკვე წასული იყო.  
უცნობი მოვიდა გონზე და აშლილი თმა შეისწორა.  
მან ვერავენ გაარჩია.

ხალხმა კი იცნო მისი გატეხილი ბრწყინვალეობა.  
და ეხლა:

იცის ხალხმა, რომ იგი სახალხო წითელი გვარდიის ადგილობ-  
რივი შტაბის უფროსი იყო ოდესღაც.

მთვარე ღრუბლებში ბანაობს.

ქუჩებზე ისევე დადიან ფერადი ადამიანები.

ბალის ბოლოში ჰკივის პროსტიტუქა (ალბად მოატყუეს გა-  
მენებმა!)

პიერ სდგას გზაჯვარედინთან, როგორც ქანდაკება.

მან შენიშნა თალო და აღელდა.

მერმე:

მან მიიბრინა დათო ურიასთან და პაპიროსი გაუსალა.

ეხლა:

პიერ აბოლებს მუქ სივრცეში.

ბოლს ჰკიდია ზურგზე პიერის აჩხორვილი ფიქრები და მიათ-  
რეეს ზევით.

სვეტიდან-სვეტამდე—პლაკატი.

პლაკატზე: **დაეხმარეთ პოვოლუციეს დამშეულებს!**

პიერ შეჰყურებს ალისფერ წარწერას და ნერვიულად სწეწავს  
ლამის მონოტონურ კისეიას.

ფერადებში იღრჩობა ფოიე.

ფოიე სულშეხუთულია სურნელოვან წყლის და იოდოფორმის  
ატომებით.

პიერ მიესალმა ლორნეტთან დამას და დარბაზში შეიჭრა.

დარბაზში სდგას ცხელი ატმოსფერა და ახველებენ ადამიანები.


პიერმა ადგილი ძლივს იპოვნა.

— იჯექი სადაც გინდა. აქ სულ ერთია ნომრები:  
კენტი და წყვილი, სხვისი და შენი. ნუ გაქვს დარ-  
დი, იარე საით გინდა.

— ვინ არის ეს ქალი ღნიოზად რო ახველებს?—დაეკითხა პიერ  
თავის ამხანაგს.

— ჰო, იგი პოეტესაა ზღვისპირელი, ნიჭიერია, მაგრამ ტუ-  
ბერკულაოზი ანგრევს...

— ეგ არაფერია, რადგან ტუბერკულაოზი იდეალია ქალების-  
თვის... ვის ეკუთვნის ეს მხატვრობა?



— მხატვარ ქ-ძეს. დიდი ენერგია შეაღია მან ამ შემოქმედებას.  
— ტლანქია, ურელიფოა. რელიეფი კი სულია მხატვრობის.  
ო, თითქო კომეტა კუდიანი, სივრცის მუქლოურჯი უსაზღროება...  
კულისებში მავთულზე ჰკიდია ლითონის მრგვალი, დისკო.

ეხლა:

სცემენ მას სახეში ლითონისავე ნატეხით და ჰკივის დისკო, როგორც შეთიანი ქალი.

უცებ:

შეირხა ხალხი ხალივით ქრელი.

მაშინ პიერმა შენიშნა, რომ მის წინ თალო იჯდა და საუბრობდა უცხო მამაკაცთან.

აღელდა პიერ და თავი ძლივს შეიკავა.

„მომაბეზრებელი სივრცე!“ — ლულულულებს თალო.

„სამაგიეროდ მუსიკა მოგალხენტ. — პასუხობს თანამოსაუბრე.

„Подумаешь!“

„თქვენ თითქო სევდიანი ხართ...“

„შორს ნუ გაიქვრით“ ато опасно!“

შეწუხდა თანამოსაუბრე და ბაგეებზე მელანქოლიის ყინვები დაეკიდა.

პიერ შევიდა ამ ადამიანის მდგომარეობაში, მივიდა და მწიფე ლეღვის ჩენჩოსავით ჩამოაფრიწა ეს უხერხული ტვირთი:

— რომელი საათია?

— ცხრის ხუთმეტი.

პიერმა მადლობა გადაუხადა.

და უცებ:

პიერმა იმის სახეზე ნაცნობი ხაზები შენიშნა: სახე ხუთკუთხური და ბრტყელი. თვალები ღრმა და კედრონი. ცხვირი მოზრილი, მოხრილი ნიკაპი და, საერთოდ იერი მელანქოლიური. ვერ აღადგინა მთლიანად ეს ნიშნები და შეწუხდა.

ეხლა:

მდუმარეა თალო. და ჰფიქრობს ყველაფერზე.

მარაო ჰკიდია სავარძელზე.

სთვლემს მარაო.

კულისებში მავთულზე ჰკიდია ლითონის მრგვალი დისკო.

სცემენ მას ლითონისავე ნატეხით და ჰკივის დისკო, როგორც შეთიანი ქალი.

და უცებ:



სცენის ლურჯფონიან სივრცეში დაიწყო სერიების მართვა.

— ფუ, რა სიცარიელეა ყველაფერში! — ამბობდა თალო.

— რევოლიუციონური დრამა ჯერ სიახლეა თქვენთვის... თორემ....

— Ну довольно с вашей революцией. Знаем, что вы все молодцы, ბატონო კოტე.

კოტემ გულგრილად გაიღიმა.

კოტე პასუხისმგებელი მუშაკია.

რუსეთის სამოქალაქო ომის ქარ-ცეცხლში გამოიქნა მისი რევოლიუციონური სული.

კოტე ზამოსკვორეჩიეში მეთაურობდა ბოლშევიკების რაზმს და მაშინ, როცა ქუჩებში, შესახვევებში, ყველგან თარეშობდა ცეცხლი და ყუმბარა და სახურავებიდან, ფანჯრებიდან, სარდაფებიდან სცივოდა ტყვია, კოტე მედგრად მოდიოდა წინ და მოჰქონდა ლოზუნგები:

„ძირს შემრიგებლები!“

„ძირს დამფუძნებელი კრება!“

„გაუმარჯოს საბჭოებს!“

პიერ მიიწყოდა ცენტრისკენ და იუნკრები და დრუჟინიკები იხედდნენ უკან და თანდათან უთმობდნენ ადგილებს.

ბოლოს:

რუსეთში გაიმარჯვა ოქტომბერმა და ოქტომბრის კორიანტელში გამობრძმედილი პიერ შემოიპარა სამშობლოში სამეფშაოდ.

მოღალატეებმა გასცეს მისი მუშაობა.

ეხლა:

თალო ზის ჩუმად და კოტე გულგრილად მხიარულობს.

პიერმა ვერ აიტანა და ლტოლვილმა „იუპიტერს“ შეაფარა თავი. ელვაზარმა ღვინით სავსე ჭიქა მიაჩეჩა.

პიერმა ერთბაშად გადაჰკრა.

იგი, დიდი ხანია, რაც დიონისოს კულტს ეთაყვანება.

მერე:

ელვაზარმა და პიერმა ერთმანეთი დალოცეს.

პიერმა თალოც ადღეგრძელა.

ადღეგრძელეს სხვებიც, ვინც მოაგონდათ.

ბოლოს ღვინო მოერიო ორთავეს და ამღერდნენ, აფორიაქდნენ.

და ეხლა:

პიერ ცარიელ ბოთლებს აფრენს კედლებისაკენ და უხარია, რომ სამყარო მის ქვეშაა.

გარე-უბანი.  
ტყის-პირი.

ტყეს იქეთ—ზღვა.

ზღვაზე ეთერი, ჰორიზონტი და რძის ფრად აპენტილი ღრუბ-  
ლები.

ჰორიზონტზე მოსჩანს მილი აზიდული.

მილი ჰფანტავს ეთერში კვამლის შავ კორიანტელს.

სივრცეში ჰკიდია: ზღვის სიმღერა, ომბალოს სურნელება და  
მეთევზეთა მილეული ყიჟინა.

ო, რა მშვენიერი პეიზაჟია! აქ დაიბადებიან ცრემლივით  
ანკარა შთაბეჭდილებანი და ზრახვები...

იწვის მზე.

და ეხლა:

თალო მდელიოზე წევს, გრილოში და ოცნებობს.

უყვარს ოცნება.

ეხლა:

თალოს გონებაში წაშლილია დრო და სივრცე; მიტომ ერთნა-  
ირ სიტხადით ეხატება: წარსული, აწმყო და მომავალი.

ბოლოს:

თალოს დაავიწყდა ყველაფერი... მიწა და სხეული თავისი,  
სხეული ავხორცი, მდელიოზე გაშხლართული.

უცებ:

ცხელმა ამოსუნთქვამ აულოკა ტიტველი მკლავი; მან სიტკბო-  
ება იგრძნო და გააჟრჟოლა.

დადგა გარინდება.

ჰორიზონტზე გაიზარდა მილი და უცხოეთის ხომალდს დაესო-  
მუცელზე.

ხომალდი მიუახლოვდა ნავსადგურს და აზუზუნდა.

შეირყა სივრცე და შეშინებულმა ფოთლებმა კვილი მორთეს.  
მაშინ:

თალო გამოერკვა და მდელოს დაუწყო პუტვა.

თალომ დაიყარა ძუძუზე ცივი მდელი და ესიამოვნა.

უცებ:

გადინახარხარა ისტერიულად და მდელიოში ჩაემხო ვნება-ატე-  
ხილი.

---

ტყის გული გაპობილია შარა-გზით.

შარა-გზაზე. მტვერი. კენჭები. ოღრო-ჩოღრო.



ღმერთო, დაიხსენი ღამის მოგზაური!

გვერდით: ტელეგრაფის სვეტი. თხრილები. ღობეები.

იქვე: ეტლი.

მეტლეს ძილი მოუნდა და ჩეროში გაგორდა გოგრასავით.  
ცუდია მოლოდინი!

უცებ:

ტყის ხახამ ამოავდო პიერ.

მოაქვს მას შინდის და ზღმარტლის შტოები, მკუხე ნაყოფით-  
დატვირთული.

პიერს მაინც ახარებს ეს ნადავლი, რადგან სხვა ვერაფერი  
ინადირა.

მერმე:

მოეწონა პიერს მძინარის ყიფი და თავისუფალი აღნაგობა და  
მიტომ სურათი გადაულო.

და უცებ:

შებოჭა ტყემ ქალის ისტერიული ხარხარი და შარაზე დაა-  
ნარცხა.

გაოცდა პიერ.

მერმე:

გაბურღა ტყე და მიაგნო.

მაშინ:

მეტის-მეტი განცდით შეეხუთა სული და ცაცხვის ცივ  
სხეულს მიეყრდნო. გაქვავდა.

პიერს აერია ერთმანეთში წარსული და აწმყო და შეტორტ-  
მანდა.

დაიღწა ფიჩხები და იყვირა ტყემ, სივრცემ.

პიერმა სიმწარით თითები დაიკბინა.

დამშვიდდა.

პიერმა თალოს გადაულო სურათი.

ამ დროს:

თალო იყო დაფიქრებული და ჰპუტავდა მდელოს.

მერმე:

პიერმა დაუტოვა უხმო ხელნაწერი და უჩინარ იქნა.

თავხედია პიერ.

მზის პირუეტი გასრულდა მუხის კვიჟლიან ტოტზე; მას ფეხები  
დაუცდა და გადმოვარდა.

მაშინ:

შეესია მსუნაგი სხივები მდუმარე თალოს და ყელი ფრად დაუკოცნეს.

თალომ იგრძნო დაისის ჟრუანტელი და წამოდგა. მაშინ მან დაინახა, რომ მის ზურგთან რაღაც ეგდო. თალომ აიღო, წაიკითხა, ატოკდა.

და ბოლოს:

შინისკენ გაიქცა.

პიერ უთავბოლოდ იცინოდა, რამდენიც შეეძლო.

მერმე:

მას აზრი დაეზადა.

ფიჩხების დიდი კონა მოაგროვა და გააწვინა თალოს ნაკვალევზე, ნაწოლზე, ქალადის ნაგლეჯები ჩაუროთო და გაჰკრა წუმწუმას.

აბრიალდა კოცონი.

ავარდა უშვერი ალები ტკრციალით, ზუზუნით და პიერმა გული მოიქავა.

ცივი მონუმენტები მასლაათობენ სევდიან ჩრდილებთან.

სასაფლაოს ეცემა ტირილი.

მდინარის გადაღმა ბლავიან პირუტყვები.

პიერ ეკლესიის გაღაფანშია და მიჰყვება ალლეს.

ატკობს მას სასაფლაოს ფონი და ტყვიასავით მძიმე მელანქოლია დაისის.

ეხლა:

ავონდება პიერს ერთი ეპიტაფია და ჰფიქრობს:

„დიდი ღირებულებისაა იგი. გივისაც ძლიერ უყვარდა ხოლმე. ბეჩავი ახალგაზრდა! კოხის ჩხირებით გაუმასპინძლდა მას ცხოვრება და დაიმსხვრა, როგორც მინის ქანდაკება. არც აღდგება ის ქანდაკება დროთა ხეტიალში. ჩვენ არასოდეს შევხვდებით ერთმანეთს; მოხდა ჩვენს შორის მიჯნა. ეხლა: მიდის ჩემი სიცოცხლეც, იცრიცება ტრავედი ქარიშხლიან სულის და, მოვა ჩემთანაც ისეთივე მსხვრევა. მერმე მეც მისებრ ვიხეტიალებ ქაოტიურობაში...“

პიერ სდგას ჯვარის წინ, როგორც ავაზაკი.

პიერმა დაათვალიერა საფლავი და საგრძნობელი ცვლილებები იპოვნა. მერმე კვლავ ფიქრობდა პიერ:

„ყველაფერი თანდათან მიდის. იცვლება და ბოლოს ჰქრება, ჯვარს ბლომად გასცენია ყვითელი საღებავი. ეხლა: ჟანგი სჭამს რკინას; ჟანგი—სიკვდილია. ყველაფერს ჟანგი ემუქრება. ყველაფერი ჟანგისაა“...



ბოლოს:

პიერმა დეკლამაცია შეასრულა.

მახლობლად გაისმა ხარხარი.

შეკრთა პიერი.

პაუზა.

მერმე:

პიერს მოესმა ახალგაზრდების საუბარი, თემაზე: ადამიანის და-  
ნიშნულება. თალოს შესახებ ბევრი რამ ცუდი გაიგო იმათგან და  
გული შეუწუხდა პიერს, კინალამ დაიღრჩო.

პიერმა გაღვლილი გულმკერდი მიაბჯინა მარმარილოს, მაგრამ  
ვერ გაგრილდა, არ ეშველა.

მის გულს დაეკიდა კანჯო.

უცნაური ფრინველი მოახტა ამ კანჯოს და გულს დაუწყო  
ძიძვნა.

შეჰყურებს პიერ საკუთარ გულის რღვევას და აგონდება  
მომენტი:

ექსტაზით რო შეჰყურებდა წარსულში მტკვრის პირად ყო-  
რნების ზეიმს ჭირისაგან გაწყვეტილ ქათმების მძორებზე.

მაშინ უხაროდა. ეხლა არ უხარია.

პიერ იბრძვის და ებრძვის ამ ფრინველს და გარბის, როგორც  
გიჟი, შეთიანი.

„ო, ისინი კომკავშირელები ყოფილან!“—ჰფიქრობს პიერ და  
იწეწება გულის სათუთი ქსოვილები.

ბოლოს:

პიერმა ცივი ჰაერი შესრუტა და დამშვიდდა.

უცებ:

შორს, ატირდა სამგლოვიარო მარში და სასაფლაოს პროფილი  
ყვითლად დაილაქა.

მერმე:

აირია ფონზე ზარების ცივი კვილი, მგლოვიარე პროცესია,  
აშვერილი ხელები და ყავისფერი კუბო.


პიერს დაებადა მიცვალებულის ნახვის სურვილი.

საკმეველის კვამლის სუნი მოხვდა მას ცხვირში და ესიამოვნა.

მერმე:

მოეწონა მღვდლის ღიღინი და წესის აგებას ბოლომდე მო-  
უცადა.

პიერმა ეკლესიის დარბაზი დაათვალიერა, მოეწონა ფრესკები,  
წმიდან ქალთა თვალები და გაიღიმა.



მერმე:

შენიშნა იატაკზე თეთრი ოთხკუთხედი, ელიპტიური ჩარჩო და წარწერა:

**ლოდსა ამასა ქვეშე განისვენებს  
მონა ღვთისა, ვაჭარი პირველი  
გილდიისა ზაალ სიკოს ძე  
გადამთიელი.**

**ამომკითხველნო გთხოვთ შენდობას.**

პიერ გააკვირვა ამგვარმა და გაიფიქრა: „თალოს წინ აპარი უთუოდ, თალო... თალო...“ და მეტი ვერაფერი იფიქრა.

კარებთან პიერს შეხვდა მღვდელი.

პიერ ხელზე ემთხვია მამოს.

სამაგიეროდ მამოსაგან მიიღო კურთხევა.

ისაუბრეს.

პიერმა დიდი სულგრძელობის გამოჩენა ურჩია ათეისტებთან ბრძოლაში და განშორდა.

მერმე:

პიერმა ისაუბრა თეიმურთან.

— იცი, წუხელ კარავში ვათიე ღამე, ტბის გაღმა, კოლიმბარში. რა მშვენიერი პეიზაჟი იყო: ღამის მორევში ისლის კარავი. იქ დაედება შემომქმედს უდიდესი განცდა, იქ, იმ პრიმიტიულ არეში. რა კარგია, რა კარგი,— ეუბნებოდა პიერ.

თეიმურ იცინოდა.

პიერმაც გაიცინა.

მერმე:

იკამათეს.

პიერ იცავდა სიმეოლიზმს. თეიმურ—პროლეტარულ პოეზიას.

— აქ არქეოლოგები არიან თურმე დღეს; ძველთა-ძველი აკლდამა უნდა შეაღონ, გაიგე?— შეეკითხა პიერ.

— მსგავსიც არაფერი. შენ სად გაიგე, ვაზეთში?

— არ მახსოვს, ვილაც იყო ამბობდა, ვგონებ...

— ტყუილია!

— ჰო, ესეც შესაძლებელია; ვინ იცის, იქნებ დამესიზმრა, ხშირად მემართება ხოლმე ასე...

თეიმურმა თავი ვერ შეიკავა და სიცილი მორთო.

პიერმაც გადიხარხარა.

გაოცდა ხალხი და ხალხმაც გადიხარხარა.

უცებ:





ალაყაფთან შემოიჭრა თალო.  
 პიერს სიცილი გაეყინა.  
 თეიმურაზმა თუთუნის ააბოლა.

ლამე პონტოსის პირზე.

ზღვისპირის ნავსადგურის უცხო ფერი სახე:

ბნელია ლამე, თუმცა შორს, ზევით, ძველისძველ კოლხეთის  
 ცაზე დაკიდულია ნამგალა მთვარე.

ეხლა:

აფრქვევს მთვარე თავის შუქს: შუქურას ანუ ციციანათელას  
 უფსკრულში, და მამონტის ლეგენდარულ ჩონჩხივით ახორკლდ  
 ჟანგიან ელევატორს, პავლიონს, საცა ეხლა სძინავთ მგზავრობა-  
 გადატეხილ ადამიანებს, გარუჯულ კვამლსადენებს, მოქანავე ანძებს,  
 იალქნებს და მათ ზემოდ მოსისინე ანტენებს— ქვეყნისათვის ფეხ-  
 მარდ შიკრიკებს.

ეცემა ზღვას ნამგალა მთვარის მელანქოლია.

ლივლივებს ზღვა, იაგუნდის უსაზღვრო ფინჯანი და არწევს  
 მთვარის უსხეულო ნატეხებს.

ეს ნატეხები მაგონებენ ზღვაში დაღუპულ ადამიანთა გვამებს  
 და იმათ ცრემლიან ისტორიას.

ეხლა:

ნავსადგურში სთვლემს ორთქლგემი, ქვეყნის შავი ქვის დამ-  
 ტევი. ორთქლგემი აზიდულია აქლემივით და გამურულ შუბლზე  
 ოქროსფერი ნაოჭები ბრჭყვიალებენ: Roverbella.

იტვირთებოდა დღეს.

მოჰქონდათ მშრომელებს შავი ქვა და აგსებდენ იმის ფაშვებს  
 გრგვინვით, გრიალით და იდგა ნახშირის შავი კორიანტელი.

იბრძოდნენ: ადამიანები ბარებით, წერაქვებით. ადამიანები  
 ოფლით გათქერილები, ადამიანები ზევით „ლებიოდკაზე“, ადამიან-  
 ნები „ტრუმში“, ადამიანები ყველგან.

იყო მოძრაობა და ყიჟინა.

ისმოდა ორთქლგემის შლეგიანი ზუზუნის და ორთქლმავლების  
 ნერვიული ხენეშა და სტვენა.

ეხლა კი:

ლამეა მყუდრო და ფოსფორიული.

სთვლემს ორთქლგემი და კიაფობენ მკრთალი ელსანათურები.  
 ზევით დადიან მეზღვაურთა სილუეტები.

მეზღაურები დაბრუნდენ: ქალაქიდან, კაფე-რესტორანებიდან, საზოგადო სახლებიდან და არიან ღვინით ვალეშილნი.

იხარბეს იმათმა სვირის ქარიანი ღვინო.

პიერ ზის მეზღაურთა წრეში და ისმენს ქვეყნიერების ამბებს. პიერს ჰხიბლავს ეს ადამიანები, ადამიანები, რომლებსაც მოვლილი აქვთ დედამიწის ბურთობი.

ადამიანები, რომლებმაც იხილეს ყველა კუთხეები და სიიშვიათენი;

პიერ პატარად გრძნობს თავს იმათ წინაშე.

მას ზეკაცად მიაჩნია ისინი და აჯადოებს მათი სიცოცხლე.

სიცოცხლე მუდამ გზაზე, ხეტიალში, მოძრაობაში; სიცოცხლე მდიდარი შიშით, სიხარულით და კოლოსალურ განცდებით.

პიერმა სთხოვა უფროსს იმათ კადრში ჩარიცხვა, მიღება.

კაპიტანმა M-eur Seru-მ უარი განუცხადა.

პიერს მოუკვდა გული და კინალამ ზღვაში გადაეშვა.

ეხლა:

პიერ შეჰყურებს ზღვას.

ზღვაზე გაწოლილია სათუთი ფოშფოში და ცრის გარინდებას, ვგონებ ჰქრის კიდევ...

მზის ჩასვლას რომ სიბნელე მოსდევს, — ეს ძალიან კარგად იცოდა თალომ. თალომ ისიც კარგად იცოდა, რომ არ ვარგა ქალწულ ქალისათვის ღამით სიარული, რადგან ეშმაკს თვალი არ უჩანს და ვინ იცის რა ხიფათს გადაეყრება!..

თალოს მიაჩნდა კანონად ეს ორი დებულება და მიტომ იმ საღამოს ეკლესიიდან მზე და თალო ერთად წამოვიდნენ შინისკენ. მაგრამ მშემ უზრდელობა გამოიჩინა, შუა გზაზე გაეპარა თალოს და ზღვაში ჩაგორდა საბანაოდ.

თალომ მარტო განაგრძო გზა.

ეხლა:

თალო ოთახში ზის კარჩაკეტილი.

იგი გლოვობს და ღეჰავს მაშინდელ განცდებს;

არ იქნა საშველი, ვერ მოინელა.

თალოს ხელში ეჭირა პიერის ხელნაწერი და არ იცოდა რა

იქნა.

მერმე:

მან ბარათი შენიშნა მაგიდაზე.

მეგობარი ნინო სწერდა:





„მე და ლია კომუნიზმის ანაბანას ვსწავლობთ.

შენც შეგვიერთდი, თალო. ვიკმაროთ ქიმერები, ცხივრებას დაუახლოვდეთ, თორემ ცუდი მოგველის...“

— Тфу проклятая! — შესძახა თალომ გაბრაზებით და ნაკუწები გადაუშვა ბაღჩაში.

ეხლა:

თალო სდგას ფანჯარასთან და შეჰყურებს ჭანდრებს.

ჭანდრებზე სხედან ყვავები და ყარტლით ყრანტალებენ.

თალოს ბრაზი მოსდის და არ იცის როგორ დააფრთხოს შავი

ფრინველები.

პაუზა.

ზალაში სტირის პიანინო თალოს ტირანიით.

კოტე სავარძელშია და იდაყვდაყრდნობილი უსმენს მუსიკას.

კოტე არ არის იქ.

მისი სული მწარე მოგონების მორევში იწეწება.

პიერს თვალწინ უდგას მამის წამებული სახე და მისი სიცოცხლის უკანასკნელი სერია:

მიდამოის შესაზარი ტოპოგრაფია.

შავი ქვითკირი, დარკინული, ხავსიანი.

საკნები დაჰყურებდენ მინდვრებს ჯალათებივით და არწყევდენ შხამსა და შიშს.

საკანში იყო ბესო (მამა მისი)

ბესო იდგა ფანჯარასთან, გაჰყურებდა სივრცეს და ჰყლაპავდა შეწოვილ ჰაერს.

„ЗАТКНИСЬ“ უყიჟინებდენ ქვემოდან ხიშტებიანი მცველები.

მაშინ:

ბესო კუსავით ჩამალავდა თავს.

საპრობილეში ტრიალებდა სიცხე.

სიცხე სწვავდა ჰაერს და ფილტვი ივსებოდა ფერფლით და უანგით.

ტუსალები სულს ძლივს იბრუნებდენ.

მადლობა ღმერთს, წყალი ბლომად იყო, თორემ ვინ აიტანდა?

ბესოს გაუძნელდა სიცოცხლე და ბულის შოლტივით მოიდრიკა მისი უტეხი სული და ხასიათი.

ერთ დღეს ბესო არ დაემორჩილა მცველის ბრძანებას.

სალამოს გაიყვანეს ბესო და სცემეს.

ბესო ბლაოდა დაჭრილი ნადირივით.

არ არის ხუმრობა ცხვირ-პირში ცემა, ისიც—მოუქნელ ლახტით—  
— Вот и тебе за твое революционерство! — ლალადებდა. (ამაჲ)

ყი) ციხის უფროსი და უთავბოლოდ იცინოდა.

გადიოდა დღეები.

ბესოს გული იყო ბალღამიანი და არ იცოდა რა მოელოდა.

მობეზრდა სიცოცხლე.

მობეზრდა კედლები წარწერებით, ნარები—ბალღინჯოებით, ქე-  
რი, იატაკი, ყველაფერი, ყველაფერი.

ერთხელ ბესომ იმღერა „მარსელიოზა“.

მალე:

ბესო ეგდო წელმოტეხილი ნარზე, ესია ბალღინჯოები და ისი-  
ნი სწოვდნენ სისხლს.

ბესოს განძრევაც ვერ შეეძლო.

მიდიოდა ჟამი...

ციმბირი სუნთქავდა სუსხით და ჰყინავდა ხალხისთვის თავ-  
დადებულ შვილთა წამებულ სხეულებს.

მოდიოდნენ ახალი დღეები და მოჰქონდათ უდღეური და უი-  
მელო სიცოცხლე.

გავიდა წელი... მეორე... მესამე...

დაიშალა ბესო, დასნეულდა.

დაიფერფლა რევოლიუცია...

მერმე:

ბესო საავადმყოფოში მოათავსეს.

აჰხადეს ბორკილები დროებით.

ბესომ მხოლოდ იმ წუთს იგრძნო, რომ იგი იყო ადამიანი,  
ისეთივე, როგორც სხვა და... თვალები აუცრემლდა.

მძიმეა ბორკილები!

ლამე იყო რუხი.

ჰყინავდა და 60<sup>0</sup>-იანი ყინვა იწვა ყველგან.

მეორე დღეს მახლობელ სოფელში შეიპყრეს ბესო.

დააბრუნეს.

სცემეს.

ბესოს გონება დაეკარგა და არ უგრძნია ცემა, თუმცა დაუ-  
ლეწეს ძვლები, დაუთეთქვეს რბილი.

მესამე დღეს წაუკითხეს მას სასტიკი განაჩენი.

მერმე:

აღმართეა სახრჩობელა.



მოედანზე მოგროვდა ხალხი, ნიკოლოზის მოხელენი: პოლიტიკელები, ჯარისკაცები, მსაჯულები, მღვდელი.

ბესოს მოახვიეს ქსოვილი.  
მაშინ მან გაათავა ფიქრები...

კისერზე გადაუგდეს მარყუში და სხეულმა დაიწყო რწევა ხან წინ, ხან უკან.

სისხლიანი ბურუსი მოეხვია სივრცეს...

სალამოს ახალი საფლავი ინახულა ბორკილებიანმა თედომ და ცრემლი გადმოღვარა...

„და დაკიდული მამაჩემი ირწეოდა ხან წინ, ხან უკან, ხან წინ... ხან უკან...“ იმეორებდა გულატრებულ კოტე და მამის ნაცვლად უკოცნიდა შუბლს იმ თედოს, რომელიც ეხლა გადამტვირთველთა კავშირის პასუხისმგებელი მდივანია.

კოტეს ფიქრები დააფრთხო თალოს სიცილმა.

— თქვენ ფიქრები დავახრჩობსთ, ბატონო კოტე.

— ნუ შიშობთ.

თალომ უფრო ღონიერად გადიკისკისა.

— რით აიხსნება თქვენი ასეთი მხიარულება?

— ყველაფერს თავისი მიზეზი აქვს.

— გმადლობთ.

კოტეს ნაღვლიანად გაეცინა.

— რად იცინით?

— ყველაფერს თავისი მიზეზი აქვს!

კოტემ გაიმეორა სიცილი.

— ნაძალადეგია, არ გიხდებათ სიცილი. იგი უფრო იქ გამოვადგებათ...

— სად?

— საგიჟეთში.

— ! ? !

— აქ კი ჩემი ოჯახია და არ სჭირდება მას საგიჟეთის ელემენტი. მიტომ ამ თავითვე შორს დაიჭირეთ თავი თორემ...

— თორემ რა?

— საშიშარია.

— მოვიდეს დეე, რაც მოსავალია!

— თქვენ იულიუს კეისარი არა ხართ და, მდინარე რუბიკონიც იტალიაშია. საერთოდ სიძველეს ნუ ეპოტინებით, რადგან სიახლე ისედაც ბლომად გიტვირთინათ.

— გმადლობთ.



— ნუ იზარალებთ, ცოდვა ხართ.

— ! ? !

— მიდიხართ? ესეც კარგი რომ დროზე მაინც მიხვდით. პორტფელი არ დაგრჩესთ, თორემ შევიფერხდებით საქმე, გაიგეთ?

— გმადლობთ.

— შემდეგში შემოიარეთ ради дома, თუ ხასიათი დაგირჩესთ, ვისაუბროთ.

ეხლა:

თალო უმზერს კლინგერის „მერმისს“ კედელზე და ხარხარებს-უცებ:

ბრუ დაეხვია და სხვა გუნებაზე დადგა.

იგრძნო მან თავისი სენი და წყლისკენ გაექანა.

ვერ უსწრო.

შეტრიალდა ჰაერში, დაიგრიხა და იატაკზე დაეცა აცახცახებულად.

მერმე:

ჩაეჭიდა საკუთარ თმებს და დაივლიჯა.

თალომ თევზივით დაიწყო ბრძოლა იატაკზე.

შემოვარდენ.

თალოს ვერ გაუღეს პირი, კრიჭა შეკვროდა.

დაუზილეს ხელფეხი, საფეთქელი და ძლივს მოაბრუნეს.

ბოლოს:

თალომ ისევ სიცილი დაიწყო.

ტფილისში, თორემ სხვაგან შეუძლებელია, ვერ უწამლებენ—  
ჰტიქრობდა მუხრან და ყალიონს აბოლებდა.

ლანდშაფტის მშვენიერი ფონი.

ელო აივანზეა და ვახის ფოთლებიდან გაჰყურებს სიშორეს.

ლამაზია აივანი.

ლამაზია ელო.

მაგრამ ეხლა: ელო ფერდარეკილია და თვალები მისი არის ნალვლიანი. შეჰყურებს ქედს.

ქედზე მღუმარებენ ისტორიული ციხეები წარსულის კოშმარით, სისხლით, ბრძოლებით.

წარმავალობის სევდას ავრცელებენ ისინი და ღონდება მნახველი-ეზოში სდგას მსუყე სურნელება.

ბალახში ზუზუნებენ ფუტკრები და ქრელი ბუზები.

ხან კი შრიალეებენ ხის კენწეროები, როცა გაჰკრავს მათ თბილი წალიკონი.



ეზოში დარბის ხბო კუდაბზეკილი და ბღაეის გამწარებით.  
(ალბად შეაწუხა ბუზებმა).

დამფრთხალი კრუხი ზის ლობეზე და კაკანებს.

„ქშიო, შე ივანიას გასაწყვეტო!“ იწყებულა მეზობლის ბაღში დედაბერი.

არ ცხრება კრუხი.

ამ დროს ჰფიქრობდა ელო: „რა ცვალებადი ყოფილა ადამიანთა ცხოვრება.“

უცებ:

გავარდა ბავშვი და ყელზე მოეხვია ელოს.

„გენაცვალოს დედა“ იჩურჩულა ელომ და ჩაკაცნა შვილი.

— შვილო, სად არის შენი პაპა თუ იცი?

— პარიზშია ჩემი პაპა.

— იქ რა უნდა თუ იცი, გენაცვალე?

— კომუნისტების შეეშინდა ჩემს პაპას...

— რა ჭკუიანი ხარ, შენ გენაცვალე!..

მერმე:

აივნის ბოლოზე მოხუცის ფიგურა გამოჩნდა;

ბესარიონ მოუახლოვდა ელოს და ყურში ჩასჩურჩულა:

— ინგლისი მოდის თურმე ინდოეთიდან, ბოლშევიკები უნდა არეკონ. მაშინ ვასოც ხომ დაბრუნდება... გაიხარე ქალო!...

— რა ვიცი, საყვარელო მამავ!

მოხუცმა ვერ აიმედა ელოს გული.

ელო შეჰყურებდა მინდორში მოთამაშე ძაღლებს.

პიერმა გაიცნო კოტე სოფელში მგზავრობისას და მოიგონეს წარსული: ხარკოვი, უნივერსიტეტი, სტუდენტობა და ყველაფერი, რაც მოაგონდათ.

მერმე:

ისინი დაშორდნენ ერთმანეთს.

კოტე გაემგზავრა ტფილისში, პიერ—სოფელში.

ეხლა:

პიერ ზის ეტლში და ზანტად აზმორებს.

მიჰქრის ეტლი თორნესავით გახურებულ შარაზე და მიათრევს ამ ზმორებას ხან აღმა, ხან დაღმა.

უკან:

ჩრება მტვერის ბუდი და კოროიანტელი.

პიერ უმწერს სურათების სერიებს და ატკობს: მინდვრები და მწვანე ყანები, მთის ფერდობები შახმატის უზარმაზარ დაფები-

ვით აწოლილნი, ღობეები და ისლით დახურული სახლები, ოღებნი, „კანცელარიები“ და კინჩხმოტეხილი ეკლესიები, ლელეები და წისქვილები, ტყეები და მთები და ისევ უღვევი მინდვრები.

პიერს მოაგონდა თავისი ბავშობა.

სწყინს მას, რომ ეხლაც არ არის ბავში და ისე ბედნიერი და უღარდელი, როგორც მაშინ, ფეხშიშველა რო დარბოდა თავის სოფელში.

მოაგონდა: მამა საკუთარი, ეხლა მატლად და მიწად ქცეული, მაგრამ ცნობილი პედაგოგი ოდესლაც...

მოაგონდა: მშობელი ღედა, ადამიანი კეთილი და სათნო, რომელიც ყვავილმა მოსტაცა თავის ოჯახს და ყველას.

მოაგონდა: ვასო, მისი აწინდელი ხვედრი.

და მოგონებებმა გული აუჩვილა პიერს.

მერმე:

პიერ ჰფიქრობდა: „კიდევ ბევრი ცვლილებაა მოსალოდნელი და ვინ იცის ვინ, როგორ შეიცვლება!“

ეტლმა გაიარა ალვის ხეების მწკრივი და ძველებურ ალაცათთან შეჩერდა.

ალაცათის აფრაკზე—ნალი.

ნალი—ნიშანია სიმაგრის.

ნალს გაურბის ავი თვალი და ოჯახი რჩება უენებლად, (ეს ბესარიონის მსოფლმხედველობაა

პიერს გაეცინა.

ბოლოს:

პიერმა გაახარა მთელი ოჯახი.

პიერმა აიშედა ყველა. (პიერს უყვარს ბაქი-ბუქიაობა).

ელო უღიმოდა ოვალებში.

ბესარიონ რახრახებდა ძველებური ყაიდით და დალასლასობდა.

ეხლა:

პიერ დასეირნობს მდინარის პირად.

მდინარე ჩაუდის ბესარიონის მამულს უკანიდან.

პიერმა ბევრი იარა და ჩეროში წამოწვა.

წნორის ტოტებიდან შემოპარულმა მზემ დააფრთხო მდინარე.

მერმე:

პიერ ადგა და მდინარეს ჩაჰყვა ქვევით.

წვივებ-დაკოტავებული ბავშვები იქერდენ კიბორჩხალებს.

პიერ მიესალმა იმათ და კიბორჩხლები გაუსალა.



— რამდენი გერგებათ?

— ხუთი ცალი—ხუთასი მანეთი.

— ინებეთ.—და გაუდგა გზას.

უცებ:

დაფიქრდა პიერ და არ მოეწონა თავისი საქციელი.  
დაბრუნდა.

— ეხლა მარხვის ძალია, ამხანაგებო, ამიტომ აჰა თქვენი კი-  
ბორჩხალები, ფულიც თქვენთან დარჩეს; მხოლოდ კი გახსოვდეთ, თუ  
ზუთხი დაიჭიროთ, აი აქვე შემომირბენინეთ. ოჯახში ჩვენ ყველანი  
ძლიერ მოყვარულნი ვართ ზუთხის ხორცისა, ნახვამდის!

ბავშვები გააოცა ამ უცნაურმა ქცევამ.

სიცილი ძლივს შეიკავეს.

მადლობა გადაუხადეს.

პიერმა პირი გაისველა მსხლით.

---

სოფელში წევს ბნელეთის უდაბნო და უდაბნოში აქა-იქ სჩა-  
ნან სინათლის ოაზისები.

ხევის გაღმიდან მოდის სტვენა ღამის ფრინველის.

ეხლა:

პიერ ოთახშია ნაცნობებთან.

ყველა ხუმრობს.

ყველა იცინის.

ყველა მხიარულია.

ბესარიონმა იცოდა, რომ ღვინო ძლიერ უყვარდა ახალგაზრდა  
სტუმრებს და მიტომ ჭარბად მოალაგა.

ბოლოს:

ელომ სტუმრები მიიწვია სუფრისკენ.

თხოვნა, რასაკვირველია, ერთბაშად აასრულა ყველამ და დარ-  
ბაზში დაგრიალდა სიმღერა, სადღეგრძელოები და ღვინის მაგიური  
სუნნელება.

უცებ:

გაისმა ფანჯარასთან დედაბრის ძახილი.

ხმა იყო ცივი და შეუცნობი.

ჰყვიროდა დედაბერი და ფანჯარაში შემოეყო თავი.

— რას შენომჩერებიხართ, დაუბრუნდით თქვენს საზიზღარ საქ-  
მეს, რადგან თქვენ ყველანი საზიზღარნი ხართ და, შენც უგნურო  
მოხუცო, თეთრი წვერი რო მოგიშვია ფარშავანგის ბოლოსავით, რამ

გამოგატვინა, რად ხარ ბნდუ, რომ ეშმაკებს აპყოლიხარ! გინდა მოალბო იმ კაცისქამია ბალშენიკის გული, ამაოდ. ხომ ვაგვიგონია თქმულება: ძალლი ჭოპოსანს ლოკავდა, ენიდან სისხლი სდიოდა; ძალლს ეგონა ჭოპოსანს სდისო და... ყლაპავდა... შენივე ოჯახის აწიოკება მოინდომე?! ხა...ხა...ხა!..

და მერმე:

— დაფიქრდი, არ გარყვნა სოფელი! იკმარე ესოდენი სიბრიყვე. დაიცა, ყური დამიგდე: ამ დილით ღმერთი მომენატრა და ეკლესიისკენ ვავექანე მამაო ზოსიმესთან. მერმე, ნუ იტყვი! სამრეკლოზე ბავშების გვამები ჰკიდია თურმე ზარების ნაცვლად და არწევს სიო... მე გულზე შემომეყარა ჯავრისაგან და სიცილი მოვრთე... ხა...ხა...ხა!..

— შეშლილი ჯახანაა!—წარმოსთქვა გაფითრებულმა ბესარიონმა.

— შეშლილი და სულელი თქვენ ხართ, რადგან არ იცით რას სჩადიხართ, ან რისთვის. მაგრამ წავა თქვენი გახელება ამ ღამესავით... მოკვდებით თქვენც და აზრებიც ზედ დაგაკვდებიან. ქვეყანა უქმურიანი ამოიტრუსება ცეცხლში და დაემსგავსება მუხის კვიჟიან როკს, რომელსაც ეხლა ჩემს კერაზე ეთვლიმება, გესმით?! ხა.. ხა...ხა!..

პეტრემ რევოლვერი იშიშვლა.

რევოლვერის ლულიდან ამოდვრა ცეცხლის ალი და ცისკენ ავარდა.

შიირყა ხმაურით კუბრისფერი სივრცე.

დედაბერმა იკივლა და უშველა თავს, გადალახა ღობე და დაღმართისკენ გაიქცა.

მერე ამბობდა პიერ:

— მისტიურ ფერადების ულვევი მარაგია შეშლილის სულში. ყველა იცინოდა.

ყველა სვამდა ღვინოს.

ბესარიონს რალაც აწუხებდა და დარჩა უგუნებოდ.

ბოლოს:

ბახუსმა მოხვია ღონიერი მკლავები თავის მლოცველებს და გადაჰყარა სიტკბოების ნირვანაში.

სტუმრებმა გადალახეს დემარკაციული ხაზი.

გათამამდენ ყველანი: ვაჟები, ქალები.

ელომ სხვანაირ იერით დაიწყო სიცილი.



პეტრემ მიაბჯინა ელოს მსუნავი თვალები და ტუჩები დაი-  
კბინა.

ელო შეწითლდა და თავი მორცხვად დახარა...

.....  
ბებერი ღამე აგონიით ამღერდა მამლებში.  
აღმოსავლეთიდან გამოჩნდა ალისფერი ღრუბლები და ღრუბ-  
ლები გაწვინნ ქედების ზურგზე.

მიწაზე დაეშვა ფოშფოში.

სკვინჩამ სიმღერა დაიწყო კოპიტის კენწეროზე.

კედლის საათმა ოთხჯერ დარეკა.

უცებ:

წნორების ქვეშ მდინარის პირად ლანდმა გაიელვა.

ლანდი შეძვრა დანამულ ბუჩქებში და შუაზე გაწყდა.

„შენ ხომ მთვრალი ხარ?“

„არა, ჩემო ანგელოზო, შენ დამათვრე, მხოლოდ შენ!“

მერმე:

ისტვინეს ბაგეებმა ვნებით და შეეწებნენ ერთმანეთს.

განმეორდა.

კიდევ...

და ეხლა:

ვაჟს უჭირავს ხელში ქალის ცხელი სხეული ბარაქიანი.

მერმე:

მოაქვს წალიკონს აისის სიგრილე და ამკობს ამ საიდუმლო-

ზეიმს.

მოაქვს წალიკონს აისის რხევა და ირხევიან ფოთლები.

მოაქვს წალიკონს აისის ელვარება და წყდება სხეულების ცახ-

ცახი, სიმღერა...

უცებ:

„უსინდისო ყოფილხარ პეტრე, რისთვის...“

„მშენიერო ელო!“

მაშინ:

კვლავ შემოჰკრა ფრთა წალიკონმა და წნორის ფოთლებმა ცრემ-  
ლები ჩამოღვარეს...

მზე იცინის.

პიერს ესმის გლეხების ღიღინი.

გლეხები მარგლავენ სიმინდის ყანებს.

უხარია გლეხებს.

უხარია პიერს და დადის ეზოში.

მურემა ძროხა მდელიში წევს და იცოხნება.

პიერმა ჩაუარა ღობეებს და ღობეებზე შეფენილ ბარდებს.

ბარდებზე გდია გაზაფხული და იცინიან თეთრად შეფეთქილ მაცვალის ყვავილები.

— ამ წელს, ალბად, ბევრი მოვა მაცვალი.

მაცვალით, რასაკვირველია არ შეიძლება სიცოცხლის შენახვა, მაგრამ მაინც კარგია როცა ჰყვავიან მინდვრებში და ბარდებზე; ისე საამონი არიან მაშინ ისინი, ჰფიქრობ, თითქო გიციინიან.

ხან<sup>ა</sup>კი გაგრილებენ თუ გრძნობ სიცხეს, წყურვილს. ასე ვფიქრობ...

მერმე:

პიერმა უთხრა ბესარიონს.

— წარსული კარგად გახსოვს?

— მაშ!

— ზაალ გადამთიელს იცნობდი?

— როგორ არა. ოცდახუთი წელი იქნება მას შემდეგ, რაც მოკვდა, ზაალ განთქმული ვაჭარი იყო. სიმდიდრე უამრავი ჰქონდა.

მაგრამ ცოლი მისი ბერწი იყო და შვილი არ ჰყავდა; ამიტომ ვილაც გურული დედაკაცის ბუში იშვილა. მერმე ზაალ მოულოდნელად მოკვდა. შიგ საკურთხეველში დაასაფლავეს. ტრბუ და უკულმართი ადამიანი შეიქნა ზაალის ნაშვილები, ღვინო და ნარდი შეიყვარა და ყველაფერი გაფლანგა; ბოლოს: შემოდგომის ერთ-ერთ ყრუ ღამეში დედა დაუჩხეს საწოლში. ვინ—ღმერთმა იცის. დედაკაცი, რასაკვირველია, მოკვდა, რადგან არავის უნახავს ადამიანის გაცოცხლება, რომელიც ნაკუწებადაა ქცეული.

გავიდა ხანი... დავიწყებას მიეცა ეს შემადრწუნებელი ამბავი, ისე, როგორც ყველაფერი ცხოვრებაში. პავლემ შეერთო ცოლი, მერმე ისევ განშორდა. ცოლმა სხვა ქმარი მონახა, ვაჭარი და მას მიეწება.

ცოლს დარჩა პირველ ქმრისაგან ქალი...—დაამთავრა მოხუცმა თავისი მოთხრობა და ყალიონი ააბოლა.

პიერმა ჩეროში ისეირნა და გული დაიმშვიდა.

ამ დროს ელო გიტარას უკრავდა და ამღერებდა.

ნაწვიმარი დღეა.

ქუჩებში სდგას ტლაპო.





ტლაპოში დაფოფხავენ საქმიანი მოქალაქენი.  
მუხრან ზის აივანზე.

ბაღჩაში ტრიალებს ქინძის და მაკიდოს სუნი.  
სტირის მზისუმზირა.

მუხრანს ბოლმით აქვს გული ავსებული და ნაღვლიანია.

გულს უკლავს მას კომუნისტების ასე ჩქარი დამკვიდრება.  
ახალი წესწყობილება, კერძო ვაჭრობის დაცემა.

წამებაა მისთვის „ვოსკრენნიკები და სუბოტნიკები“.

ამათ მოგონებაზე მუხრანს ასკდება შუბლზე სირცხვილის  
ოფლი.

შეილახა მისი კეთილშობილება.

და ეხლა:

აგონდება მუხრანს ის საშინელი სურათი, რომ გარეკეს ვაჭ-  
რები ქუჩების დამგველებად და ეკრუნჩხება სული.

მუხრანიც მათთან იყო მაშინ; (ჰოი საშინელებაჲ!)

— იცი ქალო, საქმე ცუდათაა რომ ჩაუკვირდი. გვსპობენ სრუ-  
ლებით ეგ მამისულძაღლები, დამიჯერე!

— კაცო, რამ შეგაშინა ამოდენა კაცი! ვერ გაიგე, რომ მო-  
დის ევროპა. ნიკალაი ნიკალაიჩი უნდა იქნეს თურმე ჩვენი მეფე.  
აბა როგორ ჰფიქრობ, ქვეყანა ჩალითაა დაფარული?

მერმე:

მოვიდა თალო.

პაუზა.

— დღეს, ხვალ, სულ ხვალ, სულ ზეგ, მაგრამ როდემდის?!  
უმუსიკოთ ვერ შევძლებ სიცოცხლეს. დაიქირავეთ პიანისტი, თო-  
რემ доколе ждать? სხვა რომ არაფერი იყოს ბოლოს და ბოლოს  
терпения не хватает ей богу! არ ვიცი რა ვქნა?!...

— კი შვილო, კი.

— რამ გადარია ეს ქალი. ლამის არი გაგიჟდეს მუსიკის სი-  
ყვარულით. რა იქნა! დაიცა ცოტა ხანი—დასძინა მუხრანმა.

თალოს ნერვები აეშალა, გავარდა გარედ და კარები ბრაზით  
მოახეთქა.

მუხრანმა არაფერი სთქვა; კრიალოსანი აათამაშა.

პუბში ტუჩები გადმოაბრუნა გაკვირვებით.

(გაგრძელება იქნება).

## ამბები წარსულიდან

ამბავი მეორე


3.

ჩვენი სოფელი მთაში ნაშენი  
 სად შვავი მთისა გავს ძაღლის ენას,  
 მთას ტყე-წიფლნარი ხუტუჭ თმათ შვენის  
 წყაროს ჩუხჩუხი დაატკობს სმენას.  
 კლდეში წისქვილი ცალ-ღარიანი,  
 რომ მთის ბილიკი გვერდით ჩაუვლის,  
 მიდამო არის ხიფათიანი—  
 ფირალს სიამის აზრი გაუვლის.  
 სად საცეხველი წააგავს ყანჩას—  
 ნისკარტაწეულს საკენკი არ აქვს  
 და მეწისქვილის დაბარდულ ბაღჩას  
 სოფლის ბიჭები ნესვებით სახავს.  
 სახნავი მიწა არ ყოფნის სოფელს:  
 ბელლებს არ უმძიმს წლის მოსავალი,  
 ვაი იმ ოჯახს, საცა მუშა-ხელს  
 „წვრილი“ ცალ-შვილი ყავს სარჩენალი,  
 ბატონ-ყმობის დრო ჭკრეტდა ცალ-თვალით  
 ვხედავდით „გველის გამოცვილ პერანგს“  
 სიმართლე იყო იმ დროს ფირალი  
 და არ უჩანდა ბოლო ჩვენს ტანჯვას.  
 ჩვენი სოფელი კუზიანს გავდა:  
 გორაკი ზურგზე წამოწოლოდა,  
 სიდან თვალები დაინახავდა  
 მამულს, რომ წინათ ბატონი ფლობდა,  
 გორაკზე სჩანდა თეთრი სასახლე  
 და აივანზე ბატონი იჯდა,  
 სასახლიდან ჭკრეტს ღამე სინათლეს  
 და ბრაზიანი შავ დორბლებს ყრიდა.





ხშირათ ჩვენს ფაცხის ჭუჭრუტანიდან  
 მეც დამინახავს სასახლე ღამით,  
 როს ცეცხლის პირათ დედა ცრემლს ღვრიდა  
 ათენდებოდა ყივილში მამლის.  
 სასახლის ახლოს რომ სჩანს ნანგრევი  
 და უწოდებდენ მას კოშკს თამარის,  
 გარს შემორტყმოდა კლდენი და ხევი,  
 იყო მტრისაგან თავშესაფარი.  
 იქ მგზავრი ღამით გულგახეთქილი  
 შეაფურთხებდა ჭინკების სამყოფს,  
 ნანგრევი კლდეზე გადახეთქილი  
 ადამიანის არ გავდა ნამყოფს.  
 დედის ნათქვამი გულს ჩამეჭედა  
 და სიძულვილი აცეცხლდა სულში,  
 ამბავი მწარე ტვინს ისე კბენდა,  
 რომ ვგრძნობდი ტკივილს მახვილით გულში.  
 დედა მიაშობს ქვითინით ამბავს,  
 მე ვიზრდებოდი შურისძიებით:  
 „ო, შენ მტარვალო მომიკალ მამა!  
 აკივლე დედა გაწეწილ თმებით!“  
 მითხარი დედი, მითხარი კიდევ,  
 როგორ ტანჯავდა ბატონი მამას?  
 ეს შური გულში უნდა ადიდდეს,  
 უნდა მოეღოს ბოლო ჩვენს ტანჯვას.  
 და დედა ისევ იწყებდა ამბავს,  
 მეტყოდა: „შვილო გახსოვდეს ძილშიც,  
 რომ ის მშრომელ ხალხს დღესაც-კი ტანჯავს,  
 რომ დღეს ვატარებთ მისგან ტირილში“.



ზ ა ჰ ე ს ს  
 უძღვნი ამხ. ვასო ადამის-ძე დონაძეს.

I

ვიწყებ ხალისით ქებათა-ქებას,  
 თქვენც მეგობრებო გაშალეთ გული,  
 რომ ჩემი ლექსის უხვ-აფეთქებამ  
 მოგცესთ იმედი და სიხარული.  
 იქნებ გგონიათ, ოხერ პოეტის  
 სიმებიც მართლა ძაფისგან იყოს,  
 და ეს მგრძნობელი გულის რტოები  
 დახავსებული საჭურჭლე თიხა!  
 აგრე რომ იყოს, მაშინ ბეწვია  
 გრძნობაც და გულიც ნაპარტახალი  
 და მეც დღეს ალბად უნდა მეძია  
 ჰანგი მტკიცე და გული ახალი...  
 მაგრამ მერწმუნეთ, უკუღმართ დროში  
 ისე არ იყო გულის ტკივილი,  
 როგორც ამ ლექსის ყოველ სტრიქონში  
 ცეცხლის სტვენა და გრძნობის კივილი...  
 ვისურვოთ, ჩვენში არ ყოფილიყოს  
 არავითარი გრძნობები მტრული  
 და ღვინის ნაცვლად, ანთებულიყოს  
 ლექსით ყოველი მშრომელის გული.  
 მაშინ თვით სისხლი შემოქმედების,  
 ამოდულდება მჩქეფარ რუსავით  
 და—პოეზიის მაღალი მთები  
 აღარ დაგვრჩება დაუქუსლავი.  
 უკუღმართობაც რომ აღიმართოს  
 ეხლა ვით ჯადო დაუნახველი,  
 მას ერთი ლექსი ეყოფა მხოლოდ,  
 რომ მყის გაჰვანტოს შავი ნალველი.



მე ეხლა ვმღერი და ჩემს სიმღერას  
თქვენც ააყოლეთ ხმების წკრიალი,  
რომ ამ ქებითი ლექსების ბგერამ  
გაათბოს გული ოხერ-ტიალი.  
ვიმღეროთ ძმებო, მზაფრავი სევდა  
დე, დაიფაროს ტკბილი ალერსით.  
ხომ ხედავთ ლექსსაც ხალისით სჭედავს  
ზაპესის ცეცხლი უმხურვალესი.  
იდიდე ზაპეს! ფოლადის გულზე  
ველარ გიკბენენ სალამოები  
და როცა ბორკილს აიწყვეტ უცებ  
ჩემს ოთახშიაც მწამს შემოირბენ;  
თუმცა შენთვის მანდ უბედურ პოეტს  
ერთი ქვაც კი არ მომიტანია,  
მაგრამ მე გიწერ სამაგიეროდ  
ლექსს წელ-მაგარს და მალალ ტანიანს.

II

თუ აქ, უძველეს წარმართულ დროში  
იდგა არმაზი—ციშუმის მტერი,  
შემდეგ კი ქრისტეს მედროზე ქალმა  
აღმართა ჯვარი და მონასტერი—  
სამაგიეროდ წინ-სვლის დღეებმა  
განსწმინდეს გზები უსპეტაკესი  
და ძველ დროების შესაჯობრებლად  
ჩვენმა ეპოქამ დასდგა ზაპესი.  
იდიდე ზაპეს! ჩვენ გვიხარია,  
რომ აღიმართე კლდესავით უცებ  
და მტკვარს ავ-რისხვა ნიაღვარიანს  
გაბოროტებულ ჭიდილში უძლებ.  
ეხლა ზეცამაც რომ დაიჩემოს  
დარტყმა მეხისა ლოდების მწველი,  
შენ მაინც მტკიცედ იქნები ჩემო,  
როგორც უდრეკი და უძლეველი.  
და თუ უეცრად დაშრება მტკვარი,  
ცა ავ-გვალვებით შემოგაწვება—  
გავიჭრით გულ-მკერდს ბასრი ლახვარით  
და ჩვენს საკუთარ სისხლს მოგაწოვებთ.

მაგრამ ძვირფასო, მტკვარის ტკბილ დუღუნს  
მჯერა აპყვები ხმა-ატკბილებით  
და აბოლდები, თითქო შენც თუთუნს  
სწევდე გულხარბად თუჯის მილებით  
რა იქნებოდა, რომ ამაყ ტფილის  
გვერდში არ ედგე რკინის თალებით  
და არ გემოსავდეს ამაყად შლილი  
შრომის და ბრძოლის ბაირალები!  
მაშინ ეს გული და ეს ქვეყანა  
არ იქნებოდნენ წინსვლის მაყრები,  
და მეც ოხერი ერთი პოეტი  
სთქვი რა ჯანდაბით ვიამაყებდი?!  
იდიდე ზაჰეს! ფოლადის გული  
უნდა აივსოს სიკეთით ისე,  
რომ ჩვენ ცხოვრებას ღრმად ჩაებეჭდოს  
შვება, სიცოცხლე და სიხალისე.

### III

დიდება ქართლო! ეგ შენი მიწა  
მაინც კარგია დაულაბავი,  
მაგრამ ეს გულში რა ჩამოვიწვა  
მტკვრის და არავგის გადამყლაპავი?  
უბედურება ხომ არ გეწვია,  
თუ ეს თვით ბედის მოვარდნა არის?!  
მხნედ იყურება ფხვიერი მიწა,  
დინამიტებით გადანათხარი.  
მე ვგონებ, გახსოვს მამულიშვილი  
აქ, შენს მიწას, რომ კუნთით ჰფოლავდა  
და მტრებისაგან გულგაჩეხილი  
სამშობლოს მაინც ერტყა რგოლადა,—  
დღეს ხომ ამ ადგილს მზიური ცეცხლი  
ჟუცებ აენტო და აბოლავდა—  
და ჩვენი ერის სადიდებელად  
ტივების ადგილს იჭერს ფოლადი.  
არ გიხარია? მე კი ძვირფასო  
ვხედავ, შენს თვალში ცეცხლები ჰკვესავს  
და ჩემი გულის ღმობიერ პასუხს  
ესმის ბრაზიან გრივალის კენესა...



მაგრამ რა ვუყოთ, ყოველმა ხანამ  
იცის მსხვერპლი და სისხლის ღვარები...  
და საქართველოც ბედნიერია  
ზაჰესის ცეცხლის აელვარებით.  
დიდება ქართლო! ახლა, რომ ყვირის  
შენს შიდამოში ქვა და კირია,  
მე მჯერა, ასე უწინდელ დროში  
თვით სააკაძეს არ უყვირია.  
ეხლა, რომ ცეცხლი ედება ქალებს  
გზებს ანათებს და დრკება მთანია,  
მე მჯერა მტკიცედ, ასეთი ცეცხლი  
თვით პრომეთეს არ მოუტანია.  
ისევ მტკიცეა ეს ჯებირები  
მკლავით, გალაგნით და საძირებით  
და ნიაღვარმა ტურბინებს ფხიანს  
გული ოდნავად ვერ შეუურხია,  
რადგან ცეცხლებში დაუშრეტელი  
არის ჯებირთა მკვრივი კედელი...  
და ჰა, ზაჰესის ელვარე გული  
ტფილისზე მოდის, ვით ლანგ-თემური.

IV


ვაქებ ალგზნებით და ჩემი სიმიც  
გულში ელვარე გრძნობებს ალაგებს  
და მეც გიცქერი დაუდევარი,  
როგორც პოეტი და მოქალაქე.  
არა მგონია ამ ჩემ სიმღერას  
აკლდეს გრძნობა და წვის მადანია,  
თორემ, უგრძნობი ლექსების ბგერა  
დასაქოლი და გასატანია.  
გიმღერი ზაჰეს, არა იმიტომ,  
რომ დაადულე ქვა და კირია,  
და არც იმიტომ, რომ ახალ შობილს  
ბავშვს ალერსი და ნანა სჭარია,—  
არამედ გიმღერ: ამ მკრთალ ცხოვრებას  
წინ გაისროლი ღონივრად ისე,  
რომ ყდა, ფოლადის ტანსაბურველით  
გამოეცალოს ქვეყანას მყესვე.

მე ვუმღერ წინსვლას და გაქანებას,  
მე ვუმღერ ქებას მაჯას ძარღვიანს,  
რომელმაც მცხეთის ქვიანი მიწა  
გასჭრა წერაქვით და გაარღვია...  
და თუ ამ შრომამ მკლავი-ფოლადი  
დალაღა ოდნავ, დასწვა კანია,—  
გული ძგერს მაინც ძალუმად, თითქო  
ჯაჭვ-აწყვეტილი ამირანია.  
იდიდე ზაჰეს! ეხლა რომ გიწერ  
ქებითი ლექსს და ვადიდებ შრომას —  
წავლენ დღენი და გული სამიწე  
ქების მაგივრად მოგიძღვნის წყრომას,  
რადგან ტფილისის კრიალა ცაზე,  
სად ეხლა ფრინავს გვრიტი და გნოლი—  
შენი მოვარდნის შემდეგ ამ ეთერს  
შემურავს შავად ქარხნების ბოლი.  
ესეც არ იყოს, ავყია მტკვარი,  
ეხლა რომ სჩივის ცივი დუდუნით,  
რაც რომ გადახდა სულ შენით არი  
წელ-გაქრილი და მკერდ-გაგუდული...  
და ამან ეხლა ვით დაივიწყოს  
ესოდენ ავი საქმე გრძნეული,  
როცა ერთი დღის განმავლობაში  
გყავდა სტომაქში გასომწყვედული.

## V


დიდება ზაჰეს! საქართველოში  
შენ აამღერე ქვა და ლოდია...  
და ახლა ყოფის ერთგულ მედროშედ  
ახლა ესენიც მტკიცედ მოდიან.  
მჯერა, რომ გესმის ჩემი ქებანი,  
ისე, როგორც მე შენი ყვირილი  
და მოხეთქილი ხალხის ვნებანი  
შენშიაღ უნდა გადმოიღვაროს;  
რადგან ეპოქა ლახტის და ხმალის  
წარსულისაქენ იცვლის ნაბიჯებს  
და მის მაგივრად ელექტროს ძალი  
შემოქმედების მოედანს იჭერს.





წყვილია, გული რად არ გიტირის?  
 გელევა დღენი შავბნელო ღამევე!  
 შენ მიდიხარ და ჩვენც გეთხოვებით,  
 უკანასკნელად იმღერე რამე!  
 გისმენ გულდასმით, ვფიცავ პოეტის  
 სახელს და ხმასაც, განცდების წამებს,  
 თუ შეგიძლია გაათბო გული,  
 თუ შეგიძლია იმღერო რამე!  
 მაგრამ მე ვხედავ ამიერიდან,  
 შენი სულისთქმა განწირულია,  
 რადგან სინათლე არ მოერიდა  
 და ჩაჰკლა შავი ძალა სრულიად.  
 რით განუგემო ჩემო კეთილო,  
 შენთვის ქებიც კი დამიშურია  
 და ეს იმიტომ, რომ ჩემ ქვეყანას  
 მეტი ქმედობის ძალა სწყურია.  
 თუმცა დარდები გულს სევდას უშენს  
 არ ვშიშობ მაინც იმედიანი,  
 რადგან ზაჰესის ელვარე გულში  
 მე საქართველოს ვხედავ მზიანათ.  
 იდიდე ზაჰეს! ეხლა გრიგალიც  
 რომ ამოვარდეს ქვის გამკვნეტელი,  
 მე მჯერა, ისევ იქნება მტკიცედ  
 შენი წიბო და შენი კედელი.  
 და თუ მოიჭრა მძლე ნიაღვარი  
 და შეებრძოლა გვირაბს კირიანს—  
 შენ დაიყვირებ ისე ძლიერად,  
 როგორც არავის არ უყვირია,—  
 და თუ აივსე ტკბილი ალერსით  
 და ჩვენც მივიღეთ დაიმედება,  
 შენ აამღერებ უმხურვალესად,  
 ბრძოლას, წინსვლას და შემოქმედებას.  
 იდიდე ზაჰეს! დამწველ გრაგანად  
 უნდა ავარდეს შენი ალერსი.  
 დე, ამ ჩემ ლექსმაც უთხრას ქვეყანას,  
 რომ საქართველომ დადგა ზაჰესი!

1927 წ.  
 ტფილისი.



## ძველი მაზარა

ჩვენ თუ ამდენხანს გამარჯვებულ ბრძოლებს გავსცილდით,  
 თურმე ხალისიც მოდუნდება ალ-მოდებული:  
 ხელში მიჭირავს ტყვიით დაჭრილ ჯარისკაცისათვის  
 ძველი მაზარა ვასაყიდათ გამოთრეული!  
 იქ, სადაც ეხლა ჭიანურის ბასრი ხმები,  
 ბედზე რომ სტირის მოქალაქე თვალ-ამღვრულათ,  
 რამდენი ღამე თოფით ხელში გამთენებია  
 ამ ჩემ საყვარელ მაზარაში გამოხვეულათ!  
 მეც მუშტარს ვეძებ, წყეულიყოს იმის სახელი,  
 არც გროშის ფასათ იყიდება, აღარც ნისიათ,  
 ძველი მაზარა დღეს ბაზარზე გამოსაფენი  
 ჩემთვის არ ვარგა? სხვისთვის უფრო უვარგისია!  
 დავდივარ ბრაზით და მყიდველის გამჩენს ვაგინებ,  
 აქ ყველაფერი თითქოს გახრჩობს და გეზიზღება,  
 ჩემი მაზარა უკანასკნელ სისხლის მაგიერ  
 ბაზრის პირიდან ამონახველ ფურთხით ისვრება!  
 მაზარასავით სდვას უღონოთ ჩემი სხეულიც,  
 გავსცქერი ხარბათ გაცოფებულ მტვერს და გორიალს...  
 და ქვა ყოველი მოედანზე წამოქცეული  
 დაღუპულ გმირთა გაპობილი გული მგონია!  
 და ვფიქრობ ასე: ნუ თუ ბრძოლა ამით გათავდეს,  
 როს კუნძულივით მკერდზე კიდევ დარჩა იარა,  
 საკუთარ ხელით ამოვითხრი ორივე თვალს  
 ამდენმა ბრძოლამ უშედეგოთ თუ ჩაიარა!  
 აქ, მახსოვს ქვებიც ხორცებივით დამიკბენია,  
 როცა ვყოფილვარ ჩემივ სისხლით პირ-მოშხამული,  
 რათ არ იფეთქებ გულო ჩემო რკინის მკერდიდან,  
 როცა მოგესმის ჩახმახივით ვერცხლის ჩხარუნი?  
 აქაც, ამ ადგილს, სადაც კლდეა ტყვიით გახრული,  
 გროშებს რომ ითხოვს არმიელი ფეხ-მოკვეთილი:  
 სივრცეს ბერავდა ბარიკადა კვამლის ლალუმით



და ყველა სისხლი ნიაღვრათ გადმოხეთქილი!  
თუმცა დაუშრეტ ქარიშხლების ტალღათ შეკრული  
ცხოვრების გამსკდარ—ნაპრალებში ფეთქავს იარა,  
ვაშა იმ სარდალს, ვინც იმედით გაკაეხებული  
გადამწყვეტ ბრძოლის მოლოდინში სწმენდავს იარაღს!  
დავეძებ მყიდველს, ვყვირი, მახრჩობს აურ-ზაური,  
დღეს ამ ბაზარში მეჩვენება ყველა მასხრებათ,  
აქ არის ჩხუბი, ოინობა ავაზაკური  
და ბრმა ხელების მოკრძალებით გაიმასქნება!  
მყიდველის დედას მეც ვაგინებ ჯავრით გავსილი,  
ლამის დავგლიჯო ეს მაზარა ისეთ გულზე ვარ...  
ვბრუნდები სახლში და უბრალო ჯარისკაცივით  
ძველი მაზარა კვლავ კედელზე აეტუზება!  
რა უყოთ ზოგჯერ ქარიშხალნი თუ ჩადგებიან,  
მძიმე ყინვის დროს ზოგჯერ ცეცხლიც გაიყინება...  
დარეკავს ჟამი—ბრძოლის ხმები აფეთქდებიან  
და ეს მაზარაც სისხლის ფასათ გაიყიდება!

2—IV27 წელი.  
ტფილისი.

## გაგფლანგველი

ვხედავ არასდროს დამიბრუნდება  
 მზე, სიცოცხლე და წყება დღეების:  
 გაგფლანგე ფული და ნებისყოფა  
 სჩანს გროშებავით დავახურდავე.  
 როს სოფლად დები მოუსვენებლივ  
 ჩემთვის საჩუქარ პერანგს ქარგავდნენ, —  
 უგზო უკვალოდ მე ათასობით  
 მაშინ სახალხო ფულებს ვფლანგავდი.  
 ვსვამდი უსაზღვროთ სიუკეთესეს, —  
 როს ველად მამა მუხლებ მაგარი  
 ვარსკვლავებივით სიმინდს თესავდა, —  
 ნამყოფო დიდხანს მოჯამავირეთ.  
 ახლა როდესაც ხელი კანკალებს  
 და დღე ილევა უკანასკნელი,  
 მჯერა სიმკაცრე რკინის კანონის,  
 რომ შებრალებას არ მოვისმენენ: —  
 რა საქმეები ამოვალაგე,  
 რა ცუდათ მიდის ეს ანგარიში!  
 ჩავკალ ღირსება მოქალაქესი  
 და სისხლი როგორ არ გაგიშრება!  
 გული მამშვიდებს, დღე გუშინდელი  
 ნუ შეგაშფოთებს, მორჩა, რაც არი!  
 გმირი ტყვიასაც არ უშინდება  
 და შენ თვისება ნუ გაქვს ლაჩარის.  
 მაგრამ სხვა არის... გულო, არ გესმის,  
 შრომის სალაროს როგორ უვლიან.  
 მოჰკალ უფლება მოქალაქესი  
 და ნდობა სრულებ გაფლანგულია.  
 P. S.

განაჩენიდან: ამ სტრიქონებში  
 რკინის სურვილებს ასე ვათავსებ:



ციხე-სასჯელი, საბჭოს ქონება  
რადგან გაფლანგა ორი ათასი.

**რამოდენიმე წლის შემდეგ:**

ნახა პირველად ულვაშრქიანი  
ქუჩის პირდაპირ იდგა ყასაბი,  
რომ გამოვიდა, დილით ციხიდან  
ულამაზო და გაუპარსავეი:  
გულო ვადარჩი, მაგრამ არ გესმის  
შრომის სალაროს როგორ უვლიან.  
მოჰკალ უფლება მოქალაქესი:  
და ნდობა მაინც გაფლანგულია.

1927 წ.

## გულის პასუხები

დღეს ხომ გრივალზედ უფროა მძაფრი  
ჩემი ნერვების ყოველი ძაფი.

წუხელ დამჩხავლა თითქოს რაღაცამ:

— ჩამოგენგრაო საკუთარი ცა...

— სტყუი ყვავო თქვა.— ვუთხარ პირდაპირ.

მე ხომ ხალისით ცეცხლს ვყრი კვლავ პირით...

ჩემი ლექსების ყოველი ნაჭერი

დედის რძესავით არის საჭირო...

მაშ მეც, ვით ძალმიძს, რომ მზის პოეტმა

შენთვის სიცოცხლე გამოვიმეტო...

სტყუი ყვავო თქვა.— ვუთხარ იმ ქალს და,

ფიქრები ისევ ამიქარავენდა...

მე შენ ჩიტვით მოგანდვე გული და.

შენ კი ამოაგდე იგი ბუდიდან...

და როს მესმოდა იმ საწყლის ფართხალი

მსაყვედურებდა ეპოქა ახალი:

— დამივიწყეო...— მაგრამ მე იმ დროს

მკერდით დავათრევდი სიჩუმეს, როგორც ლოდს...

სევდამ სიხარულს სილა გააწნა

და ღრუბელივით თვალებში ჩაწვა...

და როცა ქუხდა ცხოვრების ხმაური

არ მასვენებდა ზარნაშო ღამური:

— შენი ლექსების წყარო და ჩანჩქერი

რატომ დაშრაო ეგრე აჩქარებით...



— სტყუი ყვაგო თქვა.—ვსთქვი მაშინ ხმა-მალლა...  
მართალი არის სიცოცხლე გადალდა,

მაგრამ მე მაინც სული მაქვს ცეცხლის და  
ეს შენი თვალთმაქცობა ველარ შემრისხავს...

მე ისევ ავანთებ ჩემს რწმენის ჩირაღდანს,  
წარსულში რომ მქონდა, წარსულში რომ მახლდა—

წარმოვსთქვი მე ასე და ისევ მზესავით  
ავენთე საგმირო ჰანგების მთესავი...

---

ჩემი ლექსების ყოველი ნაჭერი  
დედის რძესავით არის საჭირო...

მაშ, მეც ვით ძალმიძს რომ მზის პოეტმა  
შენთვის სიცოცხლე გამოვიმეტო...

სტყუი ყვაგო თქვა—შეესძახე იმ ქალს და,  
შორს გადავაგდე, როგორც მიქარვა...

**3 აპრილი**

## ლექსები ჩინეთზე

Китайская революция находится в переходе от желтого цвета в красный цвет революции низов.

К. Радек.

### ოკრიოდე სიტყვა წინასწარ

ჩემთვის უცხოა სხვა სიმღერები,  
მე დღეს ჩინეთზე ვსწერ ამ სტრიქონებს;  
რა უყოთ მერე ამ სტრიქონებით  
მე თუ არ ვგეგვარ ჩვენში ბევრ პოეტს?!

აბა რა უნდა მქონდეს საერთო,  
მათთან, ვინც კალამს ცრემლებში ალბობს,  
შორეულ წარსულს ვინც რომ აღმერთებს  
და ძველ დროებაზე ფიქრებით დარდობს.

მათ გულში სტირის ძველი თბილისი  
და საქართველო თამარის ქოშით,  
მე კი ძარღვებში სხვა სისხლი მივლის  
და ვარ სულ სხვაგვარ გრძნობათ მედროშე.

რა მიხარია! ჩინეთის ტალღა  
ბატონობის ძეგლს რომ აყირავებს,  
და ვის რად უკვირს ყველაზე მაღლა  
რევოლიუცია რომ დაეაყენ?!

ზოგს მიაჩნია ეს წვრილ ამბებად  
და მასზე წერა ლექსის დახრჩობად;  
მე კი მგონია ასჯერ დიდია,  
ვინემ თამარზე ლექსით ჩარჩობა.

### ზანხანი აღეზულია

არის წუთები, როცა გულიდან  
სასიხარულო ნაკადი მოსჩქეტს,



„შანხაი ბრძოლით აღებულია,  
კანტონელები შლიან იქ დროშებს.“

გავიგე ეს და გული გამეხსნა  
და სიხარულით შევესძახე; „ვაშა“!  
არ არის ძალა ჩვენი მზე მოსპოს  
და სასიცოცხლო ძარღვი გადასჭრას.

თქვენს გულისტკივილს და თავდადებას  
მე აქედან ვგრძნობ ძვირფასო ძმებო!  
რამდენი ბოღმა უნდა დაგროვდეს,  
რომ თავგანწირვით ასე იბრძოლო!

რამდენი მსხვერპლი დაეცა გზაზე,  
რამდენ ათასებს გაუპეს გული?!  
მაგრამ ხომ მაინც ვერ გადარაზეს  
აჯანყებული მასის სურვილი?!

სალამი ახალ ჩინეთს და ლაშქარს,  
ბრძოლების ცეცხლში ქცეულს ფოლადად!  
ყოფნის საკითხებს ბრძოლა გადასჭრის  
და ხალხის ნება გაიხომალდებს.

## 7000

მოგვდის ყოველდღე ახალი ცნობა  
და კაცს ბოღმებით გვესება გული,  
ამას რას სჩადის თეთრი ევროპა  
ყველფის სურვილით გამხეცებული?!

ქალაქ ნანკინში თეთრების ჯარმა  
თავი მოჰკვეთა 7000 ჩინელს;  
ჩინეთი სისხლით დააჯარიმა,  
რომ გემი ზღვაში გადაარჩინოს.

აღბად გლოვობენ მშობლებს ბავშვები  
და გულში მტრობას ზრდიან მათდამი,  
ვინც ხალხის ნებას ასე ახშობენ  
ტყვიისმფრქვევლებით, თოფით, ნაგანით.

მე ახლა მინდა ავიღო სიტყვა  
იმათი ხსოვნის აღსანიშნავად,

ვინც გამარჯვებამ ასე იმსხვერპლა  
და გადაესძახო თეთრების ბანაკს:



„ღღეს გომინდანი ებრძვის ძველ ჩინეთს,  
მოპირდაპირეს თვითონ ალავმავს;  
სხვებმა მოთმენა შეინარჩუნონ  
და ხელები შორს ჩინეთისაგან“.

### მომავალი

ჩინეთმა სისხლით გზა გაიკაფა,  
ჩინეთი ბრძოლებს ისევ აგრძელებს,  
მას ვერ მოლუნავს თეთრების ძალა,  
ძირს არ დაუშვებს ამართულ ხელებს.

ძნელია ერთად წამოაჩოქო  
ბრძოლის წყურვილით გამთბარი ხალხი,  
ვერ შეანელებ მათ გულში კოცონს,  
თუნდაც დახვრიტო ასი ათასი.

რაც უფრო მეტ ხალხს დახვრეტს ჯალათი,  
ბრძოლაც მით უფრო მწვავედ ჩაღდება,  
ველზე დაცემულ გმირთა ძვლებიც კი  
იმართებიან ბარიკადებად.

ბრძოლის ველებზე ვერ იხეირებს  
ძველი ჩინეთი და უცხო ძალა;  
ღღეს სადღეგრძელოდ ახალ ჩინეთის  
შრომის დროშებმა ფრთები გაშალეს.

ვკითხულობ წერილს ჩვენი რადეკის  
და მოხსენებას ბუხარინისას,  
მჯერა: თუნდაც რომ ასჯერ წალეკონ,  
ჩინეთი მაინც მიაღწევს მიზანს.

1927 წ. მარტი.  
ქ. ტფილისი.



## ზაჰესის მსხვერპლი

### ჩემს ძმას, მუშაობის დროს დაღუპულს

ძმაო!.. ვინ იცის რამდენ ხალისს გულში იტევდი  
 შენში ღვიოდა სიჭაბუკე ნავსიან ბედით  
 როგორ გიყვარდა ეს ცხოვრება დაუშრეტელი,  
 როცა ხედავდი შენ ძმას პოეტს ერთგულად, გვერდით.  
 გასურდა გეხილა ავჭალიდან მზის ამოგარდნა  
 გათენებისას სამუშაოს ეშურებოდი  
 მტკვარის ღუღუნი არე-მიდამოს როს დაფარავდა  
 ძარღვებ დაჭიმვით ავჭალის მიწას გულში ეკვროდი.  
 ზაჰესს ანაცვლე მძლე ენერგია ახალგაზრდობის  
 მტკვრის ნაპირებზე უკანასკნელად ამოიკენესე,  
 „ველარ გიხილავ! დედავ მშვიდობით, ზაჰესს მშვიდობით“,  
 და ამ სიტყვებით იქ მყოფ მუშების გული დასერე.  
 უზომო შრომას იყავ ჩვეული შენ ბავშობიდან  
 მაგრამ სიცოცხლე შემოტრიალდა, როგორც ბზრიალა  
 აქ ინდუსტრიის გასაცნობათ მოდი შორიდან  
 ძმაო შენ გასურდა ზაჰესის ბედი გაგეზიარა.  
 „შვილო ნუ წახვალ ასეთ მძიმე სამუშაოზე“,  
 ლულუ, ხომ გახსოვს დედა შენი გეუბნებოდა.  
 მაგრამ არ დათმე მუდამ მხნეთ იდექ საგუშაგოზე,  
 ის არ იცოდი, თუ მზე შენი დაბნელდებოდა.  
 ავჭალის ხევში მტკვარზე ზაჰესმა გული გაშალა  
 მრავალთან ერთად შენ სახსოვრადაც ამართა სხივი  
 შენს მეგობრებში მწუხარების ხაზი მოშალა  
 და სიხარული მათულებით დაფანტა გზებზე.  
 მტკვარი კი ისევ თავისებურად ზვირთებს აგორებს  
 სად დასიცხულ მკერდს დასვენების დროს იქ იგრილებდი,  
 აწ მშვიდობით!.. ზაჰესის მუშები გიგზავნით ამბორს...  
 „ალარ ჩაქრება ლულუს ხსოვნა, სანამ ვიქნებით“.

## არალეგალური სასტუმრო\*)

### თავი მეცხრა

ძაუს გეგმის პირველი ნაწილი.

დილა. ქალაქში ხალხი ირევა. ყველას მიაქვს საკუთარი ფიქრი და მიიჩქარის.

ერთ მიგდებულ ქუჩაზე, სადაც ურმის თვალი ვერ მობრუნდება, ერთ პატარა ვიწრო. ლურჯათ შეღებილ დარაბაში ფუსფუსობს ძაუ და ეხმარება ზურაბოვიჩის მეუღლე.

სწმენდენ მინებს და აჭედვენ თაროს ფიცრებს...

მეორე დღეს ფანჯარაში გამოაფინეს ფრანგული ბულკი, დამკნარი პონჩიკები და თაროზე შემოაწყვეს ბამბანიორკის ცარიელი კოლოფები.

დადგეს რამოდენიმე რკინის ფეხებიანი მაგიდა და კარებზე მიაწერეს:

(„Кондитерская“ და „Вход“) საკანდიტროში შეგიძლიანთ მოითხოვოთ: ჩაი, რძე, მაწონი და ყავა. ზრდილობიანათ შეგხვდებით ძაუ და ხურდას მოგართმევთ ზურაბოვიჩის მეუღლე.

თითქოს გაუჭირდათ ცხოვრება უსაქმურ ხალხს და არ ითაკილეს „შრომა“. როგორაც შეეძლოთ შეამხანაგდენ და გაყვენ დროს სირბილს თავისებურად.

ეს ძველად სხვისი ნაქონი პურის საცხობი ზურაბოვიჩის საკუთარ შენობის ფარგლებში იდგა და პატრონმა იცოდა მისი საიდუმლო კედლის ბალავერი...



ძაუს გეგმის მეორე ნაწილი.

როცა ქალაქში მიწყნარდება მოძრაობა, ამ დროს საკანდიტეროს ჩაკეტილ სამზარეულოში პურის საცხობის სიღრმეში მიძვრება ოთხი კაცი სამუშაოთ.

ძაუ გეგმას უშლის მეგობარ გვარდიელს და სამი მუშა კისრისტეხით მიძვრება საიდუმლო სარდაფში...

\*) იხ. უფრ. „პროლეტ. მწერლობა“ № 3.



დილას საკანდიტროში შეგიძლიანთ მოითხოვოთ: ჩაი, რძე,  
მაწონი და ყავა...

ძაუ ზრდილობიანათ შეგხვდებათ და ხურდას მოგართმევთ ზუ-  
რაბოვიჩის მეუღლე...

რამოდენიმე კვირის საიდუმლო მუშაობამ შემდეგი სურათი გა-  
აჩინა.

პურის საცხობის სიღრმეში, ცეცხლის სანთების ადგილზე, აი-  
ხდება ერთი მოზრდილი პრტყელი ქვა, და სამად გაღუნული მილი:  
გაივლის და ჩავა ქვედა სართულის ქვედა ყრუ უსინათლო სარ-  
დაფში...

მილის შუა ადგილზე მოწყობილია რკინის კარები საიდუმლო  
გასაღებით.

შიგნით დიდ სარდაფში გაკეთებულია მყუდრო ოთახები.

მუშებმა დაამთავრეს ოსტატური ნახელავი და დღეს შრომის  
ხელფასის მიღებას ელიან.

დღეს მეოცე დღე იყო, მათ სხეულს არ ენახა მზის სინათლე...

ისინი გვარდიელ მუშების პოლიტიკური მემკვიდრენი იყვნენ  
და ისევ მენშევიკურ მზეს ფიცულობდნენ...

ერთი რკინის მუშაა.

მეორე დურგალია, ხის ოსტატი.

მესამე კალატოზია.



„არალეგალური სასტუმრო“ დამთავრდა და მის საიდუმლოე-  
ბის კედლების გამაგრებას მუშების შიგ დამწყვედვეა დასჭირდა...


ძაუმ პირველ ფიქრში მუშების დახოცვა განიზრახა, მაგრამ  
ლემის დამალვის სიფრთხილე და მათი სიცოცხლის გამოყენებრს  
უფრო საჭიროებამ შეაფიქრინა.

მთავარ სახელოსნოში მუშების დაკარგვამ დიდი მითქმა-მოსაქ-  
მა გამოიწვია, მაგრამ ძაუს დავალებით გვარდიელმა მუშამ სხვა და  
სხვა დამაშოშმინებელი ჭორები გამოუშვა. მათი ძებნა სათანადო  
წესით მიმდინარეობდა, ზოგჯერ დაყრილ ჭორების მიხედვითაც.



როცა გაყურდა ყნოსვა ქუჩების, პურის საცხობის ხახაში ჩაიყ-  
ლაბა სტუმრები...

სასტუმროში ჩაიტანეს სასროლი იარაღები და დამყარდა მა-  
გარი დისციპლინა.



მილის ტუჩთან დასდგეს ორი ტყვიის მფრქვეველი და ზედ მიუყენეს მაუზერისტები...

მუშები იდგნენ გათლილ სვეტებათ და მათ სახეზე ქროდა ახალი შიში...

— თქვენ აქ დარჩებით რამდენიმე დღის განმავლობაში. ამას სამშობლო მოითხოვს.

გაისმა ძაუს ხმა გაყინულ სახეებთან.

— რას ამბობთ...

გაისმა სამი მუშის ერთიანი ხმა. ამის შემდეგ ბევრი ხვეწნა და წვრილი ცოლწკილის ხსენება ისმოდა ძაუს ზურგზე, მაგრამ პატრიოტი ქართველი გეგმას ანვითარებდა და სჭრიდა-ცელავდა რაც მის საქმიანობას ხელს დაუშლიდა.

ძაუმ დაამთავრა „არალეგალურ სასტუმროს“ მოწყობა და პოლიტიკურ ორგანიზაციას მოახსენა საქმის ვითარება...

მიიღო შესაფერი მადლობა და საშიშ საქმეს სიფრთხილით მოპყრობა სთხოვეს. საკანდიტროში ისევ შეგიძლიანთ მოითხოვოთ: რძე, მაწონი, ჩაი და ყავა...

### თავი მათე

ძაუს გეგმის მესამე ნაწილი.

სტუმრების მიღება არალეგალურ სასტუმროში.

მილის გამოსავალი ტუჩი იატაკზე დაშორებული ერთი მეტრის სიმაღლეზე, რასაც ასრულებს ფიცრის კიბე.

მილის თავზე არის წარწერა „გაუმარჯოს თავისუფალ საქართველოს“ და ზედვე ჯვარედინად გაკეთებული ნაციონალისტური დროშები.

მარჯვნივ და მარცხნივ დარაჯად დგანან ყოფილი გვარდიელები...

სტუმარი პირველი.

გაისმა ზარის წკრიალი და დარაჯები გასწორდნენ.

მუშები კუთხეში იდგნენ, როგორც წვიმიან დღეში ხისქვეშ საქონელი და მათი გაუნძრეველი ცქერა მილის გარსს აკვდებოდა...

მილის ტუჩში გამოჩნდა ადამიანის დაყირავებული სახე და უსწოროდ გამოხედილი თვალები.

იგი ხელებით დაეყრდნო კიბის პირველ საფეხურს და რამოდენიმე მანძილი იატაკზე ხელებით გაიარა.

დამხვდურთა სახეებზე ღიმილმა გადაიარა, გასწორდა სტუმარი და გაირეკა ნამგზავრი მტვერი.



მისი სახე საბჭოთა ხელისუფლებას ემუქრებოდა, პირველ ნომერ სიით ამრჩეველ მოქალაქეთა სახელით.

მისი თვალები და ხელის გაშვერა ათასი კაცის წინამძღოლათ იხედებოდა...

ნაშრომიდან დაყირავებულათ ამოძურწულ ციტატებით მისი თავი გატენილი იყო მარქსის თავისებური სოციალიზმის ქადაგებაში, გავარჯიშებული ენა პირში არ უცდიდა.

სტუმარი მეორე.

ჩამოსვლის წესის ნიშანზე სახეები გასწორდნენ.

მილის ტუჩში პირველ დასანახავათ უბეში შენახული ჯავარის ჯაჭვი გადმოეკიდა და მასვე გადმოყვა ყაყირა შერეულ თმების მოკლე ნაწნავები.

უხეიროდ გადმოშვებული მღვდელი გაეხვია ანაფორის კალთებში...

გაქირვებულ სტუმარს მიეშველენ და ფეხზე წამოაყენეს გაწითლებული მოძღვარი.

იგი ხშირი პირჯვრის წერით და ღმერთის ხსენებით შეიჭრა დარბაზში.

სტუმარი მესამე.

მილში ზარის წკრიალის ხმას გადაება მწარე სულის ხვნეშა და მილში დაიბადა მოხუცი კაცის უკმაყოფილო სახე.

იგი ძველი სოციალისტია.

ხელობით ვაჭარი.

მას ამ ქვეყნათ აღარაფერი სწამს.

აღარც ახალი მოსწონს.

აღარც ძველს აქებს.

სიცოცხლე არ უნდა და სიკვდილის ეშინია.

ყველაფერზე უფრო კომკავშირელები სძულს და გუნებაში მათ ზურგზე ნატრულობს ნიკოლოზის მათრახებს.

ხელში გახეთი „კომუნისტი“ უჭირავს და ყოველ სტრიქონზე უგულო სიცილს აყრის სათვალების ზევიდან ცქერით...

სიტყვა „ჩეკა“ სასტიკად აშინებს.

სტუმარი მეოთხე.

მილის წინ გაჩნდა თავადი.

ის ფრთხილად ჩაძვრა და იქვე დამხვედრ ღვდელს სიამოვნებით შეეკითხა:

— ა, მამაო, როგორ მოგწონთ...

ჩინებულა ღმერთმანი, ჩინებულა...

ყოჩაღ ძაუა, ყოჩაღ.

ნამდვილი ღირსეული შეიღია საქართველოსი...

ის მიუახლოვდა ღვდელს.

ეხლა უკვე ჩურჩულით სასტუმროს გაუმჯობესებაზე იწყეს ლაპარაკი.

— რათა მამაო. შენ გგონია შეუძლებელია...

თუ კი ამერიკელები ოკეანეს ქვეშ რკინის გზის გაყვანას აპირებენ, რატომ ჩვენთვის შეუძლებელია აქედან გვირაბის გაყვანა სათათრეში...

— ღმერთი იხსნის საქართველოს ტანჯულ ერს...

სასოებით წარმოსთქვა ღვდელმა და თეთრ წვერში აურია ფერმკრთალი თითები...

— უბედურო ხალხო... საცაა თავს დაგესხმევიან კომუნისტები და ერთი ხელის დაკვრით გაგქყლეტენ როგორც ჭიანჭველებს...

ჩურჩულობდა დაბალ სკამზე დამჯდარი მოხუცი სოციალისტი. პირველი სტუმარი დინჯ სახეს დაატარებდა დარბაზში გენიალურ თავით და ხელით აშლილ თმებს ისწორებდა.

ხვალ საკანდიტროში შეგიძლიათ მოითხოვოთ: რძე, ჩაი...

### თავი მეთერთმეტი

კეისის პირველ ხანებში არ სურდა, დედას გაეგო მისი ორგანიზაციაში ჩაწერის ამბავი, რადგან იცოდა რომ ეს დედამისზე ცუდად იმოქმედებდა.

ზურაბოვიჩის მეუღლეს სუნი აელო კეისის მოქმედებაზე და ერთლამეს მძინარ კეისს ჯიბეები გაუჩხრიკა.

კომკავშირის მანდატი და ყოველ დღიურ სამუშაოზე საჭირო ქაღალდები უნახა.

ზურაბოვიჩის მეუღლემ ამბავი მაშინვე ძაუს გაუმხილა.

დაიდგის რუჩხე თითები და ბრალი იტალიელ მუშის ოჯახს და ტანსის დასდო.

ბრაზიან ძაუმ გულში ტანსეს კისერი მოუგრიხა და ტვინი მიწაზე დაასხმეინა უნახავ დაქადნებით, მაგრამ კომკავშირელის მოკვლას თეთრ ტერორს დააბრალებდენ და სასტუმროს კედლების საიდუმლოებაც საფრთხეში ჩავარდებოდა.

საჭირო იყო სხვა ხერხები.

ძაუმ თავის გეგმას უკანასკნელი გვერდი გაუსინჯა და კეისი ოცნებაში პარიზის ქუჩებზე გაასეირნა...

იმედიანათ ხელი წაკრა ბეჭზე სასიდედროს და კრება დაიხურა...



შამპანის ქარხანა ისევ ძველ მეპატრონემ აამუშავა და უსაქ  
მო მუშები დაუბრუნდნენ ნაცნობ კედლებს.

კომკავშირელ ტანსეს ქარხანაში ზედამხედველობა მისცეს და  
პატარა ოთახში გაიწყო საწერი მაგიდა...

დაუსვენარი ტანსე ტრიალებდა ქარხანაში და საბჭოთა და  
კომუნისტურ წყობილების იდეებზე ესაუბრებოდა მუშებს...

წუხელი ტანსემ კრების დამთავრების შემდეგ, გამომშვიდობების  
დროს კეისს ხელში უმისამართო კონვერტში ჩადებული ბარათი  
მისცა.

მთელი ღამე ძილი არ მიკარებია მის თვალებს.

ყოველ საგნის განძრევაზე კეისი ეჩვენებოდა და დამორცხვე-  
ბულ თავს საბანში მალავდა.

ზოგჯერ სწყინდა კიდევ კეისზე საიდუმლოების გამხელა, მაგ-  
რამ ამავე დროს უხაროდა, რადგან მის ტანჯვას ბოლო უნდა მო-  
ღებოდა...

კეისიმ ბარათი ოთახში გახსნა და იწყინა შინაარსი.

— ტუტუცი... რეებს მიქარავს...

ტანსეს წლობით ნაფიქრალი სტრიქონები ბურთად აქცია და  
იატაკზე გადისროლა...

მიუჯდა მაგიდას და ქალაღი მოიმზადა პასუხისთვის.

— ასეთ მიქარვას ადგილი არ ქონდეს დღეის შემდეგ... თო-  
რემ სამუდამოდ გაგიძულებ...

სათაურში კეისიმ ასეთი სტრიქონები წააწერა და ქვევით  
ჩაყვა...

პასუხს, დამტვრეულ სტრიქონების შინაარსის მეორეთ წაკით-  
ხვა დასჭირდა და იატაკზე გაცივებული ტანსეს გრძნობები აკრიფა  
გაბრაზებულ ქალმა...

დაწყნარებულ ნერვებში ვაჟის წუხილი დაიბნა და დაქმუქნუ-  
ლი ქალაღი მძიმე ფიქრებით ისევ კონვერტში ჩაესვენა...

ყოველივე კეისის მოქმედებას დედა ყალბი ძილით ისმენდა და  
ძაუ ტანისამოსის განჯინაში ლოდინით იხრჩობოდა...

ძილი მოერია კეისის ახალ ფიქრებს და ლოგინში შეიტანა ბა-  
რათის დარდი... მალე მიეძინა ამბით მოქანცულ თვალებს და ოთახ-  
ში ფეხზე დადგა ორი ფხიზელი სხეული.

ძაუმ კეისის ცხვირთან მიიტანა დასაძინებელი წამალი და ქალ-  
წულის ძილი გამაგრდა.

მძინარეს საბანი გადაადვრეს, დაუს სისხლი აემღვრა შიშველი ქალის დანახვაზე...

ახა... ყოველივე ის, რისთვისაც ზოგჯერ დაუ ათასებს არ დაიშურებდა...

სადღაა ქალწულის სიმორცხვე და თეთრეულის ფარვა...

კეისს სძინავს და მის გადაშლილ ტანს მამაკაცის მსუნავი თვალები უვლის. დაუმ აცრუებული გრძნობები დაპირებით დაამშვიდა და მძინარე ქალის სხეული ჩალის კალათში ჩააწვინეს...

ლონიერი დაუ მიდიოდა ბნელ ქუჩებში და გაჭირვებით მიქონდა მისი სიცოცხლის საუნჯე.

კეისიმ ძილი არალეგალურ სასტუმროში განაგრძო.

გვერდით გამყიდველი დედა უწვა.

დაუმ სასტუმროში განცხადება გააკრა: „ლამაზ კეისს კომუნისტები სდევნიან, მისი გვარეულობის მოსასპობად“.

მზის მოახლოვების შიშით, დაუმ ისევ აჩქარებით შეაღო ზურაბოვიჩის ბინის კარები, მომხდარ საიდუმლოებას დასრულება დაუწყო.



ქლაქის ქუჩებზე ლამის უკანასკნელი სიბნელის კალთები ეფინა.

არსენალის დაბალ გორებზე მზის პირველი სხივები აჩნდა.

იყო დამწკვდეულ მამლების ყვილი.

ამ დროს სოფელში კერას შემოერთყა ადრე დაძინებული გლეხები და სიზმარს ხსნიან.

დედაკაცი გარეცხავს ქოთანს და მოიმზადებს საკვეთოს...

დაუმ რამდენიმე ნახტომი გააკეთა მტკვრის ნაპირებზე და შეხვეული ტანთსაცმელი დაალაგა მისაგნებ ქვიშაზე.

ავჭალაში გადატეხილი მტკვარი დუჟიან პირით მძინარ ქლაქს ზაჰვისის მშენებლობის ამბავს უკმაყოფილოდ უბუტბუტებდა და ნატკენ ტანს ნავთლულის მინდვრებში ილოკავდა.



დილას ვერის ხიდზე გამვლელნი და გამომვლელნი ქვიშაზე დაყრილ საგანს უცქეროდენ...

მეორე დღეს გაზეთში უბედურ შემთხვევებში მოქალაქემ წაიკითხა.



„მტკვრის ნაპირზე მილიციამ იპოვა ქალის გახდილი  
მელი და კომკავშირის მანდატი“.

„გვამი ვერ აღმოაჩინეს“...



ზურაბოვიჩის ბინაზე გარს ეხვიენ სახედაკაწრულ დედას და  
ცრემლიან თვალებით ამუვიდებდენ მშვენიერ კეისის დამკარგველ  
დედას...

მტირალი ქალი ტანსეს აბრალებდა კეისის დალუბვას და კბი-  
ლებით გაგლეჯას ემუქრებოდა...



კვლევა-ძიების შემდეგ გამომძიებელმა გაანთავისუფლა ტანსე,  
რადგან მის წერილში ვერ იპოვა ისეთი, რითაც ბრაალი დასდებოდა  
გულმოკლულ ყმაწვილს...

ამ ამბის შემდეგ ტანსეს სული სხეულს გაეყარა და მკვდარ  
ლემად იქცა სიცოცხლით სავსე ახალგაზრდა...

ყველას სახე კეისის დაკარგვას ტანსეს უყიოდა.

ოჯახში ორნაირი ტირილი გაჩნდა.

კეისის დაკარგვამ თორას თვალები ცრემლებით დაახრჩო და  
ტანსეს გულს უწყნარებდა დედა და რბილი ხმით საყვედურობდა:

რად მისწერე შენ დას სიყვარულის წერილიო...



პირველ ხანებში კეისი შიშმა და გაუგებრობამ აიტანა. შემ-  
დეგ შემოიკრიბა მთელი მისი ენერგია და დაცემული სული გაი-  
მაგრა...

სახეზე დარდი გადაიწმინდა. სასტუმროს მოველინა ისევ  
ცქრიალა კეისი.

კეისის ყურადღება მომწყვდეულ მუშების მდგომარეობას დაე-  
პატრონა და მთელი მისი სურვილი მათთან დაახლოვებას გადაყვა...

ძაუ კეისს ისე ეპყრობოდა, როგორც დედოფალს და მისი სქე-  
ლი ბეჭეტი მის გემოზე ტრიალებდა...

საწოლი ოთახი მღვდელთან მიუჩინა და მისი ლოგინი ფარჩე-  
ბით მორთო...

მუშები კეისს ისე უცქეროდენ, როგორც გაწიწლაქებულ თა-  
ვადის ქალს... და ყოველ დანახვაზე ზიზლით ივსებოდენ მის მი-  
მართ...

სასტუმროს ზედა სართულს ხალხი ყოველდღე ემატება.  
გაწკრილდა ზარი და გასწორდა დარაჯები.  
სასტუმროში საზოგადოება გატაცებულია გასართობებით.  
ისმის ნარდის ჩხაკუნი.

ჭადრაკს ორი დადუმებული სახე დაჰყურებს. ისმის კამათი.  
დამფრთხალი პოლიტიკოსები ერთმანეთს აბრალებენ საქარ-  
თველოს „ჭიშკრის გაღებას და კომუნისტების შემოსვლას“...

მოხუცი სოციალისტი გარიყული სდგას და კბილებში სიცი-  
ლით და სათვალეების ზემოდან გადახედვით ჩურჩულებს...  
უბედურო პოლიტიკოსებო გაგსრისავთ კომუნისტები...  
მილში ჩამოდის სტამბის მუშა და მუშა გვარდიელი მოყვება.  
ასოთამწყობს შიშით მარცხენა მხარი და ტუჩი უთამაშებს...  
— რა მოგივიდა ბიჭო... მამულიშვილი არა ხარ?...  
შეანჯღროს თავადმა და ბეჭზე ხელი დაჰკრა.

ისევ ზარის ხმა და სტუმარი...  
გაიმართა მილში მოღუნული მგზავრი და მოქცეული ყელსახვე-  
ვი გაისწორა.

გაიღიმა და ვისაც შეხვდა ყველა დაკონა...  
— არაფერი იცით... არაფერი ვაგიგიათ?..

განაცხადა შუა დარბაზში. მას ყველანი ირგვლივ შემოერტყა.  
— გუშინ მოსკოვს მიუღია პარიზიდან ბრძანება, რომ ოცდა-  
ოთხი საათის განმავლობაში საქართველოში უნდა აწმინდოს რუსის  
ჯარი და საქართველო უნდა ჩაბარდეს...

— ვის?..  
გაისმა ერთიანი ხმა.  
— ვის და ვისაც ეკუთნის...

— ეს ერთი. მეორეც ის, რომ მოსკოვს არ სცოდნია საქარ-  
თველოში კომუნისტების ჩხუბით შემოსვლა და დიდი საყვედური  
მიუღია შენს ქართველ კომუნისტებს.

— ვინ სთქვა...  
გაისმა ხმები.

— ვინ თქვა და ვინც გაიგონა და მიიღო ეს ცნობა, იმან  
მითხრა, ჩემი თვალით დავინახე, ჩემი ყურით გავიგონეო...

— დიდი ოვაციებით შეხვდენ ჩვენ მთავრობას პარიზში და და-  
პირებიან მალე დაბრუნებას...



— ნუ გეშინიანთ ხალხო, გამაგრდით... კომუნისტების დათვლილია.

— გაუმარჯოს საქართველოს...

— მოგისწრებენ კომუნისტები აქ და გავსრისავენ თქვე საწყლებო...

ბუტბუტებს მოხუცი სოციალისტი...

კეისიმ კანი სტუმრებისებურად შემოიკრა და გულში მოსაზრებებს აგროვებდა...

კიდევ ზარის ხმა და უცხო სტუმარი.

ამ ახალგაზრდას, საქართველოს ნამეტანი სიყვარულით ჭკუა დაუკარგავს—ჩამოსვლისთანავე გაირბინა დარბაზში.

— ა... ვინ თქვა... რა თქვა... მიდიან... როდის მიდიან...

ანჯღრევს თითოეულს და ეკითხება გაფითრებული...

შემდეგ მივიდა მღვდელთან და დაჩოქილი ჯვარზე ემთხვია.

— ქრისტე აღსდგა...

დაიყვირა და იქ მყოფთ დინჯად გადახედა...

ყველა ისევ თავისებურ ბაასს შეუდგა...

თავადმა ხელი ჩაჰკიდა მოამბეს და ყრუ კედელთან მიიყვანა...

-- ა... შენ რას მეტყვი... მე თავში მომდის ასეთი აზრი.

აქედან გავიყვანოთ გვირაბი შავი ზღვის გაღმა. ამით ჩვენ მოგვეცემა საშუალება კავშირი ვიქონიოთ ევროპასთან.

დაათავა ჭკვიანური სიტყვა თავადმა და ენა გადუსვა დარგვლებულ თამბაქოს ქალღალს...

— რას ამბობ ბატონო თავადო. მე მგონია, დილა რომ გათენდება შზის ჩასვლას ჩაყვებიან კომუნისტები..

— მაგას რა უდგას წინ...

თავადს მოამბეს იმედმა სურვილი დაუწყნარა და ძველებურათ გაისეირნა მისებურ საქართველოში...

შუა-დღეა. საკანდიტროში შედიან მუშტრები და იცლება სავესე ჭიქები...

ძაუ ტრიალებს და ზურაბოვიჩის მეუღლე მგლოვიარეთ ზის.



არალეგალურ სასტუმროს კურთხევა.

სასტუმრო მორთულია ეროვნულ დროშებით და კედლებზე ყველა თავის ბელადის სურათს კიდებს...

— უბედურო ხალხო დაგინგრევენ ეკლესიებს კომუნისტები და დაგავიწყებენ ხატს...

ლოცვის ხმაზე ბუტბუტებს მოხუცი სოციალისტი.

სასტუმროში იყო ღუმელი და გათხუნულ სქელ წიგნზე წაფერილი სანთლის წვეთები ვარდებოდა.

სასტუმროს კედლებს ნაკურთხი წყალი ასხურეს და ჯვარის საკოცნათ რიგში ჩადგა ღმერთის ვედრებით გაჯერებული სულები.

ყოველივე ცერემონიის შესრულების შემდეგ პირველი სიტყვა ღვდელმა ირგუნა.

— მოქალაქენო... მართლმადიდებელნო... უფალი იყოს თქვენი მხსნელი...

ღმერთმა ბრძანა „მოთმინებითა შენითა მოიპოვე სული შენო“...

ვახსოვდეთ ეს სიტყვები და ნუ დაივიწყებთ ხატსა და ჯვარს... იგი გვიხსნის ჩვენ ამ განსაცდელისგან...

— ბატონებო, უპირველეს ყოვლისა მადლობა და გამარჯვება უძღვნათ ჩვენ ძვირფასს თეთრ გიორგის—ძაუს ამ მყუდრო თავშესაფარის აშენებისათვის. იყო მეორე სიტყვა თავადის. ისმის ნელი ტაში და ეროვნულ ჰიმნათ დიდება.

— უსურვოთ მაგას დაასრულოს მისი უდიდესი განზრახვა...

გაუმარჯოს ქართველ ერს...

გაუმარჯოს ჩვენ პაწია და კეკლუც საქართველოს... სადაც დიდი ქართული სული ინახება.

აქედან ჩვენ შეეძლებოთ ძირი გამოუთხაროთ მტაცებელ კომუნისტებს და აღმართოდ სასახლეზე სამფეროვანი დროშა...

მუშები იდგენ, როგორც სასაფლაოზე ძეგლები და სანახაობას თვალს ადევნებდენ...

იმედიანი სიტყვები ისევ ისმოდა...

ღამეა. საკანდიტრო დაკეტილია და ისმის ღამის დარაჯების სტვენა...



ტანსე დადიოდა მტკვრის ნაპირებზე და დაუნდობელ ღრუბებში სძებნიდა კეისის გვამს...

იგი სულითა და სხეულით მოქანცული მიჯდებოდა სადმე ნაპირზე და მთვარის მკრთალ უსისხლო სხივებზე გადატეხილი სულით იგონებდა უმისამართო კონვენტში შენახულ სტრიქონებს...

„ჩემს კეისს...“

შენ მაშინ ბავშვი იყავ და შენი თვალები ციმციმებდენ, როგორც დილით დაცვარული მწვანე ყანები...



მინდოდა დინჯ საუბარში მემხილა შენთვის ყველაფერი...  
ასეთ უბედურებით ატარებდა ღამეებს თავდავიწყებული ტან-  
სე და მღუმარე მტკვარს უჩიოდა კეისის უგზო-უკვალოთ დაკარ-  
გვას...

თორას სახის კანი ძვლებზე გადადნა კეისის დაკარგვის დარ-  
დით...

მას სიცოცხლის მადა დაეკარგა და იგი ლანდს დაემგზავსა.

ცრემლი აღარ შრებოდა იტალიელ მუშის ოჯახში და ვერ-  
ინელებდენ ძვირფასი კეისის დაკარგვას...



— რას გვემდურებით... რა დაგიშავეთ... გაგვიშვით, შეიბრა-  
ლეთ წვრილი ცოლშვილი...

ისმოდა მუშების დამხვრჩალი ხმა გამშრალ ყელიდან...

— მოითმინეთ... მოითმინეთ... მოიცადეთ, იქონიეთ მოთმინება...

— აქ საშვილიშვილო საქმე კეთდება...

არ გინდათ წილი გქონდეთ საქართველოს განთავისუფლებაში?..

დინჯი ხმით ამშვიდებდა გვარდიელი მუშებს...

ასე მიდიოდა მწარე წუთები და დღითი დღე მძიმდებოდა  
მუშების სიმშვიდე.



ქალაქში დადიოდნენ პირზე უალ-აფარებული ქალები და სანდო  
პირთან ამხელდნენ არალეგალურ სასტუმროს ფონდისთვის დახმა-  
რების თხოვნას...

— ოღონდ გვეშველოს...

ისმოდა ვაკურის დახლში და მადიან ხელს ამოქონდა დაუზო-  
გავი შემწეობის თანხა...

კარის პირში იკეტებოდა საიდუმლოება და ყალბი ნაეაჭრი  
ქალები ერეოდნენ პროსპექტის მგზავრებში...



ძაუს გეგმას ჯერ გადაუშლელი ფურცლები ბევრი ქონდა.

მის გულში ყველაზე დიდი ადგილი ლამაზ კეისის დარდს და  
სიხარულს ეჭირა.

ძაუ ოცნებით გადაუქროლებდა შავი ზღვის აგორებულ ზვირ-  
თებს და ვითომ პარიზის ქუჩებზე დაატარებდა თავის სატრფოს...

დაუმ სასტუმროს გასაღები წუთით ზურაბოვიჩის მეუღლეს და  
გვარდიელ მუშას გადააბარა და სადგურში საბილეთო სალონთან  
რიგში გაჩნდა.

მატარებელი იმერეთის საზღვარზე ქმინავდა.  
იყო რონოდებში ებრაელების ყიჟინი და კვერცხის ხსენება.  
ზედა თაროზე შემომჯდარი მეგრელები სიმინდის ფქვილებით ნავაჭრ  
ფულებს ფიქრით ანგარიშობდნენ...

თაროზე მიგდებულ დაუს მსუქან კისერს რონოდის მოძრაობა  
უღონოდ აქანებდა.

მატარებელი ბათუმის სადგურში შევიდა.

დაუ სადგურს გაშორდა. მას ბარგის წამლები ბერძნის ბიჭები  
აედევნა.

დაუმ ეტლთან მისვლით მოიშორა ბიჭები...

საკანდიტროში ზურაბოვიჩის მეუღლე ტრიალებდა და მუშტარს  
არ ამჩნევინებდა დაუს არ ყოფნას...

— შენ იცი ეს ქალი ვინ არის...

სთქვა მაგიდასთან გადაღუნულ მოქალაქემ და რძეს გაუსინჯა  
სიტკბო.

— არა...

— ეხ, რა არის ცხოვრება!

ის თავადის ცოლია!... მაგის გავლით ქალაქში მიწა ინძრეოდა!

ეხლა შეხედე რას კადრულობს...

ისევ პირველმა განაგრძო

— ასე იცის რევოლიუციამ ბიძია...

მიიღო პასუხი პირველმა...

### თავი მეთორმეტე

სასტუმროში სიწყნარე ჩამომდგარიყო.

თვალის მოსატყუარ თამაშით მოღლილი ბატონები მადიან  
ძილში გაეხვიენ.

ღარაჯები უშიშრად თვლემდნენ.

სასტუმროში ბინათ მუშებს თავთავიანთი კუთხე ქონდათ მი-  
ჩენილი ჭუჭყიან კედელთან...



— ვინ არიან კომუნისტები...  
გაისმა რკინის მუშის ჩუმი ხმა.

— მუშებისაგან და გლეხებისაგან შემდგარი მთავრობა...  
იყო პასუხი.

— ვინ ვართ ჩვენ!!.

— სულელები ზოგჯერ—ხომ რა გვიქნეს...

— ამოგვწვდიან ხმას... ჩაიწერენ ჩვენ აწეულ თითის ნიშნებს,  
ზურგს გაიმაგრებენ, და სავარძლებით მორთულ კაბინეტებში დას-  
ცემენ რისხვას თვითეულ ჩვენგანს...

— რა მოგველის ჩვენ!..

ისევ რკინის მუშამ ამოაფრქვია მწარე ნაღველი.

— გაგვრესენ, როგორც ჭიაყელებს...

ისმის ხმები.

აქ დაიწყო მუშების სისხლის დუღილი და ძარღვები სამკე-  
დრო-სასიცოცხლოდ დაიჭიმა. მათ მყუდრო კუთხეში სხეულები  
სიმწარით იზნიკებოდა და ძვლები რკინის ბორკილებივით რაკუ-  
ნობდა ერთი მეორეზე გადაბმული.

— მოვითმინოთ უმჯობესია. იქნებ გადავრჩეთ!..

გაისმა მისუსტებული ხმა და ჩაკვდა დაწეულ სანათის ალივით.

— არასდროს... მორჩა მოთმინების ხანა!!!

ხომ ხედავ რა ხდება ჩვენ წინ...

რალად ვართ ჩვენ ცოცხლები...

რას წარმოადგენს ჩვენი არსებობა...

ეხლა ხომ ცხადია ძმებო, ყველაფერი...

მოვკვდეთ იმ რწმენისათვის, რომ კომუნისტების გარეშე არ  
არსებობს მუშური ქვეყანა...

თუ მოვკვდებით ბრძოლაში, მაშინ დეე, ჩვენმა ძვლებმა ია-  
მაყოს იმით, რომ ჩვენ ბურჟუაზიის უკანასკნელი წიხლი მოგვხვდა  
მშრომელ ხალხზე მოქნეული.

ამ ღამით კეისის თვალებს ძილი არ მიკარებია.

მან საბოლოოდ გადასწყვიტა ამ მყუდრო თავშესაფარის გახს-  
ნისა და მოიმარჯვა ფიქრები საამისო გზების საძებნად...



დღეს ძაუს ლოდინში სადილი გაცივდა.

ძაუმ დილას ნავთსადგურში გაისეირნა.

უცხოელების ნაწილში დარაჯმა არ შეუშვა ძაუ და მითითა  
ყვითლად შეღებილ შენობაზე.



ძაუმ დიდხანს უტრიალა საზღვაო სამმართველოს ირგვლივ და ბოლოს შევიდა სათანადო ოთახში...

ძაუმ შეუსრულა დარაჯს მოთხოვნილება და აკრძალულ ადგილზე გავიდა.

ის ზვერავედა გემების კედლებს და უცხოელებს დუმილით ეხვეწებოდა—მითხარით რა მოგცეთ, რომ ორი ადამიანი თან წაგვიყვანოთო...

უცხოელები ძაუს პასუხად ყალიონიდან უბოლებდნ და გემის ბაქანზე მეზღვაურები ამაყად მიდი-მოდიოდნ. დიდხანს უტკირა შეუბრალებელ ხალხს ძაუმ და გულდაწყვეტილი გამობრუნდა უკან.

ძაუმ იმ დღეს ვერაფერი გააწყო მისი საქმის ირგვლივ და გვიან დაბრუნდა ნათესავის ოჯახში.

მასპინძელს შეაყვარა თავი ხელებდატვირთულ სტუმარმა და დიასახლისი ყელამდე თავაზიანობით აივსო.

დაგვიანებული სადილი ვახშობაში გადავიდა და სტუმარ-მასპინძელი მხიარულ ლხინს შეექცენ...



მეორე დღეს ძაუმ ოსმალოს თათრებში და კონტრაბანდისტებში ხეტილით დაალამა..

გაიცნო ბერძენი, თათარი, აჭარელი და გააცნო მისი გულის წადილი.

ნარდის ჩხიკინში და პატარა ფინჯნებით ყავის სმაში მან საქმე მაინც მოაგვარა და თანხმობის ნიშნად ხელი ხელს დაუკრა...

მონახეს სანდო შუაკაცი და ჩააბარეს ბე.  
დანიშნეს დრო და შეუდგენ მზადების ლოდინს.



საბჭოეთის მდგომარეობა უკეთესდებოდა.  
სოფლად და ქალაქად მშენებლობა მიდიოდა.

ქუჩაში გაჩნდა ახალი აგური და სილის ორმოში აორთქლდა კირის დუღილი.

დაანგრიეს ერთიმეორეზე მიჭუჭყული მყრალი სუნიანი, დახავსული დუქნები და განი ერთ ქუჩაზე გადასწიეს ახალი ბალავერის საზღვარი.

დააგეს რკინის ლიანდაგები. მიმავალ მატარებლიდან მოსჩანდა სოფლები ახალ ყავრიან ოდებით.



ძაუმ მოახსენა ორგანიზაციას საქმის ვითარება და მიიღო სა-  
ჭირო მანდატი...

ძაუს ევალემა საქართველოდან ევროპაში გაიტანოს საჭირო  
დოკუმენტები და უტერიტორიო მთავრობას მოახსენოს ჩვენი  
პატარა საქართველოს დუხჭირი მდგომარეობის ამბავი...

ძაუ ამ საშვილიშვილო დავალებასთან ერთად თან გაიყოლებს  
კეისს და პარიზში დააწყენარებს სულიერ მღელვარებას...



სასტუმროს მოწყენა ეტყობოდა.

დარაჯები ისევ იდგენ.

ხუცესი ლოცვად იდგა.

მოხუცი სოციალისტი მის წარსულს ქექავდა...

პოლიტიკოსები სამინისტროს ფუნქციებს იზეპირებდენ...

თავადი მიმინოზე ფიქრობდა...

მუშები ყურებდაცქვეტილები და თვალებგადმობრუნებული  
ოცნებაში თავისუფლების ვარსკვლავს ძებნიდენ...

მუშა ასოთ-ამწყობი ამერიკულ სისტემის პატარა მანქანაზე  
ძაუს სამგზავრო ლიტერატურას ამზადებდა. არალეგალურ ტვინის  
ნაჯახირევ სტრიქონებს ბეჭდავდა.

სასტუმროში კეისს ყველა ისე უცქერდა, როგორც კომუნის-  
ტებისაგან დევნილ პიროვნებას...

კეისმა დიდხანს უცქირა ასოთ-ამწყობის მუშაობას.

ლამაზი კეისის მომხიბლავ სახემ ტყვიის ფერ მუშაზე იმოქმედა  
და მან მეტი სიამაყით აამოძრავა მანქანა...

— რას ბეჭდავ..

წყნარი ხმა კეისის.

— წასაკითხს..

იყო პასუხი..

— ვისთვის.

ხალხისთვის..

— ვინ არის ხალხი.

— ხალხი, აი ხალხი, საქართველოს შვილები..

— შე უბედურო, როდის გაიგებ შენ, თუ ვინ არის შენი ხალხი  
და პატრონი...

წამოსთქვა კეისიმ სიბრაზით.

მუშამ მანქანა დააყენა და გაშტერებული თვალებით შეაქკერდა.

— რა გინდა შენ აქ.. ვის საქმეს აკეთებ.. იმ დროს, როცა ქარხნის საყვირი მშრომელი ხალხის — პროლეტარიატის დიქტატურას გაჰყვირის ქალაქს...

განაგრძობდა კეისი.

რკინის მუშამ ყური მოჰკრა კეისის სიტყვებს და გაცხებულმა მათი საუბრის მოსასმინად კედლებს აეკოჭნა.

— სუ, ხმა.. კრინტი არ დაძრა...

აქ მოდით. იყო კეისის უკანასკნელი სიტყვა და ტუჩზე სიჩუმე ანიშნა მათ.

გაფითრებულმა მუშამ მანქანა მიატოვა და კეისს გაყვა.

მას რკინის მუშა შეეჩება და ორი დაღმეებული არსება ერთ-მანეთს შეაქკერდა.

— ვინ ხარ შენ...

ბოლოს შეეკითხა მუშა ჩუმი ხმით...

— მუშათა კლასის კეთილდღეობისათვის მებრძოლი და მისი წითელი დროშის მატარებელი...

გაისმა კეისის საქმიანი ხმა, ამ სიტყვებით გაქვავებულ მუშის წინ.

მის წინ ვეებერთელა ვაჟაკი მუხლებზე დაეცა და სინანულს აპირებდა.

— ჩვენ მზათ ვართ დავიხოცოთ კომუნისტურ რიგებში...

გადაეცი თქვენებს, — ჩვენ ამ ჯურღმულში ფიცი დავდევი ვიბრძოლოთ საბჭოთა ხელისუფლებისათვის. დავრწმუნდით, რომ კომუნისმის გარეშე არ არსებობს მუშის ხსნა...

კეისიმ მუშა მაშინვე წამოაყენა.

— ჩვენს რიგებში სიკვდილი და სიცოცხლე ფეხზე, მუხლმოუღრეკლად, მკერდით იციან...

— სუ, ჩუმად იყავით. თქვენ მე გიხსნით.

მოშორდა კეისი ამ კუთხეს.

დარბაზში მოსეირნე კეისი გვარდიელ მუშას გვერდით მოუჯდა... თვლებში ჩააცქერდა და გაუღიმა...

ხნიერ კაცს ლამაზი ქალის მომხიბვლელ სახის ცქერამ გაყუჩებული სისხლის მოძრაობა გაუღვიძა.

— შენ იმ ქვეყანაში რას აკეთებ?

შეეკითხა ღიმილით კეისი.

— სახელოსნოს მუშა ვარ.

— რას მუშაობ?



- ზეინკალი ვარ...
- მერე აქ რა გინდა?
- აქ ჩვენ გვინდა საქართველოს ნაციონალისტური სული შევინარჩუნოთ და კომუნისტებს აუკრათ ბარგი...
- მერე, შენ რა დაგრჩება?
- მეც ხომ საქართველოს შვილი ვარ...
- რამდენი ხანია მაგ რწმენით დადიხარ ქარხანაში?
- ცხრაას წელიდან... ციმბირის ყინვებმაც ეს რწმენა დამიტოვა...

— აფსუს ხნიერო თავო... ამოდენა ნაწვალები, რომ ვერ მივიგნია, შენი ოჯახი ვერ მოგინახავს.

წადი იქ, მზიან ქვეყანაში და ქედი მოიხარე წითელი დროშის ქვეშ და მოხუცი სულით დაიფიცე, რომ შენ მოკვდები იმ რწმენით, რომ კომუნისტების გარეშე არ არსებობს მუშისთვის ბედნიერება...

ბოლოს გვარდიელს სიფრთხილით დაუბარა კეისიმ.

დადუმდა განცვიფრებული გვარდიელი და შეფუქრიანებული თვალები გააყოლა მიმავალ კეისს.

ხანგრძლივი დუმილის შემდეგ გვარდიელი ჩამოყვა მუშების კუთხეს, ჩუმად დაათვალიერა ყველაფერი. გასინჯა კეისის კვალი მათ სახეებზე...

პირველ ჩურჩულზე კეისი მუშებს შემოჩენილი ჯაშუში ეგონათ, მაგრამ რკინის მუშას ყველაზე ადრე ეგრძნო კეისის ნამდვილი სულის ტკივილი და კეისს უტკერდა, როგორც წითელ ვარსკვლავს...



ძაუს და კეისის პირველი საუბარი.

— ახლა მე მგონი არც ისე ბავში ხარ, რომ შენთან არ შეიძლებოდეს სერიოზულ საქმეზე საუბარი...

გაისმა ჩაკეტილ ოთახში ძაუს ხმა.

კეისის არ გაუჭირდებოდა საამისო პასუხი, მაგრამ ახლა ძაუს სურვილს უნდა გაყოლოდა...

— რა გინდათ მაგითი სთქვათ...

გასცა პასუხად კეისიმ და ძაუს მოწმენდილი სახე აჩვენა.

— მე მგონი შენ ჰკვიანს და მახვილ გონებას არ გამორჩებოდა, რომ არ ამოეკითხა ჩემს თვალეში ის უანგარო და თავდავიწყებული სიყვარული, რომელიც ჩემ სულში ბუდობს შენდამი...

მე შენ მიყვარხარ კეის...

სიტყვების ქარგვაში დაიგრიხა და ქალის სიახლოვით სახე გა-  
უყვიოლდა.

ძაუს ხელებმა აღვირი აიშვა და ეს არის ქალწულის მკერდის-  
კენ მიიწია...

მაგრამ კეისიმ სასტიკი თვალებით აჩვენა ძაუს, ატრუებულ სუ-  
რვილზე საზღვარი დაედვა.

ვაჟმა ძალაუნებურად შეკუმშა გადაშლილი გრძნობები.

ყალბი დამორცხვებით და ქალურ სინაზით გადიკიდა თავი კი-  
სერზე.

— მაპატიე, რომ ამ საპყრობილეში მოემწყვდა შენი უძვირ-  
ფასესი გულის ცემა...

გჯეროდეს, რომ მე ამით შენთვის ვამზადებ ბედნიერებას.

კეისიმ საშინელი ზიზლი და წყრომა ასარკა სახეზე, ამ სიტყ-  
ვების გაგონებაზე, მაგრამ კეისი მტკიცედ ითმენდა ყოველივეს და  
ცდილობდა სიტყვები გულთან ახლო არ მიეღო. ყურადღების ღირ-  
სი არ გაეხადა. თავისი გადაწყვეტილება რამე ნაირად სისრულეში  
მოეყვანა, ხოლო ამისათვის ყველაფერი ეთმინა.



მუშების არალეგალური კრება...

„ძილი და მოსვენება წყალმაც იცისო“.

სასტუმროს საიდუმლო კედლებს შორის ეძინათ.

კუთხეში ცოტა ხნის ლოდინის შემდეგ მიცოცდა კეისიც.

გვარდიელ მუშის კრებაზე დასწრებას ყველა შიშობდა, მხოლოდ  
კეისი იყო მომხრე მისი დასწრების, რადგან იგი სინამდვილეში ხომ  
დაზგის მუშა იყო...

— ჩვენი პირველი ამოცანა არის—ეს მშრომელი ხალხის  
მტრები, ნაციონალისტურ სულით გაბერილი ვაჟბატონები იმ მყუდრო  
ადგილას მოვათავსოთ, სადაც საჭიროა...

ჩვენ ხელში უნდა ჩავიგდოთ აქაურობა, ისე რომ ერთიც არ  
გაგვეპაროს.

კეისიმ გვარდიელ მუშას კმაყოფილ სახით გადახედა და გაახსენა  
წინასწარი მოლაპარაკება...

— როგორ...

გაისმა შიშით შეპყრობილი ხმა.

— ამის წყალობით...

ხელი დაადო გვარდიელ მუშას...

მუშებმა გვარდიელ მუშის გადმოპირებაში იგრძენეს იჭვიც და  
იმედიც...



— აი როგორ...

ხვალ აქ გაიმართება ქეიფი...

როცა სუფრაზე მე შევატყობ ღვინის სიმძლავრეს, მოვიგონებ თავის ტკივილს...

მე ოთახში გამყვება ძაუ...

კარებს ჩაუკეტავ და სიყვარულის ფანდურზე ვამღერებ...

მაშინ თქვენ მივარდებით დარაჯებს და აყრით იარაღს. სანამ სმაურობა შეიქნებოდეს ხელში ჩაიგდებთ იარაღის საწყობს, შემდეგ ჩვენთვის ადვილი გახდება დაუძღურებულ ძაუს შეპყრობა...

გაისმა უკანასკნელი ხმა და მიწყნარდა ყველაფერი.

საკანდიტერო ღიაა. შეგიძლიათ მოითხოვოთ—ჩაი, ყავა...



საკანდიტროში ზურაბოვიჩის მეუღლე ფიქრობდა ძაუს გამგზავრებაზე ევროპაში.

იქ შეხვედრა. საქმეები და თავისუფალი საქართველო.

ძაუს ხელშეკრულებაში ერთი ქალის გადაყვანა ეწერა...

საკანდიტეროს სამზარეულოში დღეს აუარებელი სანოვაგე შეზიდეს...

ძაუ სავაჭრო დარაბას ღიმილით ეთხოვებოდა...



ლამე იყო.

დარაბებზე ბოქლომები ეკიდა და დარაჯები დარაჯობდნენ...  
სასტუმროს სიღრმეში გრძელი სუფრა იყო გაჭიმული და ზედ ხელსახოცები იდვა.

სტუმრები ემზადებოდნენ საქეიფოდ.

ძაუ და გვარდიელი მუშა ერთიმეორესთან საუბარით გაჯერებული მყუდრო ოთახიდან გამოვიდნენ...

ძაუმ მოისმინა კეისის განზრახვა გვარდიელ მუშის პატიოსან პირიდან და ყოველივე ამას უძღური ქალის ბავშური თამაში დაარქვა.

ერთგულ გვარდიელს მადლობის ნიშნად ბეჭზე ხელი დაჰკრა.

ძაუ ღიმილით მოელოდა კეისის გათამაშებას...



ძაუმ სასტუმროში უჩინარი, მოულოდნელი სტუმრები გააჩინა. გაისმა ძაუს მამულიშვილური ხმა და სუფრას შემოუსხდნენ.

მოდღვარმა ხელმეორედ ააყენა სტუმრები და აკურთხა სუფრა...  
დაუმ მარცხნით კეისი მოისვა.

ქალის თვალეზში მტრობას გრძნობდა და ეს გრძნობა დაუს-  
ვაჟკაცურ ძარღვებს უფრო ათრობდა...

— ბატონებო...

აღდა დაუ.

— მინდა ამ სასმისით შევსვა პირველი სადღეგრძელო ჩვენი-  
კობტა საქართველოსი და გთხოვთ ფეხზე აბრძანდეთ.

გაცსმა სკამების კრიკინი და დაუს სურვილი ხალისით აასრულეს...  
ამობდენ სადღეგრძელოებს და იცლებოდა სავსე ჭიქები...

შეზარხოშებული სტუმრების ბაას მოყვა წყვილ-წყვილად გადა-  
ფერდილ კისრებით საუბარი.

თავადი გათამამდა სუფრაზე და სტუმარი ქალი მუხლზე  
დაისვა...

კეისის წინ მოულოდნელი სანახაობა გაჩნდა...

შამპანის ბოთლი და ნაცნობ იარლიკი მიკრული...

მოიგონა ტანსეს მუშაობა და თორასთან ერთად ფანჯარასთან  
დგომა.

მისი გონება მოსაუბრეს მოსწყდა და ბოთლს გატაცებით  
დააცქერდა...

— შენ ხომ იმ ქარხანაში დაბრუნდები...

— შენ ხომ ნახავ ტანსეს...

მის თავში ფიქრები ათასნაირად აჯირითდა...

— იქნებ ეს იყოს ჩვენი ხსნის უკეთესი გზა...

გაუელვა თავში კეისის და მოიმზადა ქალადი.

სუფრაზე ხითხითი ისმოდა და ყველა თავადის ოხუნჯობას  
უცქეროდა...

კეისიმ თითქოს თამაშით კარგი მოზრდილი წერილი გაამზადა-  
და გაბურღულ პროპკაში გააკვეხა და პროპკა ბოთლში ჩააგდო.

დაცლილი ბოთლი მსახურ მუშას გადააწოდა, რომელშიაც  
უმისამართო კონვერტში ჩადებული ბარათი იყო.

თავადმა ღვინოში უხეირო საქციელი გამოიჩინა...

უბრძანა, ყველა მეშები მასთან დაეყენებიათ.

— იცეკვეთ...

უბრძანა მუშებს...

მისმა მრისხანე ხმამ ვერ გაანძრია მუშების ღუმილი.

— ითამაშეთ მეთქი...

ისევ ღუმილი იდგა მის წინ...



— სვოლოჩი... მერზავეცი...

თითოეულს თითო პანლური ამოკრა და ხელის ჯიკავით განისაზღვრეს...  
ტუმრა...

დაჯდა და პაპიროსის ბოლში გახვეულ ქალს მლიმარე ამაყი სახე მიუტანა...

კეისი შეუდგა როლის შესრულებას და მოწყვეტილი თავი მაგიდაზე დაახალა...

ძაუმ ქალი ოთახში შეიყვანა და მის ყალბ საქციელს მომზადებულად შეხვდა.

მუშებს თავს დაესხენ დარაჯები და ისინი თოკებით შეკრული იატაკზე დაყარეს.

პირი ხელსახოცებით გაუტენეს და გვერდებ-დაჟეჟილები დასტოვეს...

მუშები დარწმუნებულები იყვნენ, რომ მათ კეისიმ უღალატა, რომელიც მათთან იყო შეპარული, როგორც ჯაშუში...

კეისიმ იგრძნო ღალატი და ის საშინელ სიმწარეს მიეცა...

ძაუმ ეს ამბავი დაჩქმანა, რადგან სტუმრებს საფრთხეში ჩააყენებდა და მის არალეგალური მუშაობის სტაჟი შეილახებოდა. კეისი სუფრას მოაველინა და სუფრის მდგომარეობა ნორმალურ კალაპოტში ჩააყენა...

ისევ გაგრძელდა ქეიფი და ძაუმ დანაკლისი სასმისი ყველას დაალეგინა...



მოახლოვდა დასასრულის წუთები, ხვალ ძაუ ბათომში უნდა გაჩნდეს თავის კეისით და დაპირება აასრულოს.

ძაუმ სასტუმროში ყოველგვარი საქრელი იარაღები აკრიფა, კეისი ერთგულ გვარდიელს ჩააბარა და ზედა ქვეყანაზე ამოვიდა.

ძაუსგან ნაცემი მუშები იქვე გორავდნენ...

კეისი გრძნობდა მათ მდგომარეობის საშინელებას, მაგრამ იგი ჩაკეტეს ოთახში და დარაჯათ გვარდიელი მუშა მიუდგა.



შამპანის ქარხანაში მუშაობა მიდიოდა.

ალაყაფის კარებიდან გადადიოდა სავსე ბოთლები და ბრუნდებოდა ცარიელები...

ტანსემ მისი სამუშაო ოთახის კარი ჩაიკეტა და ჩვეულებრივ ფიქრებს მიეცა...



ქარხნის პატრონს ვილაც შეკვეთის შესახებ ეჩხუბება. სარეცხავ განყოფილებაში ბიჭები ჩქარი ხელების მოქმედებით ბოთლებს რეცხდნენ...

ჩავდებულ პროპკას რალაც წერილი ამოყვა. შავი სასმისით ოდნავ გასვრილ წერილზე წაიკითხეს—„ტანსე“.

ამ დროს ტანსე კეისის სურათს დასცქეროდა და განწირულ ტუჩებით კარტონს ორთქლავდა...

კარებზე უჩვეულო ხმა მოესმა. გაალო კარი და მას ხელში მისცეს ცოცხალი კეისის წერილი...

წაიკითხა ნაჩვენები მისამართი და კეისის აუტანელი ტანჯვა სადღაც ჯოჯოხეთში...

ქუჩაში ტანსე მირბოდა ცოფიანივით. ხალხი განცვიფრებით უცქერდა მას...

ტანსემ ჩეკის კარები შეიბრინა და საიდუმლო კაბინეტში გონება მიხილი დაეცა.



საკანდიტროს კარი დაუშვა შეალო და შეიტანა თათრული ჩადრი კეისის მოსართავად...

ამაღამ 11 საათზე დაუ გამოეთხოვება ტფილისს...

ზურაბოვიჩის მეუღლე ფუსფუსობდა და აღრიან მარაგში იყო...



სასტუმროში საათის ისრები მეათეს იწყებდნენ და უსაქმოდ მოწყენილი მცხოვრებნი ძილს აღრიან ეძლეოდნენ...

მუშები ცოცხალ-მკვდრები ეყარნენ...

მათ დაუ მიუსაჯა სამი დღით ასეთ ყოფაში წოლა და შემდეგ სრული მორჩილება არალეგალურ სასტუმროს წესებისა...

კეისიმ პირველად ოთახის ყრუ კედლებს გაუმხილა მოხუცი ბებიის საიდუმლოება, ნაჩუქარი ხანჯალიც ამოიღო...

მის ოთახში ფრთხილ, გაუხდელ ძილში სცურავდა დარაჯი გვარდიელი...

კეისიმ ათასჯერ გაიფიქრა მძინარის სიცოცხლის მოსპობა, მაგრამ დინჯი გრძნობა მუდამ საყვედურით აბრუნებდა უკან, მუშის მოკვლის განმზრახვისაგან.

გალესილ პიტარა ხანჯალს უკანვე ინახავდა...

მის წინ იწვა საზიზლარი ჯაშუში, რომელსაც თვალების ამოკორტნით ემუქრებოდა...



კარის გაღება მძინარმა გვარდიელმა ვერ გაიგო...  
კეისიმ მყუდრო დარბაზი სწრაფად გადაირბინა და მუშებთან

მივიდა...

კეისი შიშმა აიტანა...

მუშები დახუთულ სახით მიწაზე ეყარნენ და მათ სხეულს აღარ  
ქონდა განძრევის უნარი...

დასჭრა თოკები კეისიმ და დაბმულ ძარღვებში ამოძრავდა და-  
გუბებულის სისხლი...

საკანდიტროში მუშტარმა იმატა და მთელ შენობას ირგვლივ  
მშრომელი ხალხის წითელი დარაჯების ალყა შემოერთყა...

ძაუმ დარაბა შეიხურა და მუშტრებს ანიშნა წასვლის დრო...

გვარდიელმა თვალი გაახილა და გაპარულ კეისს აედევნა...

იმდროს კეისი წყურვილით გახელებულ მუშებს წყალს ასმევდა...

ბრაზიანი დარაჯი უძლურ ქალს მივარდა და ორი ხელი დასტაცა...

კეისი პირველი გაბრძოლებით ხელიდან გაუსხლტა და სახეზე

ფრჩხილით დაკაწრული ხაზი დაუტოვა...

უგონოთ დაყრილი მუშები ამ ამბავმა მოასულიერა და პირვე-  
ლივე წვდა გვარდიელს ყელში...

დარბაზის კუთხეში ჩუმი ჭიდილი იყო...

კეისიმ პატარა ხანჯლით გვარდიელი მუშა ბეჭში დასჭრა, რო-  
ცა ის რკინის მუშას ზემოდან მოქცეოდა და დახჩობას უპირებდა.  
დაჭრილმა გვარდიელმა დაუზოგველი ხმით დაიყვირა და იატაკზე  
გაიშალა...

საშველად მოვარდნილ დარაჯებს მაგარ კედლად შეხვდენ უკვე  
ძალამოკრებილი მუშები და დარბაზში სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძო-  
ლა გაიმართა.

დარაჯებისაგან წართმეულ იარაღით შექნეს სროლა და საწოლ  
ოთახებიდან გამოცვივდენ თეთრეულში აცახცახებული სტუმრები...

დარაჯებზე გამარჯვებულმა მუშებმა სასროლი იარაღის საწყო-  
ბი ხელში ჩაიგდეს და ტყვიისმფრქვევის პირის წინ ერთ კუთხეში  
მირეკეს ხელებაწეული სტუმრები...

საკანდიტროში სროლა გაისმა და ძაუ შიშმა აიტანა...

სამზარეულოსკენ ფეხი გადადგა. ამდროს იქვე მყოფ მუშტრებ-  
მა მის თავს მაუხერების გვირგვინი შემოარტყეს.

საკანდიტროში შემოცვივდენ წითელი ჯარის კაცები და ზურა-  
ბოვიჩის მეუღლე დახლში გულწასული დაეცა...

მიიყვანეს ძაუ პურის საცხობთან და მილში ჩაიმძღვანეს...

სასტუმროს დარბაზში გამარჯვებული კეისი მუშების წინ იდგა  
და ხელში წითელი დროშა ეჭირა...

მის წინ დაჩოქილნი იყვნენ მყუდრო ოჯახის უშიშარი სტუმრები და კომუნიზმის მზეს ლოცულობდნენ...

კეისი მასპინძელს ელოდა, რომ ოჯახის წევრები უკლებლად და უვნებლად ეჩვენებინა მზიან ქვეყნისთვის...

მიღწევაში აღარ გაისმა ზარის ხმა. მასპინძელი დაუაწურულ მხრებით ჩამოხობდა და შეპყრობილ სტუმრების სახეებზე ლომკაცის ჩამოსვლის გამო იმედმა გადაითამაშა, მაგრამ დაუს თან კომუნისტები ჩამოჰყვეს და წუთს გახარებული სტუმრები იატაკს დაესამარენ...

კეისის სიხარულს საზღვარი არ ქონდა შეპყრობილ დაუს დანახვის გამო.

მას ეხლა წინ არ ეღობებოდა ძლიერ დაუსთან შებრძოლება...

მიღწევაში ისე ჩამოდიოდნენ წითელი ჯარისკაცები, როგორც წისქვილის ქვაზე საფქვავის მარცვლები...

დაუს სახე იატაკს აღარ აშორებია...

იგი ნატრობდა სიკვდილს. მაგრამ სად იყო...

სასტუმროში განუწყვეტელი ჩხრეკა იყო და გამოჰქონდათ უთვალავი გადანახული სიმდიდრე...

დარბაზის კუთხეში გაისმა მომაკვდავის მწუხარე კენესა და დაჭრილი გვარდიელი მოახლოვდა...

მას ხელში კეისისაგან შენასობი პატარა ხანჯალი ეჭირა და ენადამბული ხანჯლიან ხელს იშვერდა...

დაჭრილს მიუახლოვდნენ.

— კითხეთ მაგ ქალს, ვინ არის...

წყლიან ჭიქასთან ამოილულულა გვარდიელმა...

— ვინ მისცა მას ეს ხანჯალი?..

ამტვრევდა გვარდიელი სიტყვებს და იგონებდა იმ დაზვას, საცა მან გააკეთა ეს ხანჯალი და მიაწერა ზედ დინამო...

მოიგონა მან ის წუთები, როცა ამ პატარა ხანჯლის წვერით გაექცა ჟანდარმების ბრკყალებს...

კეისი ბებიას სიტყვებს იგონებდა და პასუხზე ყოყმანობდა...

თან გვარდიელის განცვიფრებულ კითხვას აცქერდებოდა...

— ვინ ხარ შენ?

პირდაპირი შეხედვით შესძახა კეისის და ატირებულმა დაჭრილმა ქალისკენ წაიწია...

— ვინც უნდა ვიყო ..

— ეს ვინ მოგცა?.. რაში იყო შეხვეული?..

რადგან მთელი დარბაზის ყურადღება გვარდიელის საკვირველმა კითხვებმა მიიპყრო: კეისიმ გამოაჩინა ბებიის ნაჩუქარი წერილი, რაშია ცხანჯალი იყო შეხვეული...





გაშალა წერილი აცახცახებული ხელებით დაქრილმა და იცნო მისი ნაწერი...

— შვილო...

იყვირა დაჭიმულ ძარღვებით და დაეცა კეისის მუხლებზე...

ზურაბოვიჩის საიდუმლოება გულიდან მეუღლეს ამოგლიჯეს და კეისი დარწმუნდა გვარდიელის მამობაში...

— მიხარია, რომ მუშის შვილი ვყოფილვარ...

იყო დარბაზში კეისის ბოლო სიტყვა და ქუჩაზე დათვალეს სტუმრების რიცხვი...



იტალიელ მუშის ოჯახის სიხარულს საზღვარი არ ქონდა.

ტანსე პოლიტიკურ სამმართველოს თანამშრომლებმა თან არ წაიყვანეს და ამით გულდაწყვეტილი ვაჟი მოუთმენლობით დელავდა...



ქარხნის საყვირი მუშებს გაღვიძების ნიშანს აძლევდა.

გაღვიძებული დედაკაცი თბილად გახვეულ მეუღლეს იდაყვის წაკვრით აღვიძებდა...

ქუჩაში ცხენის ფეხებს ქვებზე ნელი თქარუნი გაქონდა და ძლიერ იარაღის რკალში, არალეგალურ სასტუმროს მცხოვრებთ მისეირნებდნენ ჩაკიდულ თვალებით მათი საკადრისი ბინისაკენ...

დაჭრილი გვარდიელი ჩეკის საავადმყოფოში გადაგზავნეს, ხოლო დაჭრილი მუშები ქალაქის საავადმყოფოში...

ჩეკის კარებთან აგუგუნდა ავტომობილი და კეისი გადმოხტა გამარჯვებული სახით...

— ტანსე...

— კეის...

იყო ორი ხმა ერთად. კოცნაზე დარცხვენილი, ერთი მეორეს დანახვით ვაგიჟებული ორი არსება სიხარულით აცრემლიანდა...

ამ საშუალო ტანის შენობაში ჩეკაა.

ზევით სამმართველოა და ქვევით სხვა და სხვა სახის შემცდარი პოლიტიკოსები სხედან.

(დასასრული).



ბ. ბუაჩიძე

## საბავშვო ლიტერატურის საკითხი

მხატვრული ლიტერატურა, როგორც ემოციონალურ ზედმოქმედების იარაღი, განსაკუთრებული უტილიტარული მნიშვნელობის მქონეა. გარდამავალ პერიოდში, ის მასსის აღმზრდელი, კომუნიზმის მიმართულებით გადამმუშავებელია; ეს ცხადია იმ შემთხვევაში, თუ თვით ლიტერატურა მუშათა კლასის ინტერესებით არის გაბრუნებული. ამ მიზეზის გამო წარმოადგენს აუცილებლობას პროლეტარულ ლიტერატურის შექმნა და განმტკიცება. გარდამავალი პერიოდი რთული პროცესია, სადაც მთავარი მდინარეა ახალი საზოგადოებრიობის შექმნისაკენ არის მიმართული. ამ პროცესში ლიტერატურა გარკვეული ორგანიზატორული დანიშნულების მქონეა.

გარდა ამისა, მხატვრული ლიტერატურა ატარებს ერთგვარ ვალდებულებებს იმ უახლესი თაობის მიმართაც, რომელიც უშუალოდ რევოლუციის პერიოდში იზრდება. ეს ვალდებულებანი გამოიხატება სათანადო საბავშვო ლიტერატურის შექმნაში. მოზარდი თაობის სწრაფვა რევოლუციის ნიშნის ქვეშ უნდა მიმდინარეობდეს. პიონერ-მოძრაობა ამას ადასტურებს. ახალ საზოგადოებრივ წყობასთან, ფსიქოლოგიურ მთლიანობით შეფარდების შესაძლებლობა, ყველაზე მეტად უახლეს თაობას აწევს. ახალი ადამიანების რეზერვი ამ მასსიდან იქმნება; მაგრამ ამისთვის საჭიროა რევოლუციონურ თანამედროვეობის სრული გავლენის ქვეშ მათი აღზრდა, რომ ადგილი არ ექნეს ფსიქოლოგიურ გაორებას. ამ საქმეში კი მნიშვნელოვანი როლი ეკუთვნება—მხატვრულ ლიტერატურას და საერთოდ ხელოვნებას.

იქმნება აუცილებლობა განსაკუთრებული საბავშვო ლიტერატურის შექმნისა.

ბურჟუაზია სცდილობდა ხელოვნების საშუალებით მასსის ფართო ფენები თავის გავლენის ქვეშ მოექცია. ის განსაკუთრებით ზრუნავდა ახალ თაობაზე, რომელსაც უხვად აწოდებდა შესაფერ სახის ლიტერატურას, რომლის არსებითი მხარე კლასიური ფარგლით



იყო შეზღუდული. ბავშობა ითხოვს უმთავრესად ისეთ საზრდოს, რომელიც ადვილად ასათვისებელი იქნება. ეს მხატვრული ლიტერატურა არის. ზრუნვის ცენტრი ამ სფეროში უნდა იქნეს გადატანილი.

უახლესი თაობის მხატვრული მოთხოვნები დაკმაყოფილების საქმეში როგორი მდგომარეობა გვაქვს ქართულ სინამდვილეში?

საკმაოდ უნუგეშო. აქ ჯერ კიდევ არ არის გაგებული განსხვავება, საბავშვო და ბავშურ ლიტერატურის შორის. მეტი ადგილი მეორეს აქვს დათმობილი. მიუხედავად განსაკუთრებული ოფიციალური ზრუნვისა, მეტად სუსტია თვით საბავშვო ლიტერატურა. ქართველ მწერლობის ფენისათვის ჯერ კიდევ განმარტებას ითხოვს, რომ საბავშვო ლიტერატურა განსაკუთრებულ პასუხისმგებლობას და შრომას ითხოვს, რომ არ შეიძლება მისი საბავშვო დანიშნულების გაგება, ბავშურათ შექმნის ნიშნით. ქართული საბავშვო ლიტერატურის ნიმუშები კი უკანასკნელს ამტკიცებს. ხშირად საბავშვო მწერლებს არ ესმით ბავშვის ფსიქოლოგია, სწრაფვა, რაც დაუსრულებელ გაუგებრობებს იწვევს. მიუხედავად ნიშანდობლივი სისუსტისა, ქართულმა საბავშვო ლიტერატურამ მოასწრო შექმნა თავის ტრადიციის, რომელიც გამოიხატება ნეიტრალობასა და იდეოლოგიურ განურჩევლობაში. არ შეიძლება არავითარ შემთხვევაში, რომ საბავშვო ლიტერატურის ობიექტი, რა ასაკისთვისაც უნდა იყოს დანიშნული — ისაზღვრებოდეს მხოლოდ ბუნებით, წლის სხვა და სხვა დროით (შ. მღვიმელი და მთელი რიგი სხვა მწერლებისა).

საბავშვო ლიტერატურაც უნდა იზღებოდეს სოციალურ ფონზე, მასშიდაც უნდა სჩანდეს თანამედროვეობა, სათანადო ფარგლით, რომ ბავშვის ყოველდღიური ცხოვრება, გონებრივი და გრძნობადი საზრდო ორგანიულ ურთიერთობაში იქნეს მოქცეული. ლიტერატურა ბავშვისათვის უნდა იქნეს ცხოვრების გაგების, ორიენტაციის საშუალება.

საბავშვო ლიტერატურას აუცილებლად უნდა ჰქონდეს იდეოლოგიური მიმართება, რომ ახალ საზოგადოებრივობის ყალიბობის პროცესში მომზადებულ იქნას კადრი შეგნებული მოქალაქეებისა. ეს კომუნისტურათ აღზრდის და ბავშვთა მასის გარკვეული მიმართულებით წარმართვის საშუალებაა.

სოციალური ფონი და იდეოლოგიური მიმართება არ უნდა გულისხმობდეს განყენებულებას და უცხოობას ბავშვის ფსიხოლოგიისთვის (რის ტენდენციებიცაა ჟურნალ „ნაკადულში“ და „პიონერში“), რაც პირდაპირ დამოკიდებულია შემომქმედის უნარისა და მრწამსისაგან. ამ ნაკლებთან ერთად ქართული საბავშვო ლიტერატურა





რა ფრიად სუსტი და უმნიშვნელოა, როგორც მცირეწლოვანთა ინფე-  
მოზრდილთა. ბავშთა მასსა ლიტერატურულ შიმშილს განიცდის.

მხოლოდ თარგმანით ლიტერატურის შევსება არ შეიძლება; მით  
უმეტეს, რომ რუსული საბავშვო ლიტერატურა არ ხასიათდება სიძლი-  
ერით, რომელიც შედარებით უფრო ახლო იქნებოდა ჩვენ სინამდვი-  
ლესთან. მხოლოდ თარგმანზე დამყარება, მით უმეტეს უხერხულია,  
რომ ის მეტად უცხოა ბავშვის ცნობიერებისთვის. ბავშვმა ნაცნობით  
თანდათანობით უცნობი უნდა გაიცნოს, ეს კი მოხდება იმ ლიტერა-  
ტურით, რომელიც მის გარემოს, თანამედროვეობას იტევს.

საბავშვო ლიტერატურის სისუსტე აიხსნება იმითაც, რომ მას  
თვით მწერლების სხვა და სხვა ფენების მიერ არ ეძლევა სათანადო  
მნიშვნელობა. ჩვენს მწერლებს ავიწყდებათ, რომ მთელი რიგი გამო-  
ჩენილ მწერლებისა ამავე დროს კარგი საბავშვო მწერლებიც იყვნენ.  
(ჯეკ ლონდონი და სხვ.).

ჩვენს ლიტერატურულ სინამდვილეში საბავშვო ლიტერატურის  
შექმნას განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიაქციოს პროლეტა-  
რულმა მწერლობამ, რაც ჯერ-ჯერობით სრულებით არ ხიანს, გარ-  
და ზოგიერთი გამონაკლისისა (კ. ლორთქიფანიძე, ე. პოლუმორდვი-  
ნოვი და სხვ.) დიდი საზოგადოებრივი მნიშვნელობის გამო, პროლე-  
ტარულ მწერლობის შემოქმედებით მუშაობაში, გარკვეული ადგილი  
უნდა ჰქონდეს დათმობილი საბავშვო ლიტერატურას. ეს აუცილებ-  
ლობაა და მომავალ მუშაობაში მაინც უნდა გამოსწორდეს.

მეორეს მხრივ ქართულ სინამდვილეში არ არსებობს ბავშთა-  
თვის თეატრი—კინო. ლიტერატურასთან ერთად, ხელოვნების ეს  
დარგნი თანაბარი მნიშვნელობის არის.

თეატრი და კინო ფსიქიკის ყალიბობაზე გარკვეული ზემოქმე-  
დების საშუალებაა. თუ სპეციალურ საბავშვო თეატრის შექმნა სი-  
ძნელეს წარმოადგენს, საქართველოს სახ-კინ-მრეწვეს, პარალელურათ  
მრავალ გაუმართლებელ სურათების დადგმისა, ექნებოდა და აქვს  
შესაძლებლობა, საბავშვო ფილმების შექმნისა. ასეთის საჭიროება და  
ღირებულება კი აშკარაა.

საბავშვო ლიტერატურის შექმნის საკითხი მეტად დროული და  
მნიშვნელოვანია. საჭიროა ლიტერატურის ფართო ფენებმა, განს-  
კუთრებით პროლეტარულმა მწერლებმა დაიწყონ მუშაობა ამ სფე-  
როში.



## ქართული ლიტერატურის იდეოლოგიური განვითარება

### წარსული

#### 1.

„რა ენა წარბდეს, ერთი დაეცეს“-ო,—სთქვა პოეტმა გრიგოლ ორბელიანმა მეცხრამეტე საუკუნის 60-იან წლების დასაწყისში, როცა დაინახა: ქართული ფეოდალიზმი ინგრევა და კაპიტალისტური ძალა მოდის.

ამით მან ეროვნული ენა კულტურის საფუძვლად აღიარა, და როგორც ვიცით ენა მართლაც ეროვნული საზოგადოების ანუ ერის ერთი ძირითადი იდეურ-ორგანიზაციული ფორმათაგანია, მაგრამ არა აუცილებელი.

ისტორია ნათლად მოწმობს, რომ ყოფილა მაგალითი: ხალხს ეროვნული ენაც დაუკარგავს, ტერიტორიაც, ხოლო ეროვნული თავისებურება, განსაკუთრებული სახეობა კი შეუნარჩუნებია (მაგალითი: ებრაელები ძველიდანვე და ირლანდიელები ეხლა).

მაგრამ, ცხადია, ეს იმას არ ნიშნავს, რომ ეროვნულ ენას უაღრესი და გადაძვრელი მნიშვნელობა არ ჰქონდეს ხალხის კულტურულათა დაწინაურებისათვის.

საქმე ის კი არაა: ხალხმა თავისებურება და განსაკუთრებული სახე შეინარჩუნოს, არამედ ის, რომ კულტურულათა დაწინაურდეს და განვითარდეს.

ქართველი ხალხის ეროვნული ტიპის თავისებურება—სახეობა—დაცულია დღემდე, მაგრამ ისე საყურადღებო არაა მისი მომავლისათვის (როგორც კაცობრიობის ერთ-ერთი ნაწილისათვის), როგორც ის, თუ რა მდგომარეობაშია დღეს და იქნება ახლო მომავალში მისი ეროვნული ენა, სიტყვიერება და მწერლობა.

ჯერ ისევ ფილოსოფოსმა ლეიბნიცმა სთქვა: „აწმყო შობილი წარსულისაგან არის მშობელი მომავალისაო“ და თუ გვინდა ჩვენ, ქართველ მწერლებს ქმედობის სტიმული, ხალხის და ენერგია უშრეტი გვქონდეს, ამისთვის უწინარეს ყოვლისა, საჭიროა გავითვა-

ლისწინათ იმ ხალხის წარსული კულტურული განვითარების ხაზები და მისი მწერლობის როლი, რომლის სოციალური მოცულობით ჩვენი სამოქმედო არენა განისაზღვრება.

## 2.

საზოგადოების განვითარების საწყისი, ანუ საფუძველი, როგორც ვიცით, მისი ეკონომიკაა, რომელიც მოკლებულია ეროვნულ თვისებას. **ეროვნულ თვისებას საზოგადოება თავისი სულიერი კულტურის განვითარების პროცესში იძენს.**

ხალხი, რომელიც კულტურულ განვითარების ერთგვარ დონემდე არ მისულა (მაგალითად—წერის ნიშნების ხმარებამდე), ის მხოლოდ ეტნოგრაფიულ ტიპს წარმოადგენს და მოკლებულია ეროვნულ თვისებას, კულტურის ეროვნულობას; და ასეთი, „უკულტურო ხალხი“ უფრო ადვილათ და „უმტკივნეულოთ“ უსისხლხორცდება მაღალ კულტურულ და მრავალრიცხოვან ხალხს, ვიდრე ის ხალხი, რომელსაც ეროვნული კულტურა შეუშუშავებია: ეროვნული ენისა და მწერლობის განვითარებამდე მიუღწევია. ასეთი ხალხი, რა გინდ „პატარა“ იყოს ვერ ეგუება ასიმილიაციის პირობებს და ის სასტიკ ბრძოლას უცხადებს ამ პირობებს: ან სულ იღუპება ამ უსწორო ბრძოლაში, ან და რამდენიმეთ მაინც ინარჩუნებს ეროვნული გზით განვითარების უფლებას. **სწორეთ ასეთი ხალხია ქართველი ხალხი და სწორეთ ასეთი „ბედი“ არგუნა მას ისტორიამ.**

მისი ენა და მწერლობა უკვე მე-5 საუკუნიდანვე სდგას განვითარების მაღალ საფეხურზე და მას შემდეგ დღემდე მრავალ საუკუნეების განმავლობაში მრავალჯერ შეყრია ის პირისპირ სიკვდილს—ასიმილიაციის სასტიკ პირობებს,—მაგრამ ეროვნული გზით განვითარების უფლება და შესაძლებლობა ყოველთვის შეუნარჩუნებია.

მაგრამ განვითარების ამავე საფეხურზე ხდება საზოგადოების წოდებრივი (იგივე კლასიური) დიფერენციაცია და მისი სოციალური ერთგვარობა ირღვევა, ჩნდება მრავალგვარობა: მდიდარი, ღარიბი, მიწის პატრონი და მიწის მუშა, ერთი სიტყვით ეწყობა საზოგადოებრივი წყობილება, რასაც მეცნიერება **ფეოდალიზმს** უწოდებს.

აქედან **საზოგადოების კულტურა იძენს ახალ თვისებას—წოდებრივობას ანუ კლასიურობას.** მაშასადამე ფეოდალური მწერლობაც ამ თვისებით არის გამსჭვალული.

ქართული მწერლობაც დროის განმავლობაში (მე-5—მე-6 საუკ.) ამ თვისებით, წოდებრივობით თანდათან იმსჭვალებოდა. მაგრამ აქ



საყურადღებო და მთავარი საკითხი ის არის, თუ კულტურის რა ისტორიულ ტიპს გამოხატავდა მაშინდელი ქართული მწერლობა აშკარა და ყველასათვის ცხადია, რომ ეს მწერლობა გამოხატავს კულტურის ავტორიტარულ-რელიგიურ ტიპს.

აქ მხედველობაში ისიც არის მისაღები, რომ ასეთი კულტურის ავტორიტარულ-რელიგიური ხასიათი ყველა ქვეყნებში ერთნაირი არ იყო.

წარმართული (კერპთთაყვანისმცემლობა) კულტურაც და ქრისტიანობაც ავტორიტარულ-რელიგიური ტიპისაა, მაგრამ მათ შორის დიდი განსხვავებაა. პირველს, საზოგადოების გაბატონებული, მაღალი კასტების (ქურუმთა, მიწათმფლობელთა და მონათმფლობელთა) მიერ შექმნილი იდეოლოგია ხელმძღვანელობს, ხოლო მეორეს კი გამომხატველი ანტიური ქვეყნის მშრომელი პროლეტარიატი, „მონების და ანტიური ქალაქების პროლეტარების მიერ შექმნილი იდეოლოგია“, რომელშიაც ავტორიტარულ და ინდივიდუალისტურ ელემენტებს გარდა ხმარებითი „კომუნისტური ელემენტებიც“ შედიოდა. ხმარებითი კომუნისმის“ ელემენტები, აი დამახასიათებელი თვისება პირველყოფილი ქრისტიანული სისტემისა (რელიგიისა). ეს თვისება კი მას ძირითადად ანსხვავებს იმ დროის ანტიური ქვეყნის და ძველი აღმოსავლეთის წარმართულ რელიგიისაგან.

ამის გარდა აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ ქართველმა ხალხმა მიიღო და შეითვისა ის პირველყოფილი კომუნისტური ქრისტიანობა, რომელიც გამოდიოდა მისი პირველი აღმოსავლეთური სამშობლოდან, სახელდობრ—ანტიოქიიდან (სირიიდან) და არა რომიდან და ბიზანტიიდან, სადაც ქრისტიანობამ მე-3—მე-4 საუკუნეში კომუნისტური ელემენტები დაჰკარგა და მის ნაცვლათ ავტორიტარულ-ინდივიდუალისტური განავითარა, ე. ი. იგი გაბატონებული წრეების რელიგია გახდა.

რა თქმა უნდა ქრისტიანობის ასეთი გარდაქმნა-გადაგვარება საქართველოშიაც ხდებოდა და ეს იმისდა მიხედვით, რამდენათაც ქართველ ხალხში ფეოდალიზმი განმტკიცდა და წოდებრივი დიფერენციაცია გაძლიერდა, გართულდა.

ამნაირათ ქართულ მწერლობაში თავი მოიყარა მრავალმა წინააღმდეგურმა ელემენტებმა: 1. უცხო და შინაურ-ხალხური წარმართული იდეოლოგიიდან, 2. პირველყოფილი ქრისტიანული კომუნისმიდან და 3. ბიზანტიური გადაგვარებული ქრისტიანობიდან, რომელიც ხასიათდებოდა ფეოდალური ელემენტებით.



ასე რომ მე-12 საუკუნეში, რომელიც ქართული ეროვნული კულტურის უმაღლეს ფაზად ითვლება, მწერლობა, როგორც საეკლესიო, ისე საერო ამ იდეოლოგიურ წინააღმდეგობებს შეიცავდა (მაგალითად — „ვეფხისტყაოსანი“, რომელშიაც ყველა ამ ელემენტებს ვპოულობთ).

მაგრამ რაც დრო გადიოდა, ქართული კულტურაც ისე, როგორც სხვა დაწინაურებული ხალხის, პირვანდელ სახეს იცვლიდა და სულ უფრო და უფრო ინდივიდუალურსა და წოდებრივ-კლასიურ ხასიათს ღებულობდა \*).

#### 4.

როგორც მწერლობა (საეკლესიო-საერო), ისე კულტურის ყველა დარგები — ეკონომიური, პოლიტიკურ-სახელმწიფოებრივი და იდეოლოგიურ-მხატვრული მე-12—13 საუკუნეში განვითარების უმაღლეს წერტილს აღწევენ.

ამით ერთხელ კიდევ მტკიცდება ის დებულება, რომ კულტურის სამივე სფერო — ეკონომიურ-პოლიტიკურ-იდეოლოგიური — ნორმალურ პირობებში თანაბრათ ვითარდება და სამივეს განვითარების მსვლელობა ერთიმეორეზეა დამოკიდებული და კულტურის ნორმალური, ბუნებრივი განვითარებაც ამ თანაბრობაში მდგომარეობს.

მაგრამ ეს თანაბრობა კულტურის ბაზის — ეკონომიკის — ძირითადად შეცვლის გამო მე-15 საუკუნეში ისპობა და ქართველი საზოგადოების კულტურულათ დაცემის ხანა იწყება.

შემდეგი საუკუნეები — მე-16—17-ე ქართველი ხალხის ცხოვრების ერთ წერტილზე შეჩერების, მეტ წილათ დაცემის საუკუნეებია.

შეიძლება ითქვას, რომ მე 12 საუკ. ვიდრე მე-19 საუკუნის მეორე ნახევრამდე ქართული კულტურა შესამჩნევათ წინ არ წაწეულა, პირიქით შედარებით დაეცა კიდევ.

სამხრეთ - აღმოსავლეთ - დასავლეთიდან „უსჯულო“ მტრების, კულტურულ და „უკულტურო“ ხალხთა ურდოების მოწოლამ ფეოდალური პარტიკულიარიზმი უკიდურესათ განავითარა, რამაც პოლიტიკური სახელმწიფოებრივი ძალა დასცა საქართველოში. საქმე იქა-

\*) ქართველ ნაციონალისტებს, „მამულიშვილებს“ კი ჰგონიათ, ქართული კულტურა საერთოთ, მაშასადამე, მწერლობაც წოდებრივობას მოკლებული იყო: მათ ეს ქართული კულტურის ღირსებათ გამოაქვთ მაშინ, როდესაც ეს კულტურის სიმდაბლის ნიშანია და არა სიმაღლის.



მდე მიიყვანა, რომ ერთი პატარა სახელმწიფო „7 სამეფოდ“ და რამდენიმე სამთავროდ დააქუცმაცა. კუთხურმა კარჩაკეტილობამ და ნატურალურმა წარმოებამ უკიდურესობამდე მიაღწია და მამასა-დამე კულტურული სფეროც ძალზე შეავიწროვა. განვითარებული ხალხური ენა რამდენიმე კუთხურ კილოკავად დაიყო, ასე რომ ერთ კუთხეს, მაგალითად, სამეგრელოს, მეორე კუთხის (მაგალითათ, გუ-რიის) არა ეყურებოდა რა. ლიტერატურული ენაც ხალხისგან განშორებული მიუვალ მონასტერში და მწიგნობარ თავადთა სრა-სასახ-ლეებში მომწყვდეული, კარჩაკეტილი დარჩა.

მაგრამ მიუხედავად ამისა, ლიტერატურული ტრადიცია თავად-აზნაურობის მაღალ წრეებში, განსაკუთრებით მეფეთა სასახლეებში, კიდევ იმდენათ ცოცხლობდა, რომ ბევრი მათგანი „ძალათ პოე-ტობას“ ჩემულობდა და რუსთველის მიბაძვით ლექსებსა თხზავდა (არჩილი და თეიმურაზები).

ასე, მე-12 საუკუნის მტკიცე ქრისტიანული ფეოდალური კულ-ტურა ქართველ გაბატონებულ წოდებას მე-18 საუკუნის მეორე ნახევრამდე გასწვდა და ის იყო დევრადაციის გზას ადგებოდა, რომ ევროპის მაღალი კულტურის და საფრანგეთის დიდი რევოლიუციის შუქმა საქართველოშიაც შემოანათა. მაგრამ ქართველი ხალხის საე-ლალათ ამ ხანებში ოსმალურ მღვრიე ტალღებით ევროპისაკენ გზა გადაჭრილი იყო: მთელი შავი ზღვის ნაპირები და ევროპის ნაწილი ოსმალეთმა დაიკავა და ამნაირათ ქართველი ხალხი კავკასიონის ქედს „მიაჯაჭვა“.

დარჩა ერთი გამოსავალი: კავკასიონის უღელტეხილით მას გზა უნდა გაეკვლია ევროპის კულტურისაკენ და ხსნა ჩრდილოეთში ეპოვა.

აზიურ დესპოტიზმით გარსემორტყმულ ფეოდალურ საქარ-თველოს ისტორიულმა მსვლელობამ შემდეგი ალტერნატივა დაუყენა: ან მაჰმადიანურ-დესპოტიური კულტურის მიღება და სახელმწი-ფოებრივი დამოუკიდებლობის სამუდამოთ დაკარგვა, ან ბიზანტიურ-ქრისტიანული კულტურა რუსული სახით და მოსკოვის ახლათ „გაქრისტიანებულ ცარიზმთან“ მჭიდრო კავშირი.

ქართულმა ქრისტიანულ-ფეოდალურმა სახელმწიფომ ირჩია მეორე, ე. ი. მოსკოვის თვითმპყრობელობასთან კავშირი, რადგან იგი მასში კულტურულ ნათესაობას ხედავდა: „ერთი რჯული გვა-კავშირებსო“—ამბობდა ის.

და ეს კულტურული კავშირი, როგორც ვიცით, ჯერ პოლიტი-კური დაკავშირებით დაიწყო და ბოლოს „შეერთებით“ დასრულდა.



მაგრამ უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ერეკლე მე-II-ის მეფობის დროს, (მე-18 საუკუნე) ევროპასთან დაახლოვების ცდაც იყო.

სჩანს რუს ხელმწიფესთან დაკავშირების საწინააღმდეგო მიმართულებაც ძლიერი იყო საქართველოში.

ამ ნიადაგზე, როგორც ისტორია მოწმობს, ერეკლე მეფის სასახლეში პაატა ბატონიშვილის მეთაურობით დიდი შეთქმულებაც მოეწყო, რაც მარცხით დასრულდა. გაიმარჯვეს რუსეთის ორიენტაციის მიმდევრებმა ერეკლეს მეთაურობით.

ამაირათ კითხვა—ევროპის თუ რუსეთის ორიენტაცია—საქართველოსთვის საბოლოოვით გადიჭრა. მთელი ეს პოლიტიკა, რათქმა უნდა, მაშინდელ მოწინავე წრეებში იდეოლოგიურ მოძრაობას იწვევდა. ამ პოლიტიკამ მწერლობაც გამოაცოცხლა და ქართველი მაშინდელი თავად-აზნაურული ინტელიგენცია ევროპა-რუსეთის „განათლებას“ დაეწაფა. მაშინ პირველათ გაჩნდნენ ჩვენში რამოდენიმე საუკუნის სიჩუმის შემდეგ დამოუკიდებელი იდეოლოგიის მატარებელი მწერლები და ხელოვანნი: დიდი ნიჭიერი მეიგავარაკე და ევროპის კარზე დიპლომატი საბა-სულხან ორბელიანი, ისტორიკოსი, რუსეთში სწავლა-მიღებული ვახუშტი ბატონიშვილი, პოეტი დავით გურამიშვილი და ბევრი კიდევ სხვა... აღსანიშნავია აგრეთვე ერეკლეს სასახლის მომღერალი საიათნოვა, რომლის პოეზია და მუსიკა იმდროინდელ აზიური პოეზიისა და მუსიკის უმაღლესათ განვითარებას წარმოადგენდა.

ერთი სიტყვით, როგორც კი გამოცოცხლდა პოლიტიკა და კულტურის ამ სფეროში ქართველი გაბატონებული წრეების კულტურული ძალები ამოძრავდნენ, მაშინ იდეოლოგიურ სფეროშიაც იჩინა თავი ქართულმა შემოქმედებამ და საუცხოვო ნიმუშები დაგვიტოვა.

მთელ მაშინდელ მწერლობას იმ დროის წინააღმდეგობათა ბეჭედი აზის, აზიური კულტურა ნიადაგს ჰკარგავდა ერთი მხრით, ხოლო მეორე მხრით ევროპიულ კულტურის რამდენიმეთ შემოჭრილ ელემენტებს რუსული კულტურის გავლენა ეჭიდებოდა და ასე ამაირ ბრძოლაში ქართული, თუმცა თავად-აზნაურული, მარა თავისებური ქართული იდეოლოგია კვლავ იკვერებოდა.

ეს მეორე შემთხვევა იყო საქართველოს ცხოვრებაში, (პირველია მე-12 საუკუნე) რომ თავისებური ეროვნულ-წოდებრივი კულტურა იქმნებოდა.

მაგრამ ეკონომიურ-პოლიტიკურმა ვითარებამ აქაც გადაუჭრა



გზა ამ განვითარებას და ქართული კულტურა, მასთან მწერლობაც ისევ ძირს დასცა.

მე-18 საუკუნის დასასრული და მე-19 საუკუნის დასაწყისი, ეს ქართული მწერლობის სრულიათ ჩაჩუმების ხანაა: თითქო მეტყველ ვაჟკაცს თავს კეტი დაჰკრეს და ერთბაშად დაადუმეს! პოლიტიკურ-სახელმწიფოებრივ დამოუკიდებლობაზე, თავის ნებით თუ უნებურათ, ხელის აღებაჲ ქართველი გაბატონებული წრეების იდეოლოგები ერთიანათ დაამუნჯა.

ამით დასრულდა ქართველი საზოგადოებრივობის და კულტურის „ეპოპეა“. ეს იყო ქართული ფეოდალიზმის მთელი 14 საუკუნის განმავლობაში წარმოებული **ტრალედიის ფინალი**.

ამ ტრალედიის მთავარი გმირი ქართველი თავად-აზნაურობა და მეფეებია, ხოლო მშრომელი მასები—„ყმობა“, როგორც მაშინ გლახაკობას ეძახდნენ, მათი სარდლობის ქვეშ მეომარი ლაშქარია.

მთელი ეს ტრალედია გამოიხატა არა ერთ რომელიმე ლიტერატურულ ნაწარმოებში, ან ერთი ავტორის ნაწერში, (თუმცა ეს გაცილებით უმჯობესი იქნებოდა. **ასეთ გამოხატვას ჯერ კიდევ ელის ჩვენი პროლეტარულ მწერლების მხრით ეს ტრალედია**), არამედ ის გამოითქვა და ისიც მეტად პროზაიკულათ, მთელს ამ დროის (მე-19 საუკუნის) მწერლობაში. დადგა ძირითადი გარდატეხის ისტორიული ხანა ქართველი საზოგადოების.

გარდატეხა დაიწყო პოლიტიკურ-სახელმწიფოებრივ სფეროში **„პოლიტიკური დამოუკიდებლობის“** დაკარგვით, რამაც ცხადია, გადაწყვეტი გავლენა მოახდინა, როგორც ეკონომიურზე ისე იდეოლოგიურზედაც.

მაგრამ აქ გარკვევით და გადაჭრით უნდა ითქვას, რომ მთელი ამ გარდატეხის სიმძიმე თავს დააწვა არა მშრომელთა მასებს, არამედ გაბატონებულ წრეებს.

მშრომელთა მასები, როგორც ისტორია მოწმობს, საშუალო და ახალ საუკუნეების განმავლობაში სრულიათ მოკლებული იყვნენ საშუალებას და უფლებას მონაწილეობა მიეღოთ ქართული კულტურის აღმშენებლობაში.

არა თუ მონაწილეობა მიეღოთ და რაიმე თავისი წვლილი შეეტანათ, არამედ ისინი (მშრომელი მასები) მოკლებული იყვნენ იმ როლსაც, რომ ობიექტი მაინც გამხდარიყვნენ იმ დროინდელი ქართული ფეოდალურ-ეკლესიური მწერლობის.

თვით იმ დროის უდიდესი და უნიჭიერესი მწერალი შოთა რუსთველი კალმის ერთი მოსმითაც არ შეხებია „ყმათა“ ცხოვრე-



ბას: თუ რაში იყო მაშინდელი მშრომელი მასების ფიქრი და ზრახვა, რა სტანჯავდა მათ, ებრძოდნენ ამ ტანჯვას, ან ჰქონდათ იდეალი ან იმედი მომავლის, თუ არა? ეს კითხვები შოთასთვის არ არსებობდა, როგორც ის არ არსებობდა არც ერთი ფეოდალური ქვეყნის არც ერთი პოეტ-მწერლისთვის.

მშრომელმა მასსამ, ყველგან როგორც კულტურის ისტორიიდან ვიცით, თავისი კულტურა სამივე სფეროში—ეკონომიკა, საზოგადოებრივობა და იდეოლოგია წინა ისტორიულ ეპოქაში ე. ი. პირველყოფილი კომუნისზმის ხანაში ჩამოაყალიბა და ეს კულტურა, როგორც თვით მაშინდელი საზოგადოება მოკლებული იყო ეროვნულობასაც და კლასიურობასაც. მოკლებული იყო სრულიათ ინდივიდუალიზმს, ვინაიდან კერძო საკუთრება ჯერ კიდევ არ გაჩენილიყო და პიროვნება ჯერ კიდევ არ არსებობდა. იგი მოკლებული იყო აგრეთვე ავტორიტარულ აზროვნებას, ვინაიდან, საზოგადოებრივი შრომა ორგანიზატორთა და შემსრულებელთა შორის დანაწილებული არ იყო, ამიტომ არ იყო არც მონობა-ყმობა, არც ბატონობა.

მშრომელ-ხალხური იდეოლოგია ასეთ ელემენტებს მოკლებული იყო და მხოლოდ ბუნებრივ ფეტიშებისგან ე. ი. ბუნების ძალებზე ცრუ, სინამდვილესთან შეუფერებელ წარმოდგენისგან შესდგებოდა. ბუნების გაფეტიშება-გაღმერთება და პირველ ყოფილი კოლექტივიზმი აი რა იყო შინაარსი მშრომელი მასების კულტურისა, ხოლო მისი იდეოლოგიური ფორმები იყო: 1) ხალხური ენა, (ეს ენა უღარესათ სახეობითი და მხატვრული იყო), 2) თქმულება, ლეგენდა, ზღაპარი, მითი, რომლებშიაც მისი მსოფლგაგება იხატებოდა. 3) ლექსი და სიმღერა, რომლითაც თავის მსოფლშეგრძნობას გამოისტვენდა, და 4) შაირი და ზმნა, რომლითაც იგი შრომით დაღლილი გართობა-დასვენებას ეძლეოდა.

აი როგორი იყო მშრომელი ხალხის იდეოლოგია წინა ისტორიულ დროებში და როგორი დარჩა ის მთელ პატრიარქალურსა და ფეოდალურ ეპოქებში. კულტურის ისტორიამ არ იცის მაგალითი, რომ ამ ეპოქაში ხალხურ იდეოლოგიას მწერლობითი ფორმა მისცემოდეს. ეს იყო სიტყვიერი იდეოლოგია, მისი მხატვრული ნაწილი „ხალხურ სიტყვიერებად“ არის ცნობილი.

ყოველივე ეს ითქმის ქართველი მშრომელი ხალხის იდეოლოგიაზედაც. მისი ხალხური სიტყვიერება მეტათ მდიდარია, განსაკუთრებით ფორმის მხრით, რაც თანამედროვე მწერლობისათვის დიდათ საყურადღებოა.

რა კავშირი ან ურთიერთობა იყო ამ ორ კულტურას — ფეო-



დალურსა და ხალხურს შორის — აღნიშნულ საუკუნეების  
ლობაში?

**თითქმის** არავითარი. ხალხი „თავისთვის ცხოვრობდა“, რო-  
გორც იტყვიან და თავად-აზნაურობა კიდევ „თავისთვის“.

მაგრამ ეს „თავისთვის ცხოვრება“ განისაზღვრებოდა იდეო-  
ლოგიით, ე. ი. აზროვნებით, განცდით, ყოფით და რამდენიმეთ ზნე-  
ჩვეულებითაც, ხოლო რაც შეეხება ეკონომიკას და პოლიტიკას, ამ  
ორ სფეროში მშრომელი ხალხი მხოლოდ საშუალება იყო წვრილი  
და მსხვილი ფეოდალების ხელში მათი ეკონომიურისა და პოლიტი-  
კური ინტერესების დასაკმაყოფილებლათ. „ყმასა და ბატონს“ შორის,  
„მდაბიო ხალხსა“ და „მაღალ საზოგადოებას“ შორის იდეოლოგიუ-  
რი კავშირი, ურთიერთი გავლენა ჯერ კიდევ მეტათ სუსტი იყო.  
ეპოქის კულტურას თითქმის მთლიანათ მხოლოდ, „მაღალი საზოგა-  
დოება“ ჰქმნიდა.

ამნაირათ ამ დროის ქართული ფეოდალური მწერლობაც მხო-  
ლოდ ქართული ფეოდალური კულტურის განვითარების გამომხატვე-  
ლი იყო. მაგრამ, როგორც ვთქვით, ეს ქართული ფეოდალური კულ-  
ტურა მეთვრამეტე საუკუნის მიწურულში ძირფესვიანათ შეირყა და  
წელში გარდატყდა.

ქართველი მეფის „ბრძანებით“ გაუქმდა ქართული სახელმწი-  
ფო და საქართველოში შემოვიდა რუსული „ცარიზმის“ შეიარაღე-  
ბული ძალა.

ისტორიულმა მსვლელობამ კითხვა ასე დააყენა: ან ერთმა უნ-  
და იარსებოს საქართველოში, ან მეორემ.

რუსული „ცარიზმი“ თავისი შეიარაღებული ძალით, მართლაც,  
ისეთი ძალა აღმოჩნდა, რომ ქართული ფეოდალიზმი ერთი დაკვრით,  
ერთიანათ დაეცა: დაეცა პოლიტიკურათ, იდეოლოგიურათ, ეკონო-  
მიურათაც. **აქედან დაეცა ქართული მწერლობაც.** აი რამ გაყინა  
და გააშეშა ამ ხანაში ქართული ფეოდალური კულტურა!

ეს ხანა კი თითქმის ნახევარი საუკუნე გაგრძელდა; თუ რა-  
დენათ ძლიერი და ღრმა იყო ეს დაცემა იმ ფაქტიდანაც აშკარათ-  
სხანს, რომ ამ დაცემის გამომხატველმა პოეზიამაც მხოლოდ ნახევა-  
რი საუკუნის შემდეგ ამოიღო ხმა: ეს იყო დაცემის, თავდაზნაურუ-  
ლი სასოწარკვეთილების ამოკენესა, რომელიც შემდეგ თავაშვებულ  
ეპიკურეიზმში, უდარდელ ქეიფ-გაქხანალიაში „გადავარდა“. ამ ხნე-  
ბის გამომცემნი იყვნენ მგოსნები: ჯერ „ბესიკი“ (ბესარიონ გაბაშვი-  
ლი), შემდეგ ალექსანდრე ჭავჭავაძე.

პირველი შაშვივით „ქახქახებდა“: „შაენი შაშენი შავს გალიას.



ჩამსხდარნი“-ო, ხოლო მეორე—„ლოთებო! ნეტავი ჩვენა“-ს ხმაზე „დი-  
ლინებდა“.

აი როგორი იყო ქართული აზნაურული პოეზია ამ ხანის და-  
საწყისში.

რუსული „ცარიზმი“ შეუდგა თავისი დიქტატურის, ე. ი. პო-  
ლიტიკის გატარებას „ახალ შეძენილ“ ქვეყანაში საქართველოში.

ცხადია, ქართული ფეოდალიზმი შეუბრძოლებლათ ვერ და-  
მორჩილდებოდა ახალ ძალას; მით უფრო რომ ის „ისტორიულ ბრძო-  
ლებში“ გამოცდილ-გამობრძმედილი იყო და მისი ტრადიცია „ხმლით  
ხელში მტერთა მიმცემი რისხვისა“.

აშკარა აჯანყებისა და „ხალხის“ ამხედრების ცდის შემდეგ,  
რაც მარცხით დასრულდა 1804-12 წლებში, „საიდუმლო შეთქმულე-  
ბის მოწყობას შეუდგა თავისი ახალგაზრდა ინტელიგენციის მეთაუ-  
რობით.

ქართველი ახალგაზრდა თავადაზნაურობა ჯერ დაეწაფა რუ-  
სული „განათლების“ შეძენას, რითაც მას „დაწინაურება“ უნდოდა  
და ამით აენაზლაურებია ის, რაც თავისი წოდების პოლიტიკური ჩა-  
მოქვეითებით დაკარგა; მაგრამ, რაკი დაინახა, რომ რუსული „ცა-  
რიზმი“, უკეთ მისი ბიუროკრატია, მას ისე რიგათ არ ენდობოდა,  
„მამულიშვილური“ გრძნობით გაიმსჭვალა, თავისი წოდებრივი ჭირ-  
ვარამი ქვეყნის, სამშობლოს ჭირ-ვარამად გამოაცხადა და „რუსის  
მოხელეების“ წინააღმდეგ შეთქმულობის მოწყობას შეუდგა (1830-იან  
წლებში).

შეთქმულობა, როგორც ვიცით, სასტიკათ დამარცხდა და ყვე-  
ლა შეთქმულნი „გადასახლებულ“ იქნენ. შემდეგში „დაჩაგრული“  
ქართველი თავადაზნაურობის იდოლოგიის გამომხატველნი ამ წოდე-  
ბის „რუსულათ განათლებული“ ქართველი თავადაზნაურული ინტე-  
ლიგენცია შეიქმნა. ინტელიგენციის მთავარი იარაღი ყოველთვის და  
ყველგან მწერლობაა.

ამ ინტელიგენციის ერთი ნაწილი რომ სასოწარკვეთილებას  
მიეცა და დარდი ეპიკურიზმში ჩაახშო, თავისი სულისკვეთება მუ-  
ხამბაზებში, ბაიათებში და დუდუკის ტკბილ ხმებში გამოხატა, მეო-  
რე ნაწილის წარმომადგენელმა, რომელიც „ცარიზმს“ თუმც სრუ-  
ლიად შეურიგდა, მაგრამ „ქართლის ბედი“ მას მაინც ღრმა პესიმი-  
ზმში აგდებდა.

და აი შეიდი წლის სრული სიჩუმის შემდეგ, როცა „ქართლის  
ბედი“ დიდი ერეკლეს მიერ უკვე წინასწარ იყო გადაწყვეტილი,  
როცა პაატა ბოტანიშვილების ცდებმა და თავადაზნაურობის „გა-



ნათლებულ“ ახალგაზრდობის შეთქმულთბამაც ამათ ჩაიარა, დიდათ ნიჭიერმა პოეტმა, ნიკოლოზ ბარათიშვილმა „ქართლის მიწა ვალი ბედის“ საკითხი პირველმა წამოაყენა მწერლობაში. (1839 წ.)

ასე სჩვევია საერთოდ იდელოგიას და მით უფრო მხატვრულ მწერლობას: ყოფა-მდგომარეობა წინ უსწრებს შეგნებას, პრაქტიკა—თეორიას, მოვლენა—განცდას.

მრავალნაირი განცდა სტიქიურ პროცესით ეწყობა და ლაგდება ჯერ პოეტის „ქვეშემცნების“ სფეროში, საიდანაც შემდეგ შემოქმედების პროცესში სრულიათ ახალს, შეგნებული ფორმის სახესღებულობს.

ასე მოუვდა ამ შემთხვევაში ნიკოლოზ ბარათაშვილსაც.

როგორც ვიცით, ნიკოლოზ ბარათაშვილი თავის პოემაში — „ბედი ქართლისა“—სისწორით აღნიშნავს იმას, რაც მოხდა და მეფის ავტორიტეტისადმი უსაზღვრო ნდობით გამსჭვალული ბრძოლაზე ხელს იღებს და უზენაეს განგებას დანდობილი თითქო იმედგადაწყვეტილი ამბობს: **მადლობა ღმერთს! ყველაფერი ღვთისა და მეფის ნებაა.**

**რა გაეწყობა! უნდა დავემორჩილოთ „ბედს“, რადგან ის „მეფე—ირაკლის გულმან დიდი ხანია (44 წლის წინათ) გარდაიწყვიტაო“.**

ასე გაათავა მეცხრამეტე საუკუნის პირველ ნახევარში „მამულიშვილური“ ბრძოლა პირველმა თაობამ ქართველ თავადაზნაურულ ინტელიგენციისამ, რომელმაც რუსეთში „ევროპიული განათლება“ პირველათ მიიღო და საქართველოში რუს ხელმწიფებს კი ებრძოდა.

აქედან მომზადდა ნიადაგი ქართველი თავადაზნაურული ინტელიგენციის **მეორე თაობისა**: დიმიტრი ყიფიანის, ილია ჭავჭავაძის და სხვათა მეთაურობით, რომლებმაც „მამულიშვილური“ ბრძოლის **პროგრამაც** შესცვალეს და **ტაქტიკაც**.

და ეს ცვლილება, ცხადია, მოხდა ხალხური მოძრაობის ზეგავლენით.

(გაგრძელება იქნება)

## პარალელური შენიშვნები

### III

წინა წერილებში ჩვენ განვსაზღვრეთ პროლეტარულ ხელოვნების შემოქმედებითი მიმართება, როგორც ცხოვრების კოლექტიური მშენებლობის მეთოდი. აღვნიშნეთ ხელოვნების ნიშნული მოვლენა—ემოციონალური ზედ-მოქმედების ფაქტი. ემოციების კლასიფიკაციის ანალიზიდან დავაყენეთ პროლეტარულ ლიტერატურის გაგება, როგორც კოლექტიური ფსიხიკის ორგანიზატორის და სოციალური ზედ-მოქმედებითი ფაქტორისა. ამასთანავე გავარკვიეთ შემოქმედებითი აქტის ბუნება: მისი ბურჟუაზიული გაგების უარყოფით ანუ მისი გაფეტიშებულ „საიდუმლოების“ გამოხსნით. ამის სათანადო არგუმენტული დამტკიცებით შემოქმედებითი აქტის გაგებას ჩამოვაცილეთ „ზე-შთაგონებრივი“ ხასიათი და გავიგეთ, როგორც მუშაობის შეგნებული პროცესი, რომელიც გარკვეულ იდეოლოგიურ—ორგანიზაციულ ამოცანებით და ოსტატობის საფეხურებით ხასიათდება.

ამასთან დაკავშირებით ლიტერატურულ ფაქტის ფორმათ და შინაარსათ დაყოფვის მაგიერ მივიღეთ მასალისა და ხერხობრივი შენების პრინციპი. 1) ამით ჩვენ ლიტერატურული ფაქტი ავხსენით, როგორც მხატვრულ შრომის პროდუქტი და ამთვისებელისა და შემოქმედის ურთიერთობის პრობლემის გადასაწყვეტათ მხატვრულ ფაქტს მიუყენეთ უტილიტარული დანიშნულების მოთხოვნილება.

ჩვენი მოწინააღმდეგენი პროლეტარულ ლიტერატურის მიმართ ყოველთვის აყენებდენ და აყენებენ ბრალდებას, რომ პროლეტარული მწერლობა ლიტერატურული სკოლა არ არის, არამედ ერთი სოციალ - პოლიტიკურ მსოფლ-მხედველობის ქვეშ გაერთიანებული მწერლობაო. ეს ბრალდება იმდენათ დიდ სიმძიმეს არ შეიცავს, რამდენათ ეს მოსაზრება წარმოადგენს ბურჟუაზიული ლიტერატურის დაცემის პერიოდში შექმნილ კრიზისის გამოძახილს.

1) იხ. უფრ. „მნათობი“ № 4 (24)-ში წერილი „ფორმალური მეთოდი და მარქსიზმი“. დ. რ.



ბურჟუაზიული ლიტერატურის განვითარების უკანასკნელ პერიოდში სხვადასხვა სკოლურ სახელწოდების ქვეშ წარმოიშვა მთელი რიგი „ლიტერატურულ ჯგუფებისა“, რომელთა ლიტერატურული ნოვატორობის და ბრძოლის ღირებულება ამოიწურება ბურჟუაზიული საზოგადოებრიობის სარჩულით და ინდივიდუალიზმის ტენდენციებით.

პროლეტარული მწერლობა არ თავსდება ვიწრო ლიტერატურულ სკოლის ფარგლებში (ტრადიციული გაგებით). პროლეტარული მწერლობა მასიურ შემოქმედებით საწყისებზე ვითარდება. ეს აუცილებელ ფაქტორს შეიცავს პროლეტარულ მწერლობის სამიმართულებო მოძრაობაში. ეს მოვლენა ორგანიული შედეგია იმ ძირითად გარდატეხის, რომელიც პროლეტარულ რევოლუციამ მოახდინა სოციალ-ეკონომიურ სფეროში და რომლის შემდეგ მუშათა კლასის დიქტატურის განმტკიცებამ გზა გაუხსნა მშრომელი მასის კულტურულ-მხატვრულ მოთხოვნილებას.

თუ ბურჟუაზიული მწერლობა თავისი მხატვრული ტრადიციების დამლისა და გაგრძელების ხაზით მიმდინარეობს, პროლეტარული მწერლობა უმთავრესათ საზოგადოებრივი ცხოვრების რევოლუციონურ ფაქტორებიდან მოდის. ის სოციალისტურ აღმშენებლობის ორგანიული მონაწილეა. აქ არის უპირველეს ყოვლისა სწრაფვა კომუნისტურ საზოგადოების მიმართულებით. მაშასადამე კოლექტიური გამიზნვა პროლეტარულ მწერლობის მხატვრული იდეოლოგიის ძირითადი ფაქტორია.

ამასთანავე პროლეტარულ ლიტერატურის სამიმართულებო მოძრაობა იტევს მხატვრულ სკოლების საწყისებს, კომუნისტურ იდეოლოგიის მთლიანობასთან შეფარდებით. ძირითადში პროლეტარული მწერლობის მხატვრულ-ლიტერატურული ორიენტაცია თანამედროვე ინდუსტრიალურ ეპოქის აღმშენებლობით და კონსტრუქტულ სტილს ემყარება.

როგორ უნდა გვესმოდეს პროლეტარული მწერლობის აღმშენებლობითი მიმართება? ეს უპირველეს ყოვლისა იმ ფაქტში მდგომარეობს, რომ თანამედროებაში ხელოვნება და ცხოვრება საერთო მიმართულებით არის გამიზნული. ბურჟუაზიულ საზოგადოებაში შექმნილი დისპროპორცია ხელოვნებასა და ცხოვრებას შორის თანამედროებაში გასწორების გზით მიდის. მაგრამ ეს პროცესი ჯერჯერობით მხოლოდ საწყისში არის მოცემული. ამის სრული განხორციელება კი დამოკიდებულია პროლეტარიატის სრულ ეკონომიურ გამარჯვებაზე, — კოლექტიურ ცხოვრების სრულ მიღწევაზე, როდესაც



შესაძლებელი იქნება სოციალური საქმიანობისა და მხატვრული ხერხების ორგანიული შეთავსება.

ეხლა კი გარდამავალ პერიოდში—ნების პირობებში როდესაც ადგილი აქვს ცხოვრების კოლექტიურათ შეუვსებელ მოვლენებს, პროლეტარულ ხელოვნების მოვალეობაში შედის უშუალო მონაწილეობა მიიღოს ცხოვრების კოლექტიურათ შევსების პროცესში.

სოციალური სინამდვილის მხატვრული შევსება (რეალური მიზნებით) შეიძლება სხვადასხვა სახვითი მეთოდების გამოყენებით. აქ პირველ რიგში დგება საავიტაციო-საპროპაგანდო მასალის დამუშავება, როგორც ცხოვრების კოლექტიურათ შევსების ერთი მთავარი იარაღის.

სახვითი მეთოდების მოხმარების საზღვრები არ უნდა გადვიდეს ბურჟუაზიულ ხელოვნებისთვის დამახასიათებელ ცხოვრების გარეთილი უზიარებელი სახეაში.

მაშასადამე სახვითი მეთოდების საკითხი—მხატვრული ხერხების (ფორმის) საკითხია. ამ შემთხვევაში ძალაში რჩება ზელინსკის მიერ მოცემული კლასიფიკაცია ლიტერატურის: ლირიკა, ეპოსი და დრამა. პროლეტარული ლიტერატურა აქ ჩამოთვლილ ლიტერატურულ ჟანრების მომხმარებელია.

ჟანრი ლიტერატურულ ხერხის გარკვეული სისტემაა. ჟანრის შიგნივე სწარმოებს მხატვრულ ხერხის ძვრა, ძველის ახალით შენაცვლება, მოცვეთა ან ნახტომი.

ბურჟუაზიული ლიტერატურის უკანასკნელ პერიოდს ახასიათებს ჟანრების დაცემა ანუ აღრევა. ეს გამოწვეულია ტრადიციული ხერხების ავტომატიზაციით (მოცვეთით).

მხატვრული ლიტერატურის შიგნი მორფოლოგიური კონსტრუქციის ცვლა, სოციალური გარესკნელის დიალექტიური ცვლის საფუძველზე სწარმოებს. ამ შემთხვევაში პროლეტარული მწერლობა წარსული ლიტერატურის განვლილ და მომქმედ ხერხების დაძლევის ხასიათდება (ლიტერატურული მემკვიდრეობა) და მეორეს მხრივ სოციალურ მოტივაციის ფარგლებში ახალი მხატვრული ხერხების მშენებლობით.

პროლეტარულ მწერლის მხატვრული ტენიკა, მატერიალურ წარმოების ტენიკის სიმალღეზე უნდა იდგეს. პროლეტარულ მწერლობის მოწინავეობის გაგება გულისხმობს, მხატვრული ოსტატობის „თავისებურ ელექტროფიკაციის“ დონეს. კოლექტიურ გამიზნვის გეგმაში პროლეტარული მწერალი სიტყვის ოსტატი უნდა იყოს.

პროლეტარული მწერლობა ლირიკულ ჟანრს ამუშავებს, არა



როგორც „წმინდა—ემოციონალური“ შემოქმედებას (თვითადი სახეა „თავის თავიდან“), არამეთ გარკვეული დანიშნულების ფუნქციონირებაში შემთხვევაში პროლეტარულ მწერლობაში ლირიკის გაგება უკავშირდება ლექსის ახალ კონსტრუქციას. სადაც მთავარია შემოქმედის კომუნიკატიური დაყენება ამთვისებელთან (გაგების საკითხიც). ეს ნიშნავს ლექსის სტილისტიურ ხერხების პრაქტიკულ ან სასაუბრო ენის კანონებზე დაყრდნობას. ამით არსებითად იცვლება ძველი პოეტური სინტაქსის ბუნება და მხატვრული წინადადებათა ორგანიზაცია ცოცხალი სოციალური ფუნქციონალობის ნიშნით სწარმოებს. ამით თანდათანობით გადადის ლექსის ლირიკულ-მელოდიური ტონალობა და შემოდის ახალი სიტყვა და თქმა ქუჩების, მოედნების, ფაბრიკების: მასიური ჟარგონი. ლექსის შაბლონიური-ბგერადული წყობა დაირღვა და პრაქტიკულ ენიდან გამოსვლით და მასთან დაახლოებით ლექსმა ახალი სასიცოცხლო უნარი აღადგინა. ამგვარათ ლექსი თავის მხატვრულ ხერხობრივ აგებით ხდება სოციალურ-უტილიტარული მოვლენა.

მთავარი დამახასიათებელი მოვლენა არის ლაკონიურობა (მოკლე თქმა), მაქსიმალური ემოციონალური დატვირთვა მასალის ერთეულზე. პროზაში მცირე სიდიდის თხრობის მოხმარება (ნოველა).

პროლეტარულ ლირიკის ხასიათი აქტიურ-კლასიურ თემატიური არჩევანით ძირითადად დაპირისპირებულია ბურჟუაზიულ პოეზიის მისტიურ-ჰვრეტით მიმდევობას.

ეპოქის მომჭირნეობითი და კონსტრუქტიული სტილის მოთხოვნილება არ რიცხავს პროლეტარულ ეპოსის საჭიროებას და არსებობას. ეს საკითხი მეტისმეტ ულტრა-უარყოფით გადაჭრა „ლეფ“-მა. („Лэф“ № 1. Третьяков-ის წერილი „новый Лев Толстой“) ახალი ეპოსი, მისი ტრადიციული გაგების (ანტიური, საშ. საუკუნ.) საზღვრებს სცილდება, რამდენათ ახალი ეპოქა თავისი კოლექტიური გამიზვნით ძირითადად განსხვავდება ფეოდალურ და ბურჟუაზიულ საზოგადოების ინდივიდუალურ ხასიათიდან. ამ ეპოქებში დაკანონდა ლიტერატურულ გმირის ხერხი, რომლითაც ფართო ხასიათობრივ და ფილოსოფიურ განზოგადობას პოულობდა გაბატონებულ ექსპლოატატორულ კლასის ცენტრალური პიროვნება.

პროლეტარული ეპოსი რევოლიუციის ფაუბლას ემყარება. მისი სიუჟეტური განვითარება კოლექტიურ-მასიურ ფსიხიკის მონისტურ





## ნარკვევები ქართული აზროვნების ევოლიუციიდან

წერილი მესამე

### 60-იან წლების ჩვენი საზოგადოებრივი მიმდინარეობანი

არასოდეს ინტერესი ქართული საზოგადოებრივი აზროვნების ისტორიის შესწავლისადმი არ ყოფილა ისე გაცხოველებული, როგორც არის დღეს. ათეული წლების წინად ჩვენი აზროვნების ევოლიუცია უმთავრესად აინტერესებდათ მკვლევარებს, ისიც მკვლევართა ვიწრო წრეს. დღევანდელ პირობებში ეს ინტერესი საზოგადოებრივ ხასიათს ღებულობს, მკვლევართა ვიწრო წრეს სცილდება და, შეიძლება ითქვას, ფართო მასიური ხდება. ეს მეტად საინტერესო და აღსანიშნავი მოვლენაა.

კითხვა იბადება: რამ გამოიწვია ასეთი მასიური ინტერესი ქართული საზოგადოებრივი აზროვნების ევოლიუციის შესწავლისადმი, სად უნდა ვეძიოთ იმის მიზეზები, რომ ჩვენი წარსული ცხოვრების და აზროვნების შესწავლა იტაცებს მკითხველს, იწვევს მასში ცხოველ ინტერესს? ამ კითხვაზე პასუხის გაცემა ადვილია. ამის ერთ-ერთი მიზეზი ჩვენი ეპოქის **სულში** მდგომარეობს. უდავოა, რომ ოქტომბრის რევოლიუციის შედეგებმა ძირითადი გარდატეხა მოახდინა არა მარტო საზოგადოებრივ ცხოვრებაში, არამედ საზოგადოებრივ აზროვნებაშიაც: შკოლიდან, მეცნიერების დარგებიდან თანდათან განიდევენა უტოპიური, არა მეცნიერული სწავლა და მათი ადგილი **მარქსისტულმა სოციალოგიამ** დაიჭირა. ძველი მიდგომა საკითხისადმი დღეს დამაკმაყოფილებელი აღარ არის; დღეს შეუძლებელია ისტორიული ფაქტების მხოლოდ ქრონოლოგიური აღნუსხვა, საჭირო არის მოვლენათა შორის მიზეზობრივი კავშირის გამოძებნა, ცალკე მოვლენების მთლიან საზოგადოებრივ ცხოვრებასთან დაკავშირება; მარქსისტულმა აზროვნებამ და საზოგადოებათ მეცნიერებამ, მატერიალისტურმა სოციალოგიამ ჩვენი ცხოვრების სფეროებიდან გამოდენა ძველი სწავლა და კვლევის სფეროში შეიტანა **ისტორიულ მეთოდთან** ერთად **კანონმეცნიერების** პრინციპიც: ვისაც სურს საფუძვლიანად შეისწავლოს აწმყო, მან აუცილებლად უნდა იცოდეს წარსული ვი-





თარებაც, რადგან აწმყოს ელემენტები და ნიადაგი მზადდება წარსულში; აწყმო არის „კანონიერი შვილი“ წარსულისა: ცხოველი ინტერესი თანამედროვე ვითარებისადმი ძალაუნებურად იწვევს ინტერესს წარსულის შესწავლისადმი.

ჩვენ გვინტერესებს მთლიანად აღებული ჩვენი საზოგადოებრივი ცხოვრება და მისი განვითარების უმთავრესი მომენტები; ჩვენში იწვევს ცხოველ ინტერესს ჩვენი ეკონომიური ცხოვრების ევოლიუცია, სოციალური კლასების ვითარება და კლასთა ბრძოლის შინაარსი, რევოლუციონური მოძრაობის ისტორია და საზოგადოებრივ აზროვნების განვითარება.

სამწუხაროდ, ჩვენი წარსული ცხოვრების არც ერთი ეს მხარე არ არის შესწავლილი და გამოკვლეული. სულ უახლოესი ხანა, მეXIX-ე საუკუნე, რომლის შესახებაც ჩვენ უამრავი მასალები მოგვეპოება, სრულიად ხელუხლებელია და დაუმუშავებელი. ჩვენ ვიცით, რომ საზოგადოებრივ აზროვნების ისტორიის შესწავლა მჭიდროდ არის დამოკიდებული ეკონომიური და სოციალური კლასების შესწავლის საქმესთან: საზოგადოებრივი აზროვნება არის გარკვეულ ეკონომიურ და სოციალურ ურთიერთობის კანონიერი ნაყოფი; როდესაც არ არის შესწავლილი უკანასკნელი მომენტები, მაშინ პირველი—საზოგადოებრივი აზროვნების ისტორიის შესწავლაც ძნელდება და დაბრკოლებას განიცდის. ამიტომ არის საჭირო, რომ არა მარტო დანტერესებული უნდა ვიყოთ ჩვენი წარსული ცხოვრების ზერელე გაცნობით, არამედ უნდა გვინტერესებდეს ფაქტიური გამოკვლევაც, მისი არსებითი შესწავლაც ისტორიულად. ეს დიდი საქმე კი ერთი რომელიმე პიროვნების ძალღონეს აღემატება: **იგი კოლექტიურ შრომას ითხოვს**; ამიტომ სასურველია, რომელიმე სათანადო ორგანო იკისრებდეს ამ დიდ საქმის დაწყებას შესაფერისი მომზადებული ძალების ჩაბმითა და ახალგაზრდობის გამოყენებით. ამით იგი დიდ სამსახურს გაუწევს ჩვენი წარსული ცხოვრებისა და აზროვნების შესწავლის საქმეს.

ვფიქრობთ, დრო არის სერიოზულად მოვკიდოთ ხელი ჩვენი საზოგადოებრივი აზროვნების ისტორიის და გავაშუქოთ იგი მარქსისტული სოციოლოგიის საზომით.

\* \* \*

ამ წერილში ჩვენ ვეხებით 60-იან წლების ჩვენი საზოგადოებრივი მიმდინარეობათა დახასიათებას. რასაკვირველია საჭურნალო წერილში ამ დახასიათებას არ ექნება დამთავრებული და მთლიანი სახე: ჩვენ ვცდილობთ მხოლოდ მასალების გამოკვეყნებას და 60-ან



წლების ჩვენი საზოგადოებრივი აზროვნების უმთავრესი კონტურების მოხაზვას.

სამოციან წლებით ჩვენი საზოგადოებრივი აზროვნების ისტორიაში იწყება მეტად მნიშვნელოვანი და მრავალფეროვანი პერიოდი; დაახლოებით 50-იან წლების მიწურულებიდან და 60-იან წლების განმავლობაში ქართულმა საზოგადოებრივმა აზროვნებამ ღრმა მნიშვნელობის დიფერენციაცია განიცადა: აღნიშნულ პერიოდში ჩვენში ჩამოყალიბდა ან ჩაისახა სხვადასხვა სახის საზოგადოებრივი მიმდინარეობანი. თუ მე XIX-ე საუკუნის პირველ ნახევრის ჩვენი საზოგადოებრივი აზროვნების ევოლიუციას გავითვალისწინებთ, დავინახავთ, რომ ამ ხანაში საქართველოში უმთავრესად გაბატონებული იყო **თავად-აზნაურული იდეოლოგია**, თავისი კლასიური შინაარსით გამომხატველი გაბატონებული თავად-აზნაურული წოდების ვიწრო ინტერესებისა; ევროპისა და რუსეთიდან შემოჭრილმა აზრებმა ჩვენი მაშინდელი ინტელიგენციის უმეტესობის სოციალ-პოლიტიკური მრწამსი ვერ შეარყია და იგი უმთავრესად დარჩა კონსერვატიულ-რეაქციონური, დამცველი არსებულ სოციალ-ეკონომიური ურთიერთობისა და ძველი ტრადიციული შეხედულებების. მაგრამ 50-იან წლების მიწურულებიდან და 60-იან წლების განმავლობაში ჩვენი საზოგადოებრივი აზროვნების დიფერენციაცია საგრძნობი ვახდა: ძველს თავად-აზნაურულს იდეოლოგიას დაუპირისპირდა ახალი მიმდინარეობანი. როგორი იყო ამ ახალი საზოგადოებრივი აზროვნების შინაარსი, როგორ უმთავრეს ამოცანებს აყენებდა იგი და რას ემსახურებოდა? სანამ ამ საკითხებზე პასუხს გავცემდეთ, ჩვენთვის საჭიროა ვიცოდეთ რომ 50-იან და 60-იან წლებში საზოგადოებრივ ცხოვრების განუვითარებლობის გამო, პარტიათა ჩამოყალიბებაზე ლაპარაკი შეუძლებელია: ახალი აზროვნება გზას იკაფავდა ვიწრო ლიტერატურული ბრძოლის საშუალებით, ლიტერატურული ორგანოების და ჯგუფების დაარსების გზით, ან ცალკე ინდივიდთა მოღვაწეობით. ამიტომ დღევანდელი პარტიათა ბრძოლის საზომით ვერ მიუდგებით 60-იან წლების ეპოქას: აქ საჭიროა ისტორიული პერსპექტივის დაცვა და მოვლენების ისტორიული საზომით განხილვა.

ჩვენის გამოკვლევით 60-იან წლებში, ამა თუ იმ სახით, უკვე ჩაისახა და განვითარდა შემდეგი სამგვარი უმთავრესი ახალი საზოგადოებრივი მიმდინარეობა:

1. **თავად-აზნაურული ლიბერალიზმი**. ამ მიმდინარეობის წარმომადგენელი ძველი თავად-აზნაურული რეაქციონური იდეოლოგიის წარმომადგენელთ „გაემიჯნენ“ განსაკუთრებით **ეკონომიური პრო-**



გრამის საკითხში: მათ თეორიულად და პრაქტიკულად შეიგნეს ის დიდი მნიშვნელობა, რომელიც კაპიტალისტურ ეკონომიკას, განსაკუთრებით ვაჭრობის განვითარებას მოზღდევს; ამიტომ ისინი აღარ ერიდებიან, ვაჭრობის განვითარების პროგრამა წამოუყენონ და, ასე ვთქვათ, თავად-აზნაურობის ინტერესები შეუკავშირონ ახალი ეკონომიკის განვითარების საქმეს. ისინი ცდილობენ თავად-აზნაურობის ინტერესების დაცვასთან ახალი სავაჭრო ურთიერთობის განვითარებასაც. ამიტომ თავისი ეკონომიური პროგრამით ეს მიმდინარეობა აუცილებლად ახალი იყო მაშინდელი ეპოქისათვის და მასთანვე პროგრესიულიც. ძველი თავად-აზნაურობა და მისი ინტელიგენცია ზიზლით უყურებდა ვაჭრებს და ასეთი ხელობა თავისი წოდების დამამცირებელ პროფესიად მიიჩნდა. ჩვენი ცხოვრების ეკონომიურმა განვითარებამ დაშალა ნატურალური მეურნეობა ჩვენში და მორიგ ამოცანად წამოაყენა კაპიტალისტური ურთიერთობის განვითარება. თავად-აზნაურულ ინტელიგენციის ნაწილმა შეიგნო ეს ჩვენი ცხოვრების მიერ წამოყენებული სამეურნეო ამოცანა და შესაფერისი პროგრამის წამოყენებაც მოინდომა. აქ მარხია მისი ლიბერალიზმიც. რამდენადაც ეს მისი სამეურნეო პროგრამა არ სცილდება თავად-აზნაურულ წოდების ინტერესებს, იმდენად ეს მიმდინარეობა თავად-აზნაურული შინაარსისაა, მხოლოდ უფრო ლიბერალური და დროების ამოცანებთან შეფარდებული, ვინემ ძველი მიმდინარეობა. უნდა აღინიშნოს ის ფაქტიც, რომ ამ თავად-აზნაურულ მიმდინარეობის ზოგიერთმა წარმომადგენლებმა ბატონ-ყმობის უვარგისობის შესახებაც ჩამოაგდეს ლაპარაკი, ხოლო 1863-4 წლებში, როდესაც მუშავდებოდა ჩვენში ბატონ-ყმობის მოსპობის პროექტები, ზოგიერთმა მათგანმა ლიბერალური და ნახევრად ლიბერალური პროექტებიც წარადგინა ბატონყმობის მოსპობის შესახებ. ამ თავად-აზნაურულ ლიბერალურ მიმდინარეობის მამამთავრად შეიძლება ჩაითვალოს: **მ. ბ. თუმანოვილი**, ლიტერატურაში მოლაყბის ფსევდონიმით ცნობილი, ჟურ. „ცისკრის“ თანამშრომელი, ეგროპიულად განათლებული გენერალი **კ. ხ. მამაცაშვილი**, რომლის ლიბერალური პროექტით ბატონყმობის მოსასპობად უკვე ცნობილია, **ალ. ორბელიანი** და მრავალი სხვა. ქვევით ჩვენ უფრო ვრცლად გავიცნობთ ამ მიმდინარეობის პროგრამას.

**2. რადიკალურ-დემოკრატიული მიმდინარეობა ბურჟუაზიული შინაარსით.** ჩვენთვის უდავოა, რომ 60-იან წლების რუსეთის განმათვისუფლებელმა მოძრაობამ, რადიკალურმა და დემოკრატიულმა მიმდინარეობამ დიდი გავლენა მოახდინა პეტროვადის, მოსკოვისა და



სხვა უნივერსიტეტებში მყოფ მოსწავლე ქართველ ახალგაზრდობაზე. ამ ახალგაზრდობამ განიცადა რუსეთის აზროვნების ცხოველყოფილი გავლენა და იქ შემუშავებულ აზროვნების გადმონერგვა მოინდომა საქართველოს წინადაგზე: ეს ახალი თაობის ინტელიგენცია რადიკალურად დაუპირისპირდა ძველი თაობის ინტელიგენციას და მასთან ყოველგვარი კავშირის გაწყვეტა მოინდომა; მთელ რიგ საკითხებში ბრძოლა მოუხდათ ახალთაობის ინტელიგენციას ძველი იდეოლოგიის წინააღმდეგ. ერთ-ერთი უმთავრესი საკითხი, რომლითაც დემოკრატიულმა ინტელიგენციამ გაილაშქრა არსებულ წყობილებას წინააღმდეგ, ეს იყო ბატონ-ყმობა; პირველად ეს საკითხი ფართოდ წამოაყენა დანიელ ჭონქაძემ, ხოლო შემდეგში დანიელ ჭონქაძის გზა განაგრძეს **თერგ-დალეულებმა**. ამ ინტელიგენციისათვის მიუღებელი "შეიქმნა მთელი ძველი სოციალ-ეკონომიური წყობილება და მანაც ომი გამოუცხადა მას. ამ ინტელიგენციამ შემოიტანა ჩვენში ახალი იდეალები, ახალი მსოფლმხედველობა და იდეოლოგია.. ამ ახალმა ჯგუფმა პირველი მნიშვნელოვანი შეტაკება ძველ თაობას თვით **ცისკრის** ფურცლებზედ გაუმართა, ხოლო შემდეგში თავისი საკუთარი ორგანოც გაიჩინა „საქართველოს მოამბის“ სახით (1863 წ.). მიუხედავად სასტიკი ცენზურული პირობებისა **საქართველოს მოამბემ** მაინც მოახერხა მთელი რიგი მნიშვნელოვანი საკითხების წამოყენებისა და ახალი იდეების შემოტანა ჩვენში. აი როგორ აგვიწერდა ნ. ნიკოლაძე 1872 წ. ამ ახალი ჯგუფის მნიშვნელობას: „1863 წ. ილია ჭავჭავაძემ დაიწყო „საქართველოს მოამბის“ გამოცემა. ვის არ ახსოვს ეს წელიწადი, როცა ერთის მხრით ჩვენი ცხოვრება თავის უწინდელს კალაპოტს იცვლიდა და ახალში შესვლას აპირებდა, ან უფრო სწორედ რომ ვთქვათ, არ აპირებდა, მაგრამ მაინც უნდა შესულიყო, და როცა, მეორეს მხრით, ასტყდა სასტიკი ბრძოლა ახალგაზრდობისა—ესე იგი ახალის ცხოვრების და ძველი კაცობის, ესე იგი ძველ წესსა და რჯულ შუა... დღეს ჩვენ ყველანი ვხედავთ, თუ რას ნიშნავდა „საქართველოს მოამბის“ საქნე, მაგრამ არც 1863 წ. იყო ეს დაფარული ვისმესთვის. ყველა გრძნობდა, ყველამ იცოდა, რომ „საქართველოს მოამბეს“ უნდა ჩაედგა ჩვენი ახალგაზრდობისათვის ახალი დროების სული, ეჩვენებინა ახალი გზა, შეექმნა ახალი სასიყვარულო მიზანი—მამულის, საზოგადოების სიკეთე და ღირსება“. 1) ნიკოლაძე სიმართლეს სწერდა 1872 წ. 60-იან წლებში გამოსულმა ახალი თაობის ინტელიგენციამ მეტად დიდი როლი ითამაშა ჩვენი საზოგადოებრივი

1). ნ. სკანდელის წერილი: ჩვენნი მწერლობა. „კრებული“ № 10—12. 1872 წ.



აზროვნების წინმსვლელობის საქმეში; შემდეგში ეს გზა გასტკეპნა და გააღრმავა მისმა მიმყოლე ინტელიგენციის თაობამ: გაზ. **„დროები“** სა და სხვა ორგანოების მოღვაწეობა თავის დასაწყის **საქართველოს** მოამბეში პოულობდა. თავისი **სოციალ-პოლიტიკური** მიმართულე ბით ეს ახალი თაობის ინტელიგენცია იყო რადიკალურ-დემოკრატიული, ხოლო თუ მის **ეკონომიურ** პროგრამის შინაარს არსებითად განვიხილავთ, მაშინ დავინახავთ, რომ იგი ასე თუ ისე ბურჟუაზიულ ურთიერთობის ნიადაგზედ იდგა. ამ მიმდინარეობის საუკეთესო წარმომადგენლებად 60-იან წლებში უნდა ჩათვალონ ი. ჭავჭავაძე და ვ. წერეთელი; შემდეგ მათ რიცხვს მიემატა მთელი რიგი ინტელიგენტების, რომელთა სამოღვაწო პროგრამას ჩვენ ქვევით შევხებით ვერცლად. აქ კი უნდა აღვნიშნოთ შემდეგი: „საქართველოს მოამბემ“ სულ ერთი წელიწადი იარსება; მიუხედავად ცენზურული პირობებისა და სასტიკი პოლიტიკური მდგომარეობისა, ამ ორგანომ მაინც შესძლო არსებულ ბატონ-ყმურ წყობილების საწინააღმდეგო წერილების მოთავსება. ზოგიერთი მწერლები სწერენ, თითქოს „საქართველოს მოამბე“ არ შეხებოდეს ბატონ-ყმობის საკითხს. ეს სიკითხის სრული უცოდინარეობაა. სხვა მნიშვნელოვან წერილებს გარდა, „საქართველოს მოამბეში“ მოთავსებული არის **დავით ყიფიანის** წერილი, რომელმაც შრომის პრინციპის საზომით გაკრიტიკებულია ბატონ-ყმური ურთიერთობა. <sup>1)</sup> ამ წერილის ადგალებს ჩვენ შემდეგ წერილში მოვიყვანთ და მაშინ დაინახავს მკითხველი ნათლად თუ როგორ შეეხო და რა საზომით გააკრიტიკა ბატონ-ყმური წყობილება „საქართველოს მოამბემ“. გარდა ამისა, ამ ორგანოს რედაქტორის—ილია ჭავჭავაძის შესახებ ჩვენს მარქსისტულ ლიტერატურაში ერთობ ყალბი აზრი არის გავრცელებული თითქოს იგი მომხრე არ ყოფილიყოს ბატონ-ყმობის მოსპობის და თითქოს მხოლოდ მის შეკეთებას მოითხოვდა, და არა სრულს განთავისუფლებას გლეხობისა ბატონ-ყმურ უღლისაგან. ჩვენ ვფიქრობთ, რომ ილია ჭავჭავაძე იმ პერიოდში რუსების 60-იან წლების განმანათლებელ მოძრაობის დიდ გავლენას განიცდიდა და მასთანვე დემოკრატიულ-რადიკალურადაც იყო განწყობილი. ამ დემოკრატიულ-რადიკალურ აზროვნების გავლენის ქვეშ იდგა ილია ჭავჭავაძე 70-იან წლების პირველ ნახევარშიაც, ხოლო შემდეგში იგი ჩაითრია თავად-აზნაურობამ თავის საბანკო საქმეებში, და აქედან დაიწყო მისი თავად-აზნაურული ლიბერალობის ნიადაგზე გადასვლა. სანამ ილია ჭავჭავაძის აზროვნების ამ ევოლიუ-

<sup>1)</sup> იხ. დავით ყიფიანის წერილი „საქართველოს მოამბეში“ № 4. გვ 109. 1863 წ.



ციას დაწვრილებით შევისწავლიდეთ ჩვენ აქ მოვიყვანოთ ერთ პატარა დოკუმენტს, როგორც საინტერესო დამამტკიცებელ ფაქტს იმის დასა-საბუთებლად, რომ 60-იან წლებში ილია ჭავჭავაძე რადიკალურად იყო განწყობილი. ამ უმად ილიას ხელთნაწერებში აღმოჩნდა პატარა წერილი სათაურით: **ჩვენი საზოგადოების ფიზიოლოგია**. ეს წერილი დაწერილი უნდა იყოს 1861-63 წლებში. აი რას სწერს ილია ჭავჭავაძე ამ წერილში:

„ძვიძე საცხოვრებელია ეს ჩვენი ქვეყანა გონიერი კაცისათვის, იმ კაცისათვის, რომელიც თავის თავის გარეთად სხვაზედაცა ფიქრობს, სხვაზედაცა ჰსწუხს. ის ჩვენში ფრთას ვერ გაშლის, სულს ვერ მოიბრუნებს. შევა დიდ-კაცის სახლში, თუ თითონ დიდი კაცია — პატივი აქვს. ე. ი. კანონიერად გაუღიმებენ, კანონიერად ხელს ჩამოართმევენ, თუ პატარა კაცია, მაშინ წელს გაუსინჯავენ, კარგად იგრიხება თუ არა, თუ გაჭირდა, თავს ისე დაუკრავს, რომ შუბლი მიწას დაჰკრას თუ არა; თავი მზეუჭვრიტისა აქვს თუ არა, როგორც მზეუჭვრიტე მზისკენ მიბრუნდება, ისე თავიც იმისკენ უნდა მიბრუნდეს, ვინც ორი თუ სამი სტრიქონით თავად აზნაურობის სიაში წინ არის მოხსენებული. ვინც ესე არ არის მოწყობილი და აგებული, ის იმათ ხელს არ მიჰსცემს, ის დიდ-კაცობა როგორც სხვაგან, ისე ჩვენში სწორედ კუბოა, რომელიც გარედან ხავერდით არის მოსილი და ბუზმენტებით გაბრწყინებული, მაგრამ ახსენით ის ბუზმენტები და ახადეთ თავი, შიგ ძვლების და სულის და ხორცის გახრწილების მეტს ვერას დაინახავთ. ისინი მართალია ცხოვრებენ და შურსა მიჰკვირან ხოლმე ღარიბსა, რომელიც ოფლით შობს ლუკმასა, მხესთვის ვერ შეუხედნია იმიტომ რომ თუ თავის საქმეს თვალი მთარიდა შიმშილით სული ამოუვა. მაგრამ ნუ გშურს, ღარიბო! შენი ძონძები, შენი ცრემლში ამომბალი ლუკმა, გამხმარი პური ირჩივი მათ ბრწყინვალეებასა. შენს ოფლით ჩამწვარ თვალეზზედ და მზე მოკიდებულ სახეზედ ის მაინცა ჩანს, რომ შენ მოცდა არა გქონია, რომ შენს კაცობაზე გეფიქრნა, გონება გაგეხსნა გული გაგეთბო; იმათ ეგეც არა აქვთ. იმათ მინის თვალეზში ეტყობათ, რომ მოცა-ლეობა... 1) (წერილი დაუმთავრებელია).

განა ეს ციტატა და ჩვენ მიერ ხაზგასმული სიტყვები არ ამტკიცებენ იმას, რომ ილია 60-იან წლებში არ იდგა თავად-აზნაურობის ნიადაგზე და რადიკალურ მოაზროვნე იყო? ვიმეორებთ, დღეს ამაში ეჭვის შეტანაც კი შეუძლებელია.

„საქართველოს მოამბის“ დაარსებით ილია ჭავჭავაძემ და თერგ-

1) იხ. ილია ჭავჭავაძის თხზულებანი, ტ. IV, გვ. 390—391. 1927 წ.



დალეულთა ჯგუფმა უდიდესი სამსახური გაუწიეს ქართულ საზოგადოებას, ახალ საზოგადოებრივ აზროვნებას. 1866 წლიდან იდეებისა და მიმდინარეობის გამგრძელებელი შეიქმნა ვაზ. „დროება“, რომელიც გ. წერეთლის რედაქტორობით დაარსდა. საერთოდ ბატონ-ყმობის მოსპობის შემდეგ (1864 წ.) ჩვენი აზროვნების გაცხოველება და აღორძინება ჩქარის ტემპით წავიდა წინ.

**3. სოციალისტური მიმდინარეობა.** რუსეთის სამოციან წლების ახალმა აზროვნებამ არა მარტო რადიკალურ-დემოკრატიულ მიმდინარეობას მისცა დასაწყისი, არამედ სოციალისტური იდეალებიც მისი დიდი გავლენით აღმოცენდა ჩვენში. როგორც თეორიულმა და პრინციპიალურმა ბრძოლამ, ისე დაწყებულმა საზოგადოებრივმა მოძრაობამ რუსეთში დიდი გავლენა მოახდინა ჩვენი ახალი თაობის ინტელიგენციის ზოგიერთ ფენებზე. ამ მხრივ აღსანიშნავია 1861 წ. სტუდენტთა მოძრაობა და არეულობა პეტერბურგში, რომელშიაც ქართველი სტუდენტებიც ლებულობდნენ მონაწილეობას. ასეთი გავლენის ქვეშ ჩვენში 60-იან წლებიდანვე ჩაისახა სოციალისტური იდეოლოგია, სოციალისტური აზროვნება. მაგრამ ერთი ნაწილი ამ სოციალისტურ მიმდინარეობისა ევროპის სოციალიზმის დებულებებს ეყრდნობოდა, მეორე კი—რუსული ნაროდნიკული სოციალიზმის აშკარა მიმდევარი იყო.

პირველის—ევროპიულ სოციალიზმის წარმომადგენელბად შეიძლება ჩაითვალოს: გრ. თარხან-მოურავი, მ. ქიქოძე და სხვები, ხოლო ნაროდნიკულ აზროვნებასთან 60-იან წლებში უახლოესი კავშირი ჰქონდა ნ. ნიკოლაძეს. მაგრამ შემდეგში ნიკოლაძე დასცილდა ნაროდნიკულ აზროვნებას და სცდილობდა ევროპის სოციალიზმის ნიადაგზე დამდგარიყო.

ამავე გზას ადგა ან. ფურცელაძეც. ამიტომ ეს მწერლები არიან ერთგვარი შემაერთებელნი ევროპისა და რუსეთის სოციალისტური სისტემების. დამთავრებული ნაროდნიკული მიმდინარეობა ჩვენში ჩამოყალიბდა 70-იან წლებში, როდესაც ახალი თაობის ინტელიგენციამ ნაროდნიკული პარტიაც დაარსა ჩვენში და რუსული მეთოდებით დაიწყო ბრძოლა. სხვა ნარკვევში ჩვენ ვრცლად ვიხილავთ, თუ 60-70 წლებში როგორ განვითარდა ჩვენში სოციალისტური აზროვნება და როგორ სახეს ლებულობდა იგი დროთა ვითარებაში; ჩვენ იქ დავეინახავთ, რომ მთელი რიგი ევროპიულად მომზადებული მწერლებისა სწერდნენ სოციალურ და მუშათა საკითხებზე, პირველს ინტერნაციონალსა და პარიზის კომუნაზე. აღსანიშნავი არის აგრეთვე შემდეგი ფაქტიც: როდესაც ჩვენში დაისვა ბატონ-



ყმურ ურთიერთობის მოსპობის საკითხი, ინტელიგენციის წინაშე მყისვე აღიმართა მწვავე პრობლემა: როგორი გზით უნდა განვითარდეს საქართველოს მომავალი? როგორ ფორმებში უნდა ჩამოყალიბდეს მისი ეკონომიური წყობილება და როგორი შინაარსი უნდა მიიღოს მან? უფრო კონკრეტულად რომ დავსვათ საკითხი, მისი შინაარსი შემდეგში გამოიხატებოდა: სასურველია თუ არა ჩვენში ევროპული წესწყობილების შემოღება, ვაჭრობა-მრეწველობის გაძლიერება, კაპიტალისტური ეკონომიკის განვითარება; თუ საქართველომ ახალი არაკაპიტალისტ. გზა უნდა დასძებნოს თავისი ახალი წყობილების მოსაწყობად? ინტელიგენციის ნაწილმა პირველი ხაზით მოინდომა თავისი პროგრამის შემუშავება და ამათ მათ აშკარად გამოამჟღავნეს თავიანთი ბურჟუაზიული მიდრეკილება. ასეთია მაგ. **გ. წერეთლის** პროგრამა <sup>1)</sup>. მაგრამ მეორე ნაწილმა კაპიტალიზმის განვითარება ჩვენში დამლუპველად აღიარა, „პროლეტარიატში ჩაცვდენა“ უდიდეს უბედურებად გამოაცხადა; ამ მიმდინარეობამ უარყო კაპიტალიზმის გზა და საქართველოს ასოციაციებისა და კოოპერაციების შექმნისაკენ მოუწოდა. ეს იყო მათის წარმოდგენით გზა კაპიტალისტური წყობილების საწინააღმდეგო და კოლექტიური-ამხანაგური. ეს ინტელიგენცია, აღზრდილი რუსეთის და ევროპის პოზიტიურ და რაციონალისტურ აზროვნებაზე, სავსებით დარწმუნებული იყო იმაში, რომ გონებისა და სწორი პროგრამის საშუალებით სავსებით შესაძლებელი არის კაპიტალიზმის გვერდის ახვევა და კოლექტიური მეურნეობის შექმნა, თუ ამას ისურვებს, მოინდომებს საქართველოს უმეტესობა. ამ ინტელიგენციას არ ესმოდა, რომ საზოგადოებას აქვს განვითარების თავისი კანონები, რომელთა გადალახვა და დაძლევა შეუძლებელი არის გონების საშუალებით. შეიარაღებული სუბიექტიური სოციოლოგიის დასკვნებით, ეს ინტელიგენცია გულმოდგინებით თხზავდა ახალი, ასოციაციების საფუძვლებზე მოწყობილ საქართველოს პროექტებს.

1) „პროლეტარულ მწერლობის“ მესამე ნომერში ამხ. რაჟდენ კალაძე სწერს: „... ამხ. სიმონ ხუნდაძესაც ჰგონია, რომ სამივე ზემოთ მოხსენებული „მოლვაწე“—ილია (ჭავჭავაძე), გიორგი (წერეთელი), ანტონი (ფურცელაძე)—ერთიანი „სოციალისტები“ არიან და თითქოს მათ შორის განსხვავება არ იყოს“ (გვ. 137). ეს გაუგებრობაა. უნდა მოვახსენოთ ამხ. რაჟდენს, რომ არავითარი ამის მსგავსი არსად არ მითქვამს და არც დამიწერია. ის, ჩემი წერილი, რომელზედაც ამხ. რ. კალაძე უთითებს, ერთი წუთითაც არ ამტკიცებს მას, რასაც მე მაწერს იგი. ჩემს წიგნაკში — „ქართველი ინტელიგენციის პრობლემა“ — მე უფრო ვრცლად განვიხილე ეს საკითხი და დაინტერესებულ მკითხველს შეუძლია ამ წიგნაკს მიმართოს.





ამრიგად ინტელიგენციამ ადვილად შეითვისა ევროპისა და რუსეთის სოციალისტური იდეოლოგია და ენერგიულად შეუდგა ამ აზროვნებისა და პროგრამების საქართველოში გადმონერგვას: ჩვენი საზოგადოებრივი აზროვნება უკვე 60-იან წლებიდან გამდიდრდა სოციალისტური მიმართულებითაც.

როგორც მკითხველი ხედავს დაახლოებით 60-იან წლებში ჩვენმა საზოგადოებრივმა აზროვნებამ ღრმა მნიშვნელობის დიფერენციაცია განიცადა: ძველ, რეაქციონურ თავად-აზნაურულ მიმდინარეობასთან ერთად ჩამოყალიბდა და ჩაისახა სამი ახალი მიმდინარეობაც: თავად-აზნაურული ლიბერალური, რადიკალურ-დემოკრატიული და სოციალისტური; ამით ჩვენი აზროვნების სფერო უფრო განაყოფიერდა და გამრავალფეროვანდა, ძველ დახავსებულ იდეოლოგიას დაუპირისპირდა აზროვნების ახალი ნაკადულები. ამიტომ არის, რომ 60-იანი წლები ჩვენი კულტურული აღორძინებისა და აყვავების ეპოქად უნდა ჩაითვალოს: საზოგადოებრივი აზროვნების დიფერენციაცია სწორედ აქედან იწყებს თავის სათავეს, შემდეგში იგი უფრო ღრმავდება, ფართოვდება და მრავალსახიანდება იმდენად, რამდენათაც ხდება დიფერენციაცია ჩვენი საზოგადოებრივი ცხოვრებისა, იმდენად, რამდენადაც სოციალური კლასები ერთმანეთს უფრო ნათლად და მკვეთრად უპირისპირდებიან.

ზემოაღნიშნულ მიმდინარეობებს აზროვნების სფეროში შემდეგ წერილში ჩვენ უფრო ვრცლად განვიხილავთ და უფრო დეტალურად გამოვარკვევთ მათ სოციალ-პოლიტიკურ პროგრამას. ამ წერილის დასასრულში კი ჩვენ წამოვყენებთ შემდეგს საინტერესო და საკითხის გასაშუქებლად აუცილებელ საკითხს:

რამ გამოიწვია ჩვენი საზოგადოებრივი აზროვნების ასეთი დიფერენციაცია 60-იან წლებში? სად უნდა ვეძიოთ ამის ძირეული მიზეზები?

ცნობილია, რომ მარქსისტული სოციოლოგია იდეოლოგიის სფეროში მომხდარ ცვლილებების ძირითად მიზეზებს ეძებს მატერიალურ პირობების მომხდარ ცვლილებებში: ჩვენთვის არ არის საკმარისი იმის აღნიშვნა, რომ 60-იან წლებში ასეთი და ასეთი ახალი მიმდინარეობანი წარმოიშვენ, საჭირო არის იმ მიზეზების გამოკვლევაც, რომლებმაც ეს ახალი მიმდინარეობანი გამოიწვიეს ცხოვრებაში. თუ იდეოლოგია ანარეკლია ეკონომიურ-სოციალური ცხოვრებისა, ცხადია ჩვენი ცხოვრების სიღრმეში რაღაც მნიშვნელოვანი ცვლილება მომხდარა, რაღაც ახალი ფაქტორები წარმოშობილან, რომელთაც გამოიწვიეს საზოგადოებრივ აზროვნებაშიაც ცვლილებე-



ბი, როდესაც ჩვენ ნათლად წარმოვიდგინებთ ჩვენი ცხოვრების სიღრმეში მომხდარ მატერიალურ პირობების ცვლილებებს, მაშინ უფრო სრულის სახითა და სისწორით დავაფასებთ საზოგადოებრივ მიმდინარეობებს. საკითხისადმი ისტორიულ-სოციოლოგიური მიდგომა აუცილებლად თხოულობს ეკონომიური და სოციალური პირობების ამა თუ იმ სახით გამორკვევას.

ჩვენ ვფიქრობთ, რომ 60-იან წლებში მომხდარ საზოგადოებრივ აზროვნების დიფერენციაციას ღრმა მნიშვნელობის ეკონომიური მიზეზები ედვა სარჩულად. რაში გამოიხატებოდა ეს მიზეზები?

ჩვენ მიერ განხილული ეპოქა განსაკუთრებით 1850-70 წლები გამოხატავს ძველი წყობილების რღვევისა და კაპიტალური წყობილების მშობიარობის პროცესებს. ეს არის ღრმა მნიშვნელობის გარდამავალი ეპოქა. ჩვენი გამორკვევით საქართველოში სავაჭრო კაპიტალის შემოჭრის მძლავრი ტალღა დაიწყო უკვე მე-XIX-ე საუკუნის პირველი ათეული წლებიდანვე; რუსეთი ჩვენში შემოვიდა, როგორც დამპყრობელი ძალა, რომელიც თავის სახელმწიფოებრივ-პოლიტიკურ წყობილებას აბსოლიუტურ მონარქიის საფუძვლებზედ აწყობდა. ამრიგად იგი სპობდა პარტიკულიარულ კარჩაკეტილობას და ანადგურებდა პოლიტიკური ფეოდალიზმის ნაშთებს. მაგრამ, მეორეს მხრით, იგივე რუსეთი სავაჭრო პოლიტიკით იყო დაინტერესებული და კაპიტალისტური ურთიერთობისაკენ მიისწრაფოდა. მე-XIX-ე საუკუნის პირველ ათეულ წლებიდანვე საქართველოში შემოიჭრა რუსეთის სავაჭრო კაპიტალი და ღრმა მნიშვნელობის ცვლილებები შეიტანა ბატონ-ყმობის წყობილებაში. მაგრამ თუ მე-XIX-ე საუკუნის პირველ ნახევარში ამიერ-კავკასიასა და საქართველოში საგრძნობლად განვითარდა ვაჭრობა, სავაჭრო კაპიტალი, მეორეს მხრივ, 50-60-იან წლებისათვის ჩვენში უკვე ჩაისახა **სამრეწველო კაპიტალიზმის ელემენტებიც**. ვაჭრობისა და კაპიტალის ტრიალმა საგრძნობი ადგილი დაიჭირა ერის ცხოვრებაში: ფული გადაიქცა ცხოვრების მთავარ ფაქტორად: ნატურალური მეურნეობის რღვევით ნიადაგი ეყრებოდა კაპიტალისტურ ურთიერთობასა და ეკონომიკას. აი ასეთი ახალი ფაქტორები შემოიჭრა ჩვენი ცხოვრების სიღრმეში;<sup>1)</sup> მართალია მას რადიკალური ცვლილება არ გამოუწვევია ჩვენში, მაგრამ მისი მნიშვნელობა მაინც საგრძნობი იყო. ჩვენი ცხოვრების მოწინავე წრეები ნათლად გრძნობდნენ, რომ საქართველო ახალ ეპოქაში შე-

<sup>1)</sup> ეს საკითხი უფრო ვრცლად განხილული მაქვს წიგნში: სოციალიზმის ისტორიისათვის საქართველოში. თავი პირველი: „ტომისა; ჩვენი ეკონომიკა მე-XIX-ე საუკუნის მეორე ნახევარში“. გვ. 33-60.



ვიდა, რომ დაიწყო სრულიად ახალი პერიოდი ეკონომიური ვითარებისა. მართლაც 40-50-60 წლებში ჩვენ მეტად მნიშვნელოვან მიდრეკილებას ვამჩნევთ ზოგიერთ ქართველ მემამულეთა ცხოვრებაში: ისინი შეუდგენ თავიანთი მამულების ევროპიული შინაარსით მოწყობას, ახალი მანქანებისა და იარაღების გამოწერას, ახალ კულტურულ მუშაობას სოფლად: მემამულეებს აღარ აკმაყოფილებთ ძველი წესი სასოფლო-მეურნეობისა და ევროპის ტექნიკის საშუალებით სცდილობენ თავიანთ მამულების გაუმჯობესებას<sup>1</sup>). რა იწვევს ასეთს მიდრეკილებას ქართველ მემამულეებში? რატომ ასე დაინტერესდნენ ქართველი ფეოდალები მიწის ნაყოფიერების გაუმჯობესებით? პასუხი ერთია: ფულის ტრიალის გამეფებამ და სავაჭრო ურთიერთობის გაფართოებამ ევროპასა და რუსეთთან დიდი გავლენა მოახდინა ჩვენი მემამულეების ნაწილზე და ისინის სავაჭრო ურთიერთობის გაფართოების მიზნით შეუდგენ კულტურულად მამულების დამუშავებას: თუთუნის, ბამბის, აბრეშუმის, ლენის და სხვა ნედლი მასალების მოყვანის გაფართოებას. ამ რიგად მოწინავე მემამულეებმა შეიგნეს ეპოქის ვითარება და მოთხოვნილება, გაიგეს ნათლად, რომ თანამედროვე პერიოდში შეუძლებელი არის ძველი წესითა და ადათებით ცხოვრება. რომ საჭირო არის ახალი გზების გამოძებნა. აი რას სწერდა **ალ. ორბელიანი** 1859 წელს ჟურნ. **ცისკარის** ფურცლებზე: „ზოგიერთს შემთხვევაში, ცოტად კიდევ გვიყვარს მამა-პაპურად ქცევა, იმათებურად ხელგაშლილი ცხოვრება და გულუხვობა, მაგრამ ეს კი აღარ ვიცით: **მაშინდელი დრო სხვა იყო და ახლანდელი დრო სხვა არის, მაშასადამე, დროს მიხედვით უნდა ვიქცეოდეთ უთუოდ**“<sup>2</sup>). თუ როგორ პროგრამას უდგენდა ალ. ორბელიანი თავად-აზნაურობას სამოღვაწოდ და სახელმძღვანელოდ, ამას შემდეგ წერილში გავაცნობ მკითხველს; ახლა მოუსმინოთ მეორე მემამულეს ცნობილ კ. მამაცაშვილს; 1862 წ. იგი სწერდა: „აშინდელი სოფლისა მოსახლკარობა (ესე იგი მეურნეობა. ს. ხ.), რომელიც იყო ჩვენთა წინაპართათვის იმათსა მდაბიურსა ცხოვრებაში; არ არს შესაფერისი ჩვენის დროის ცხოვრებისა. ჩვენი დრო არს ისრეთი, რომ ერთისა მდგომარეობილამ გადავდივართ მეორეში და თან დათან ვტოვებთ ყოველსა დაძველებულსა ჩვეულებასა; მაშასადამე ჩვენსა მოსახლკარეობასა, ვითარცა უმთავრესსა ღონისძიებასა

<sup>1</sup>) დაინტერესებულ მკითხველს საინტერესო მასალები შეუძლია იპოვოს 1861-1866 წლების გაზ. „გუთნის დედაში“.

<sup>2</sup>) ალ. ორბელიანი: ჩვენი საქართველოს საზოგადოება. ჟურნ. „ცისკარი“ № 10, გვ. 174, 1859 წ.



**ხალხის გამდიდრებისა, უნდა აქცნდეს ეგრეთვე თვისი პროგრესი (წინსვლა)...** არა ერთი გზით დავრწმუნდი, რომელ არამც თუ მცხატონენი, არამედ გლენიცა გამზადებულ არიან შემოიტანონ ხმარებაში ევროპიულნი გუთანნი, ფარცხნი, სალექი მაშინა და სხვანი იარაღნი სასოფლოისა მოსახლკარობისანი“<sup>1)</sup> (ხაზი ჩვენია ს. ხ.).

ამას სწერდენ ქართველი მემამულენი, რომელთაც თავისი ორგანო ჰქონდათ: გარდა ჟურნალ **ცისკარისა**, აგრეთვე **გუთნის დედა** რომელსაც ქვეშ აწერია: მამულის პატრონობისა და ვაჭრობის გაზეთი ამ ამონაწერებიდანაც ნათლად მტკიცდება, თუ როგორი სამეურნეო ეპოქა იყო ჩვენში შექმნილი 1850—60 წლებში, როგორი ახალი ფაქტები შემოიჭრენ ჩვენი ცხოვრების სიღრმეში.

ჩვენი ცხოვრების ეკონომიურმა ვითარებამ აღნიშნულ პერიოდში გარკვევითა და ნათლად წამოაყენა შემდეგი კარდინალური ხასიათის სამეურნეო ამოცანა: ნიადაგის მომზადება კაპიტალისტური ეკონომიკისა და ბურჟუაზიული ურთიერთობისათვის; როგორც სოფლად ისე ქალაქადაც შეიჭრა კაპიტალისტური ეკონომიკის ელემენტები და სრულიად ახალი სამეურნეო ამოცანები გამეფდა. ამ ეკონომიურ ფაქტორებს არ შეეძლო თავისი შესაფერისი გავლენა არ მოეხდინა ინტელიგენციასზედაც. ძველი, პატრიარქალური ცხოვრება და ნატურალური მეურნეობა დაირღვა ან დარღვევის პროცესში იმყოფებოდა, — საზოგადოებრივს ფონზე ახალი მნიშვნელობის ფაქტორები გამოჩნდნენ: ცხადია, ამ ახალ მოვლენებს თავისი შესაფერისი ცვლილებანიც უნდა გამოეწვია აზროვნებისა და იდეოლოგიურ სფეროში. ერთ ჩვენს ნარკვევში ამ საკითხის შესახებ ვწერთ: „ჩვენი ცხოვრების ეკონომიკის დენა კაპიტალისტური ფორმებისგან მოემართებოდა და, ცხადია, ეკონომიური ცხოვრების იმპულსები ძალაუვნებურად აღიზიანებენ ჩვენი ინტელიგენციის ცნობიერებასა და აზროვნებას. ინტელიგენცია არსებითად გრძნობდა ჩვენში კაპიტალისტური წყობილების მშობიარობის პროცესს და ამიტომ იძულებული იყო ამა თუ იმ სახით პასუხი გაეცა ამ მომენტისათვის“<sup>2)</sup>

როგორც მკითხველი ხედავს 60-ან წლებში ჩვენი საზოგადოებრივ აზროვნების სფეროში მომხდარ ცვლილებების ძირეულ მიზეზებს ჩვენ ვეძებთ ჩვენი ცხოვრების ეკონომიურ სფეროში მომხდარ ცვლილებებში, ახალ სამეურნეო ფაქტორების განვითარებაში. ინტელიგენციამ, როგორც განათლებისა და განვითარების მატარებელმა არსებითად ასახა ის, რაც ცხოვრების სიღრმეში ხდებოდა; ეკონომი-

<sup>1)</sup> კ. მამაცაშვილის წერილი „გუთნის დედაში“, № 6, 1862 წ.

<sup>2)</sup> იხ. „სოციალიზმის ისტორიისათვის საქართველოში“, ტომი I, გვ. 27.



ური ცხოვრების მიმდინარეობამ აამოძრავა მისი ცნობიერება, გააცხოველა მისი აზროვნება და გამოიყვანა იგი სქოლასტიურ აზროვნების სივიწროვიდან. უდავოა, რომ რუსეთის და ევროპის პროგრესიულმა აზროვნებამ დიდი გავლენა მოახდინა ჩვენს ინტელიგენციაზე, ასე ვსთქვათ დაეხმარა მას აზროვნების შემუშავებაში, მაგრამ ეს გავლენა უნაყოფო იქნებოდა, რომ ამისათვის ნიადაგი არ მომზადებულიყო ჩვენი ცხოვრების პირობებში: უცხო გავლენამ შესაფერისი გავლენა მოახდინა უკვე ზომზადებულ ნიადაგზე.

ამრიგად 60-იან წლების ჩვენი აზროვნების ღრმა მნიშვნელობის დიფერენციაციის ისტორიული და სოციოლოგიური მიზეზები ჩვენი ცხოვრების სამეურნეო ამოცანების ნიადაგიდან არიან აღმოცენებული. მაგრამ ისიც უდავოა, რომ ინტელიგენციის ყველა წრეები ერთნაირად არ გრძნობდნენ ამ ამოცანების მნიშვნელობას, ერთნაირად არ ესმოდათ მისი როლი საზოგადოებრივ ცხოვრებაში; ერთნაირი საზომით არ უყურებდნენ დაწყებულ ეკონომიურ პროცესებს; აქედან წარმოსდგა 60-იან წლების ჩვენი ინტელიგენციის პროგრამული სხვადასხვაობა. ერთი ნაწილი სცდილობდა თავად-აზნაურობის ინტერესების შეუღლებას, შერიგებას ახალ სამეურნეო ფორმებთან, თავად-აზნაურული წოდების გადარჩენას ახალ ეკონომიურ პირობების გამოყენებით,—აქედან წარმოსდგა **თავად-აზნაურული ლიბერალიზმი**; მეორე—რადიკალურ და დემოკრატიულ პროგრამით გამოვიდა, რაც არსებითად ავსებელი იყო ჯანსაღი **ბურჟუაზიული აზროვნების** შინაარსით, მესამე—ცდილობდა დაწყებულ ეკონომიურ პროცესისათვის მიეცა კოლექტიურ-ასოციაციური ხასიათი. ამ შემთხვევაში **სოციალისტური აზროვნების** სხვადასხვა ფრთები მეტყველებდნენ.

ზევით ჩვენ მოკლედ უკვე დავახასიათეთ ეს სამი მიმდინარეობა: შემდეგი ნარკვევების მიზანი იქნება აღნიშნულ მიმდინარეობათა უფრო ვრცელი დახასიათება.



ნიკო ასლამაზაშვილი. — „ნაძალადევის არწიენი“. სახელგამი. 1927 წ. ფასი 1 მან. 118 გვ.

ქართული პროლეტარული პროზა ჯერჯერობით სუსტია. ჯერ მხატვრულათ დაუძლეველია, მუშათა მოძრაობის როგორც წარსული ისე თანამედროეობა. ამ მხრივ **ნ. ასლამაზაშვილის** მუშაობა ნაყოფიერი და მნიშვნელოვანია. მისი შემოქმედების მასალა უმთავრესათ რევოლიუციონური წარსულია.

მოთხრობა „ნაძალადევის არწიენი“ ხატავს 1905 წ. შემდეგ, რეაქციის გაშლილი ტალღების სუსხს. აღებულია თბილისის მუშათა მოძრაობა, ნაძალადევი, როგორც ცენტრი; ავტორი რელიეფურათ იძლევა რევოლიუციონური მასის ბრძოლის ხალისს, ენერჯიას.

მხატვრული სიმარტივით აღნუსხულია მეფის ჯალათთა სიმხეცე, მუშა-რევოლიუციონერებით სავსე ციხეები, სახრჩობელა, მათრახები, გლოვის ზარი, — მეორეს მხრივ ბრძოლის ფონზე სჩანს მზადება აჯანყებისათვის, თავგანწირული მუშაობა. განსაკუთრებული დამაჯერებლობით გადმოშლილია ამ მუშაობის მტკიცე კოლექტივისტური სული, — მარტივ, მაგრამ უძლიერეს ფორმულაში „ერთისთვის — ათასი“. მოთხრობაში მოცემულია არსენა ჯორჯიაშვილის სახე მთელი თავისი გმირული თავდადების შარავანდედით.

მოთხრობა „ოცდა ხუთი თებერვალი“ წარმოადგენს საქართველოს გასაბჭოების ხანის მხატვრულ ასახვას. აქ კლასიური ალლოთი ათვისებული აქვს ავტორს, იმდროინდელი ატმოსფერის სიმძიმე და სხვადასხვაობა. ხალხის ერთი ფენის უმეცრება და ნიადაგ შერყეულ ხელისუფლების მიერ გავრცელებულ პროვოკაციის, ჭორების და წითლებისადმი დანერგილ შიშის გავლენაში მოქცევა. შეგნებულთა რევოლიუციის სადარაჯოზე დგომა. გასაბჭოება და უსაფუძვლო შიშის გაქარწყლება.

„წითელი დროშა ფრიალებს“ — ში ნ. ასლამაზაშვილი, გვაძლევს მებრძოლი რევოლიუციონერის მოქმედების ყველა საფეხურებს; დაწყებული იმ ხანიდან, როდესაც პირველად გაეცნო მუშათა მოძრაობას, რომელშიაც ორგანიულათ ჩაბმის გამო, მოუხდა იძულებით სტუმრებოდა ციმბირს; შემდეგ რევოლიუცია და ისევ თბილისი.

ნ. ასლამაზაშვილის თითქმის ყველა წარმოდგენილი მოთხრობები ეხებიან არალეგალურ მუშაობის პერიოდს, და შემდეგ რევოლიუციის გამარჯვების პირველ ხანას.

ავტორი ხასიათდება მხატვრული სისავსით და გადმოსაცემ ფერების რელიეფურობით.

ნ. ასლამაზაშვილი, ძლიერი ოსტატობით ფლობს ქართულ ენას. ის დახვეწილია და რაც მთავარია თავის ლიტერატურულ ღირებუ-



ლებასთან ერთად მისაწვდომი და გასაგებია მასის ყველა ფენებისათვის. ნ. ასლამაზაშვილისთვის უარყოფითად მხოლოდ ჩაბნელებას, რომ ამბის განვითარებაშია ც მეტად მარტივია. არა აქვს სირთულე სიუჟეტის, როგორც კვანძის ისე მისი გაშლის. ავტორს მოთხრობებში არა აქვს მეორე ხარისხოვანი მხარეები, ე. წ. წვრილმანები, რაც ორგანიული ნაწილია მოთხრობის. საერთოდ ნ. ასლამაზაშვილი, როგორც მწერალი საკმაოდ გამომქვავებულია და ძლიერია. არის სრული მონაცემები, რომ მომავალ განვითარებაში, მწერლის შემოქმედება მეტი მხატვრული სისასებით და მრავალფეროვანებით გადაიშლება. წიგნი გამოცემულია ლამაზად და დართული აქვს პ. ქიქოძის წინასიტყვაობა.

ბ—ძე.

პეტრე ქუთათელაძე (სამსონიძე).— ლექსები. სახელგამი. 1927 წ. გვ. 184. ფასი 1 მან. 50 კ.

**პ. სამსონიძე** ქართული პროლეტარული პოეზიის ერთი პიონერთაგანია. მისი შემოქმედების სახე ანარეკლია რევოლიუციამდე და რევოლიუციის შემდგომი ვითარებისა. პოეტის შემოქმედების შინაარსი იყოფა სამ ციკლათ: ჩემი წარსული, ცეცხლის ხმები და ცეცხლის ხმების შემდეგ. პოეტის პირველი ციკლის ლექსებში შესამჩნევია სევდის ნაკადი.

პირველი ლექსი „ჩემს გულს“, რომელიც 1914 წლის თარიღით არის აღნიშნული, იძლევა პოეტის სოციალურ სარჩულს და რევოლიუციონურ პერსპექტივას:

„მე დავილაღე.. დავიქანცე.. ოჰ, აღარ მძინავს...

ქვეყნის სიმუხთლემ ნორჩსა გულსა გაჰკრა კლანჭები...

..მაგრამ ეჰ! გულო! ნუ შედრკები, ნუ, ნუ, გამაგრდი..

..რა უყოთ, რომ ჩვენ ბრძოლის ველზე ერთხელ დავმარცხდით?!

„ჩვენ კვლავ შევიძლებთ საბრძოლველათ ხმის ამოღებას და თავისუფლების დროშის ცაში აფრიალებას“.

ამ პერიოდის ლექსებში არის კაპიტულიანტური ხაზიც, ბრძოლის მოტივის ერთგვარი შენელება და ჰუმანიურ-ეროტიული ელემენტი. მაგრამ პოეტის „ცეცხლის ხმების“ ციკლი გამართულია რევოლიუციის ენტუზიაზმით, გამარჯვებულ—მუშათა კლასის აღტაცებით, საბჭოთა საქართველოს ხეიმით. აქ პ. სამსონიძისთვის დამახასიათებელია რევოლიუციისადმი კოსმიური—რომანტიული მიდგომა, რომელიც პროლეტარულ მწერლობის ამ თაობას საერთოდ ახასიათებდა. მართალია, პოეტი რევოლიუციას სტიქიურათ იძლევა, მაგრამ რევოლიუციის განვითარების გეგმიანობის შეგრძნებაც აქვს:

„ავამოძრავოთ დიდი ქარხნები,

თვით ცის თაღები გაფხვიოთ ბოლოში





დავლაროთ მხარე სარწყავ არხებით,  
 მზე დავაფრქვიოთ საქართველოში“.

„მე ერთი ვარ — მაგრამ მასსა ვარ“, ასეთია პოეტის პოეტური შეგნება. ამ ციკლის ლექსებში ძლიერი პოეტური ენერგიით არის დაწერილი „ცეცხლის პოეტი“.

პოეტის შემოქმედება უმთავრესათ ქალაქის ფონზე იშლება. მთავარი კი, რაც ნიშნეულია პ. სამსონიძის ლექსების წიგნში, ეს არის ოქტომბრის რევოლიუციის ორგანიული განცდა, მისი დიალექტიური განვითარების პოეტური ექვივალენტის მოცემით. პოეტი უშუალო მონაწილე იყო რევოლიუციონურ ბრძოლების. ამიტომ მის ლექსებში არის მხატვრული დამაჯერებლობა.

თემატიურათ სამსონიძე, წარმოდგენილ წიგნში, ხასიათდება ზოგადობით. უფრო კონკრეტულ ხედვას ის პროზაში ამჟღავნებს. ლექსის ტენზიკაში უსათუოთ აქვს სუსტი მხარე, დაუმუშავებლობა, რომლის გამო ზოგიერთ ლექსებში ინტენსიური პოეტური განცდა ირღვევა.

წიგნში არის ავტორის წინასიტყვაობა და ვ. ლუარსაბიძის ავტორის შემოქმედების კრიტიკული განხილვა. კრიტიკული წერილი ობიექტივობით და ავტორის შემოქმედების სრული გარკვევით არის მოცემული.

გამოცემა კარგია.

ზ — ძე.

**სანდრო ეული.** — „ახალგაზრდა საქართველო“. 1927 წ. გამოცემა საქ. პროლეტარულ მწერალთა ასოციაციის. 50 გვ. ფასი 40 კ.

წიგნაკი, ავტორის მიერ მიძღვნილია საქ. გასაბჭოების ექვსი წლის თავს და საქ. საბჭოთა მეოთხე ყრილობას. ს. ეულის შემოქმედება, ორგანიულათ გადანასკვულია ჩვენს თანამედროვეობასთან. წლიური კალენდრის რევოლიუციონური თარიღები მასში აღტაცებასა და ემოციებს იწვევენ. ახალი საზოგადოებრივობის ყოველი მიღწევა, მისი შემოქმედების უშრეტელი წყაროა. ამ წიგნაკში, მოთავსებული ლექსები, ეულის სწრაფვის ილიუსტრაციაა. პირველი ლექსით პოეტის ათვისების სპექტრში მოცემულია ქართული ოქტომბრის სახე.

მუშათა და გლეხთა საბჭოების ყრილობები, პროლეტარული პოეტისათვის დროშაა, სოციალისტურ აღმშენებლობის, რომელსაც მხნედ ატარებენ ჩვენი ბელადები. ეულის შემოქმედების მასალას, ორგანიულათ აესებს საბჭოების და მისი ხელმძღვანელების მუშაობა. აღნიშნულ წიგნში წარმოდგენილია ვრცელი პოემა „ზაჰეს“. საერთოდ ეული ხასიათდება აღმშენებლობითი თემებით. „ზაჰესი“ ისტორიულ დაპირდაპირებებს წარმოადგენს; იმ ადგილას სადაც არმაზს აშენებდნენ დღეს თეთრი ნახშირის ქალაქი შენდება, მეფე შრომაა და მისი ნა-



ყოფი ზაჰესს. ს. ეულის, როგორც პერსპექტივის მქონე პროლეტარული პოეტისთვის, — აღმშენებლობითი პროცესი მატარებულად გარკვეულ მიზნების; საბჭოეთის სოციალისტურ მშენებლობას პოეტი უკავშირებს აღმოსავლეთის რევოლიუციონურ მოძრაობას.

„ისმინე ზაჰეს, რომ აღმოსავლეთს აწვდიდე ნათელს და მხურვალებას, რომ ტურბინები დაგვედგას ჩინეთს, და ასრულებდენ შენს დავალებას“.

ს. ეულის მსოფლმხედველობა, მთლიანი — პროლეტარულია. წიგნში წარმოდგენილ ლექსში „ფიქრები საქართველოზე“ ის ახდენს გადაფასებას, სამშობლოზე „მტირალ“ პოეტების ფიქრებისას, რომელთა მდგომარეობას პოეტი ხაზს უსვამს.

პოეტის ლექსიკონში საკმაოდ ხშირია არქაიული სიტყვები და თერმინები, რაც უარყოფითია. წიგნი ლამაზათ არის გამოცემული.


ი. კ.

„ქართული მწერლობა“ № 2. — სრულ. საქართველოს მწერალთა კავშირის ყოველთვიური ჟურნალი. თებერვალი. 1927 წ.

„ქართული მწერლობა“ მწერალთა კავშირის ორგანოა, სადაც მონაწილეობას იღებენ კავშირში შემავალი ყველა დაჯგუფებანი და დაჯგუფებათა გარეშე მდგომი მწერლები. ჟურნალში წარმოდგენილია: პოეზია, პროზა, წერილები, ეთნოგრაფიული მასალები და ბიბლიოგრაფია. ჟურნალში დამახასიათებელია განწყობილების ერთი რიგი: „ისეთი ლექსი დავწერო მინდა, რომ არ დამჭირდეს კიდეც ცხოვრება“ (ვ. ვაფრინდაშვილი), „უბრალოთ ვკვდებით მეარღნეები და პოეტები, მაგრამ ჩვენ ალბათ თავის მოკვლაც გვეპატიება“ (ტ. ტაბიძე). და სხვ. ეს იგივე დაცემულობის ხაზის გაგრძელებაა, რომელიც წარსულ ნომრებში ბლომათ იყო გაბნეული. აქ აშკარაა დავარდნა და „მებრძოლი პესიმიზმის“ გაღრმავება, რასაც ალბათ ხასიათის გაფუჭების მოვალეობა აქვს დაკისრებული. ი. გრიშაშვილის ლექსში „გენიოსების ბედი ტფილისის ბაზარზე“ თემა გაკეთებულია ბუტაფორიულათ, რადგან გასაყიდათ გამოტანილი ძველი გამოცემები თუ კი ბაზარს შოულობს, ამის გამო ავტორის „ლოყების აწვა“ უმოტივოა ვ. რუხაძის „სილამაზის სამყაროში“, იმერეთის ეგზოტიკის ფონის ბოლოთ რევოლიუციით ნაწყენობა ლექსს ყელგამოჭრილ მდგომარეობაში აყენებს.

კ. ნადირაძის „ზამთარი“ სენტიმენტალური ლირიკის ნიმუშია, სადაც ავტორი ტრაგიულ გადაწყვეტილებამდისაც კი მიდის: — „მინდა რომ ერთხელ უკანასკნელათ, ჩემ თავს ბებუთით მოვეალერსო“. კ. ნადირაძე ძლიერი პოტენციის პოეტი, მაგრამ მთლიანათ დაცემულობის და „რომანტიული ქავილის“ რკალში არის მოქცეული.





ვ. გორგაძე გარკვეულათ თანამგზავრულ მწერლობის ფრთაში ჩაითვლება. ამას ამტკიცებს აქ მოთავსებულ ლექსების თანდროშულ განწყობილება. ჟურნალში დაბეჭდილია აგრეთვე რ. გვეტაძის, გ. ცეცხლაძის, გ. ლეონიძის, იასამანის და ა. ყანჩელის ლექსები, ჩვეუ-  
ლი ნეიტრალური განწყობილების ხაზით.

პროლეტარულ მწერლობიდან ამ ნომერში დაბეჭდილი არიან: ი. ვაკელი, კ. კალაძე და კონსტ. ლორთქიფანიძე. ი. ვაკელის „ბოლნისის გზაზე“ დაწერილია ქართული კოლორიტის დაცვით. მაგრამ მისი პროლეტარულ-კლასიური ხედვა რამოდენათმე მკრთა-  
ლია. კ. კალაძის ლექსი „შუბის ტარამდე დასული მზე“ სახვითი ექსპერიმენტია. კონსტ. ლორთქიფანიძის „მე და ღამე“ იძლევა ჯან-  
სალ ლირიკულ ემოციას:

„როს განთიადი გამარჯვებულ კომუნარივით,  
გადმოიჭრება კლდეებიდან სხივთა ციმციმით..  
სხივებრ მომსკდარი სიხარული გულს გადამივლის,  
და ქმყოფილი დღის შეხვედრით ჩუმათ ვიციანი“.

პროზის განყოფილება „ქართული მწერლობის“ ბოლო ნომრებ-  
ში გაღარბდა. ამ ნომერში მოთავსებულია ს. კლდიაშვილის მო-  
თხრობის ნაწყვეტი „მარტია“. აგრეთვე არის დ. მესხის მოთხრობა  
„ომის მსხვერპლები“, მოთხრობა საინტერესო ფაბულაზე არის აგე-  
ბული, მაგრამ სიუჟეტური გაშლა და გადაბმა მოისუსტებს. მოთხრო-  
ბა რეალისტური მანერით არის დაწერილი.

წერილებს შორის არის ბეს. ჟღენტის „1926 წელი ქართულ  
ლიტერატურაში“. ავტორის „თვალსაზრისის შესახებ“ უნდა ითქვას,  
რომ მას ჯერჯერობით ვერ შეუმუშავებია პრინციპიალური თვალ-  
საზრისი ლიტერატურის შესახებ. წერილი წინააღმდეგობებით არის  
სავსე: მაგ. „თანამედროობის პრობლემა, ტერმინის პირდაპირი მნი-  
შვნელობით, მხატვრული შემოქმედების მიმართ არც შეიძლება არსე-  
ბობდეს“ მერე: „ვიმეორებ, რიხარდ ვაგნერის თქმას, რომ ქეშმა-  
რიტი ხელოვნება მხოლოდ სოციალურ მოძრაობის მხრებზე შეიძლე-  
ბა ამაღლდეს“. ჟღენტი ელემენტარულადაც ვერ ერკვევა იმ ფაქტ-  
ში, რომ თანამედროობის ცნება საზღვრების წაშლას არ გულის-  
ხმობს, ისე, როგორც ეს მას წარმოუდგენია, „თანამედროობა  
არის ლოგიური კანონი ყოველი მხატვრული ფაქტისათვის“-ო. ასე  
რომ ვიმსჯელოთ, მაშინ თვალები უნდა დაგხუტოთ თანამე-  
დროობის ყოველ პროგრესიულ მოვლენაზე, მუშათა კლასის სოცია-  
ლურ მოძრაობაზეც და მხატვრული ლიტერატურის ფრონტზე არ-  
სებულ კლასობრივი ბრძოლის ფაქტზეც.

ჟღენტი მხოლოდ „ხელოვნების საკუთარი კანონების თვალსა-  
ზრისით მიდგომას“ ემყარება, მაგრამ აქაც მისი დილეტანტური მარა-  
გი ვერ არკვევს „მემარცხენე პოეტიკის“ საკითხებს. მაგ. ის  
სწერს: „ლიტერატურის განვითარება სიუჟეტის ევოლიუციით არ გა-  
ნისაზღვრება“-ო. ჟღენტი ფაბულასა და სიუჟეტს ერთმანეთისაგან  
ვერ არჩევს. მისთვის ფაბულა სიუჟეტთან არის გაიგივებული, მაშინ  
როდესაც ფაბულა (ამბავი მხატვრული ფაქტის მასალის კათეგო-

რიაში თ. მიხაილ მხატვრული სიუჟეტი კი ფაბულის გაშლის მხატვრული ხს. ასე რომ ულენტი თვით „ფორმალურ ანალიზშიაც“ უცოდინარობას ამჟღავნებს.

ამის გამო „1926 წლის ლიტერატურის შეფასება“ ყოველგვარ საზომს მოკლებულია. ვითომდა მემარცხენე კრიტიკოსი „ცისფერი ყანწების“ პოეტების დეკადენტურ გემოვნებას სიმპატიურათ ეკიდება. „თავისი ჯგუფის“ პოეტების მიმართ („ფუტურისტები“) ჰიპერბოლიური ფრაზების გარდა არაფერს არკვევს. პროლეტარულ ლიტერატურის მიმართ წერილში შეგნებულ გადამახინჯებას და გაურკვევლობას აქვს ადგილი.

საერთოთ წერილი მოკლებულია სისტემას და ფამილიარული ტონით არის დაწერილი.

ჟურნალში, აგრეთვე მოთავსებულია ს. გორგაძის „სალიტერატურო შენიშვნები“ და ვინმე ვ. ჯაფარიძის წერილი „ჯაყოს ხიხნების“ შესახებ.

დ. რ.



## შ ი ნ ა ა რ ს ი

### მხატვრული ლიტერატურა:

(ავტორები ანბანზე).

გვერ.

კონსტანტინე ლორთქიფანიძე—მესამე გზა . . . . .	5
ი. ეგრისელი—ნარვალები . . . . .	35
სანდრო ეული—ამბები წარსულიდან . . . . .	62
იონა ვაკელი—ზაჰესს . . . . .	64
ალიო მაშაშვილი—ძველი მაზარა . . . . .	70
ფრიდონ ნაროუშვილი—გამფლანგველი . . . . .	72
პეტრე ქუთათელაძე (სამსონიძე)—გულის პასუხები . . . . .	74
კალე ფეოდოსიშვილი—ლექსები ჩინეთზე . . . . .	76
ი. ხოშტარია—ზაჰესის მსხვერპლი . . . . .	79
ს. ჯავშანიძე—არალეგალური სასტუმრო . . . . .	80

### თეორია და კრიტიკა:

ბენიტო ბუაჩიძე—საბავშო ლიტერატურის საკითხი . . . . .	107
რაჟდენ კალაძე—ქართული ლიტერატურის იდეოლოგიური გან- ვითარება . . . . .	110
დავით რონდელი—პარალელური შენიშვნები . . . . .	121
სიმონ ხუნდაძე—ნარკვევები ქართული აზროვნების ევოლიუ- ციიდან . . . . .	126

### ბიბლიოგრაფია:

ბ—ძე—ნ. ასლამაზაშვილი . . . . .	140
ზ—ძე—პ. ქუთათელაძე (სამსონიძე) . . . . .	141
ი. კ.—ს. ეული . . . . .	142
დ. რ. — „ქართული მწერლობა“ № 2 . . . . .	143



- 8) მიხაილოვი — „სპარტაკი“. შ. შეწირულის თარგმანი 300 გვ.
  - 9) ლ. გუმილევსკი — „ხარიტა“ (ფანტასტიური რომანი) 300 გვ.
- ფ. 1 მან.

**სახელმძღვანელოები:**

- 1) ერტი — „სახალხო შრომის სკოლა და შრომის დასაბამი“. ი. გომელაურის თარგმანი. 505 გვ. ფასი 15 კაპ.
- 2) ზ. ყანჩაველი — „ბოტანიკა“ პირველი ნაწილი. უმაღლეს სასწავლებლის სახელმძღვანელო. 367 გვ. ფასი 8 მან.
- 3) ა. ჯავახიშვილი — „გეოგრაფიის სავარჯიშო რვეული“. 32 გვ. ფ. 75 კ.
- 4) „ანატომია, ფიზიოლოგია და ჰიგიენა“. გრ. ასათიანის მიერ გადმოკეთებული იზმაილოვ-ცვენსკიდან. 257 გვ. ფასი 1 მ. 80 კაპ.

**სამხედრო ბიბლიოთეკა — „საბჭოთა ქავშირის სადარაჯოზი“:**

- 1) გედევანიშვილი — „თანამედროვე მდგომარეობა ჩინეთში“. 52 გვ. ფასი 40 კაპ.
- 2) ალექსანდრე გორგაძე — „საქართველოს მე XVIII საუკუნის სამხედრო ისტორიის მასალები“. 64 გვ. ფ. 50 კ.

**იხვედება და მოკლე ხანში გამოვა**

**მხატვრული ლიტერატურა:**

- 1. ნიკოლოზ ლომაური — მოთხრობები.
- 2. დავით კლდიაშვილი — ტომი მეორე — მოთხრობები.
- 3. გიოტე — „ფაუსტი“. დ. ონიაშვილის თარგმანი.
- 4. გიორგი წერეთელი — თხზულებანი.
- 5. სევასტი თალაკვაძე — „ბრძოლის დიდ გზაზე“ — (რომანი).
- 6. იროდიონ ევდოშვილი — საბავშვო მოთხრობები და ლექსები.
- 7. კონსტანტინე ლორთქიფანიძე — „ლიმილი“ (ლექსები).
- 8. კარლო კალაძე — „რჩეული ლექსები“.
- 9. იოსებ დავითაშვილი — ლექსები.
- 10. ჯელილ-მაჰმედ-კული-ზადე — „მიცვალებულნი“. თარგმანი ოსმალორიდან მაჰმედ აბაშიძის.
- 11. შ. არაგვისპირელი — რჩეული ნაწერები.



## პოლიტიკური ლიტერატურა:

1. პოპოვი — „საკავშირო კომპარტიის ისტორიის ნარკვევი“.
2. ლენინი და ახალგაზრდობა — (კრებული).
3. ა. მალფერი — „მეცნიერება და რელიგია“.
4. დ. თოფურაძე — „ფული და ფულის პრობლემა“.
5. ლენინი — „ტროცკისა და ტროცკიზმის შესახებ“.
6. მოსე გოგიბერიძე — „მატერიალიზმის ისტორია“ (ქრესტო-მატია).
7. სიმონ ხუნდაძე — „სოციალიზმის ისტორია საქართველოში“.

## სახელმძღვანელოები:

1. პოპედინსკი — „მეანობის სახელმძღვანელო“. პრაფ. თიკა-ნაძის თარგმანი.
2. მ. ფარცვანიძე — „ვეტერინარიის საფუძვლები“.
3. ი. ქავთარაძე — „ახალგაზრდა ბუნებისმეტყველის თანამგზავ-რი“.
4. Канделаки и Мгеладзе — „Труд и знание“
5. ი. ბერიტაშვილი — „ზოგადი ფიზიოლოგია“
6. ნიკოლაიშვილი — „გრამატიკა“
7. ხარაბაძე, დევიძე და ლორთქიფანიძე — „მათემატიკური ამოცანები“.
8. პრაფ. დიდებულისძე — „ელექტრო-ტექნიკის მათემატიკური საფუძვლები“.
9. პრაფ. გოგიტიძე — „ბავშვის კვება“.
10. ექ. ლოდობერიძე — „ოპერატიული შენობა“.
11. პრაფ. პაილი — „ფსიქოლოგიის გამოყენება სწავლების დროს“.
12. ი. რუბინი — „ეკონომიურ მოძღვრებათა ისტორია“.
13. გომელაური და ხუროძე — „სხივი“ (ლიტერატურული ქრესტომატია სკოლებისათვის).
14. ე. გაბლიანი — „თავისუფალი სვანეთი“ — მეორე გამოცემა.
15. თაბუკაშვილი — „სასვენი ნიშნების ხმარება“.



ამ ნომერში, კონსტანტინე ლორთქიფანიძის მოთხრობაში — „მესამე გზა“ — მე-34 გვერდზე, ბოლო აბზაცში შეცდომით დაიბეჭდა:

არის — აქ დაბრუნებისას კაბინეტში გამოვიხედე ხალათი გავაფინე და მის ორივე ბეჭებზე. . . .

უნდა იყვეს — აქ დაბრუნებისას კაბინეტში გამოვიხმე, ხალათი გავხადე და მის ორივე ბეჭებზე. . . .

---

ჟურნალ „პროლეტარულ მწერლობის“ № მე-3-ში, რაჟდენ კლადის წერილში — ანტონ ფურცელაძე — 137 — გვერდზე, ოთხი სტრიქონის შემდეგ, სიტყვების: თ ი თ ქ ო ს მ ა თ შ ო რ ი ს გ ა ნ - ს ხ ვ ა ვ ე ბ ა ა რ ი ყ ო ს, აკლია შემდეგი:

აქ საჭიროა გარკვეულათ ითქვას, თუ რომელ ამ „მოღვაწეთაგანს“ რა როლი აკისრა ისტორიამ და როგორ შეასრულა ის.

ქართველი 60-იანები, „ნაროდნიკობას და სოციალისტობას“ თანაუგრძნობდნენ, მაგრამ ისინი, როგორც დაჩაგრული ერის შვილები, ეროვნულ ტენდენციას და საკითხს წინ აყენებდნენ, აქ მათ შორის, გარდა ნიკო ნიკოლაძისა, განსხვავება თითქმის არ არსებობდა. თითქმის, ვამბობ იმიტომ, რომ აქაც, ამ საკითხშიაც ანტონ ფურცელაძეს განსაკუთრებული პოზიცია — დემოკრატიულ-რევოლიუციური — ჰქონდა დაკავებული.

რაც შეეხება დანარჩენ ორ ტენდენციას — კაპიტალიზმისა და სოციალიზმისა — უნდა გადაჭრით ითქვას, რომ ნამდვილად ნაროდნიკულსა და სოციალისტურ პოზიციაზე მათ შორის (ჩემ მიერ დასახელებულ სამ სამაგალითო „მოღვაწეთა“ შორის) მტკიცეთ და შეუწყველათ იდგა მხოლოდ ანტონ ფურცელაძე.

მაშ მან იკისრა: 1. ეროვნულ იდეის დემოკრატიული-რევოლიუციური სახით განმტკიცება; მანვე იკისრა: 2. ნაროდნიკული და სოციალისტური იდეების გავრცელება.

მისი როლი ორმაგი როლი იყო — ნაციონალ-სოციალისტური და თუ ეს როლი დღეს ნოე ჟორდანიას და სხვების სახით არა ბუნებრივად, „კონტრ-რევოლიუციურად“ და „ნაციონალ-შოვინისტობათ“ გვეხატება, წარსულის, 60—70-იან წლების შესახებ ამას ვერ ვიტყვით.





## სახელმწიფო გამომცემლობა

გამოვიდა და იყიდება სახელგამის ყველა მალაზიებში შემდეგი ახალი წიგნები.

### მხატვრული ლიტერატურა:

1. აკაკი წერეთელი—ტომი მესამე—პიესები—405 გვ. ფ. 3 მ.
2. დიმიტრი ფურმანოვი—„წითელი დესანტი“ (მოთხრობა) თარგმანი შ. დადიანის. 49 გვ. ფასი 30 კაპ.
3. პაოლო იაშვილი—„ფერადი ბუმტები“ (ფანტასტიური ამბავი) 25 გვ. ფასი 30 კაპ.
4. რაჟდენ კალაძე—„ე. ნინოშვილის ბიბლიოგრაფია“ 187 გვ. ფასი 1 მან.
5. ალიო მაშაშვილი—ლექსები პ. ქიქოძის წინასიტყვაობით. 168 გვ. ფასი 1 მან. 20 კ.
6. ელიზბარ პოლუმორდვინოვი—„მოთხრობები“ ფ. 1 მ.
7. პეტრე სამსონიძე—ლექსები ვ. ლუარსაშიძის წინასიტყვაობით. 179 გვ. ფ. 1 მ. 50. კ.
8. იაკინთე ლისაშვილი—ლექსები ს. თოდრიას წინასიტყვაობით. 169 გვ. ფ. 1 მ. 40 კ.
9. ს. ტარასოვ-როდიონოვი—„შოკოლადი“ ე. ლოლობერიძის თარგმანი. 120 გვ. ფ. 70 კ.
10. ნიკო ასლამაზაშვილი—„ნაძალადევის არწივნი“—მოთხრობები პ. ქიქოძის წინასიტყვაობით. 118 გვ. ფ. 1 მ.
11. ი. ლიბედინსკი—„შვიდი დღე“ (მოთხრობა) ნ. ბუხარინის წინასიტყვაობით, ვ. გორგაძის თარგმ. 172 გვ. ფ. 70 კ.
12. ტ. რამიშვილი—პიესები 227 გვ. ფ. 1 მ. 50 კ.
13. კონსტანტინე ლორთქიფანიძე—„ხავსი“ (რომანი) ფ. 1 მ.
14. გალაქტიონ ტაბიძე—ლესქები. 542 გვ. ფასი 5 მან.
15. შაქრო ნავთლუღელი—ლექსები 126 გვ. ფ. 1 მ.
16. სანდრო შანშიაშვილი—დრამები. 421 გვ. ფ. 3 მ.



1. ნ. ბუხარინი — „საბჭოთა კავშირის საერთაშორისო და საშინაო მდგომარეობა“. 214 გვ. ფ. 1 მ. 20 კ.
2. ვ. მოლოტოვი — „მე XV პარტკონფერენციის შედეგები“. 89 გვ. ფ. 50 კ.
3. ი. ფანცხავა — „სამეცნიერო წერილები“. 89 გვ. ფ. 70 კ.
4. ვ. გიგინეიშვილი — „ამინდი საქართველოში“. 37 გვ. ფ. 70 კ.
5. კ. ორაგველიძე — «საქართველოს მენშევიკების აგრარული „რეფორმა“» 94 გვ. ფ. 50 კ.
6. შ. ლეჟავა — „მოგონებანი“ 32 გვ. ფ. 12 კ.
7. კ. ორაგველიძე — „ნამდვილი და ყალბი მარქსიზმი“. 202 გვ. ფ. 1 მ. 50 კ.
8. ედ. შეიერი — „ძველი ქვეყნების ეკონომიური განვითარება“
9. მ. ჩოდრიშვილი — „ჩემი თავგადასავალი“ (მოგონებანი).
- მ. ცხაკაიას და ფ. მახარაძის წინასიტყვაობით. 182 გვ. ფ. 1 მ. 20 კ.
10. პ. საყვარელიძე — „კაპიტალისტურ ჯოჯოხეთში“. (რემედისის შესახებ). 59 გვ. ფ. 1 მ. 25 კ.
11. ნ. ბუხარინი — „კაპიტალისტური სტაბილიზაცია და პროლეტარული რევოლუცია“. 117 გვ. ფ. 50 კ.
12. ვ. მილჩაკოვი — „კომკავშირის ბრძოლა კულტურულ ყოფაცხოვრებისათვის“. ვ. ძიგრაშვილის თარგმანი. 84 გვ. ფ. 50 კ.

საბავშვო ლიტერატურა:

- 1) შიო მღვიმელი — „მერცხლები“. (ლექსები) 94 გვ. ფასი 50 კ.
- 2) იოსებ მჭედლიშვილი — „საბავშვო ლექსები და მოთხრობები“ 183 გვ. ფასი 1 მ.
- 3) დ. ჰარგული — „განახლებული დედა-მიწა“. 295 გვ. ფასი 1 მ. 20 კაპ.
- 4) სვენ გედინი — „დალუპის პირად“. 65 გვ. ფ. 25 კ.
- 5) მოწაფის ბიბლიოთეკის სერიიდან — „აბენინიდან ანდამდე“. 50 გვერდი. ფასი 20 კ.
- 6) იგივე ბიბლიოთეკა — „როგორ ამოძრავდა პირველად მატარებელი“. 21 გვ. ფასი 12 კაპ.
- 7) ლუნკევიჩი — „პირველყოფილი ადამიანის ყოფაცხოვრება“. 55 გვ. ფასი 30 კაპ.